

გიუმო ჭადიძე

# მინები ჯავახიშვილი და ფოტოლოგი



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
ქუთაისის ფილიალი  
1984

გ. ჰელიძის წიგნი გვაცნობს მ. ჯავახიშვილის ფოლკლორისტულ მრწამსს და, უპირატესად, მწერლის შემოქმედებით დამოკიდებულებას ზეპირსიტყვიერებისადმი. წიგნში მოთხრობილია იმის თაობაზე, თუ რა ფუნქცია აკისრია ფოლკლორულ მოტივს, სახეს, სიუჟეტს, მცირე ჟანრს, ამბავს, გადმოცემას მ. ჯავახიშვილის რომანების მხატვრულ ქსოვილში.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი: პროფ. ალ. ლლონძი და  
დოც. ბ. ლობორჯიანიძე

4  $\frac{70302-162}{M601(08)84}$  342.784

## შესავალი

ფოლკლორს დასაბამიდანვე ივლიდნენ ხელოვნებისა და ლიტერატურის პირველწყაროდ. კარლ მარქსის შენიშვნა: „ბერძნული მითოლოგია წარმოადგენდა ბერძნული ხელოვნების არა მარტო არსენალს, არამედ მის ნიადაგსაც“, მიგვანიშნებს იმაზეც, რომ ყველა ერის ხელოვნებასა და ლიტერატურას თავისი საფუძვლები ნაციონალურ ფოლკლორში მოეძებნება, რომ „ეგვიპტური მითოლოგია ვერასოდეს ვერ იქნებოდა ბერძნული ხელოვნების ნიადაგი“. ამის შესაბამისად უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ხელოვნების, კერძოდ, ქართული მწერლობის ფესვები, პირველ ყოვლისა, ქართველი ხალხის შემოქმედებითი ძალების წიაღშია საძიებელი.

ფოლკლორულ-ლიტერატურული ურთიერთობის ეს აღზარებული კანონი, საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, თავისი ხასიათითა და ინტენსივობით, ერთნაირად არ მოქმედებს, მაგრამ უდავლ ფაქტია ის, რომ ხალხური პოეტური შემოქმედება ყოველთვის იყო და არის ბევრი დიდი მხატვრული აღმოჩენის მნიშვნელოვანი წყარო, ანდა, როგორც მ. ჯავახიშვილი იტყვოდა, „ყველა მწერალი უმთავრესად თავის ფოლკლორზე და კლასიკოსებზე იზრდება“.\*

\* მ. ჯავახიშვილი, რჩ. თხზულებანი ექვს ტომად, ირ. აბაშიძის, ს. ქილაიას, გ. ნატროშვილის რედ. ტ. VI, 1964, გვ. 443. შემდეგ ყველგან ამ გაშოცემით ვსარგებლობთ.

ქართულ საბჭოთა მწერლობაში დიდი ენერგია და მაცოცხლებელი ძალა შეაქვს ფოლკლორს. იგი აძლევს სიტყვის ოსტატებს მდიდარ მასალას ხალხის სულიერი ცხოვრების, მისი სოციალური ტენდენციების გამოსავლინებლად. ამ გზით მიდიოდა და მიდის ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი. ეს გზა გაიარა „არსენა მარაბდელის“ ავტორმაც.

მ. ჯავახიშვილი ეკუთვნის ჩვენი ქვეყნის იმ დიდ მხატვართა ჯგუფს, რომელიც იმთავითვე დგას სოციალისტური ლიტერატურის აკვანთან. იგი ეროვნული საბჭოთა მწერლობის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მისი პირველი სიტყვა, რომელიც სადებიუტო წერილში თქვა (1903), უკვე განსაზღვრავდა მონაცვლი ბელეტრისტის ესთეტიკურ კრედოს: ხელოვნებამ უნდა იბრძოდეს „პიროვნების თავისუფლებისათვის, ადამიანის უფლების დაცვისათვის... ხელოვნება ვიწრო ფარგლებში არ უნდა ჩაეჩხიროთ, ჰაერი და სინათლე არ უნდა მოეუსპოთ და ნესტიან და ბნელ ორმოში არ ამოვახრჩოთ“.

იმ პერიოდის ლიტერატურაში სწორედ მ. ჯავახიშვილის ნაწარმოებებმა აგვისახეს ყველაზე უკეთ ის, რის ჩვენებას თვითონვე სამართლიანად მოითხოვდა: „ხალხის ნამდვილი ტანჯვა, წვალება, ბრძოლა, დამარცხება... იმისი წვრილმანი და ყოველდღიური... მოთხოვნა...“, მისი „შინაგანი ცხოვრება... დარდი, ვარამი, ცოტად თუ ბევრად რთული ხასიათი, სულიერი მოძრაობა“ („ჩანჩურა“, „მეჩქემე ჭაბო“, „უპატრონო“, „ეკა“, „ჯილდო“, „კურკას ქორწილი“). მცირე მოთხრობებში შემოქმედებითად გაგრძელდა წინაპერიოდის ლიტერატურული ტრადიციები, არსებული ცხოვრებისადმი შეურიგებლობისა და მისი გარდაქმნისათვის ზრუნვა. მწერლის თხზულებებში თავი იჩინეს ტრადიციისა და თანამედროვეობის მოწინავე იდეებისადმი ერთგულებამ, რამაც განაპირობა ის გარემოება,

რომ მ. ჯავახიშვილი ახალი საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთი პირველი შემოქმედი იყო, რომელიც პუბლიცისტისა და მწერლის მანგილი კალმით პირდაპირ ჩაება იმ მოძრაობაში, რომელსაც ახალი ცხოვრება უნდა შოპყოლოდა. ჩვენ ამ გარემოებას იმისთვის ვუსვამთ ხაზს, რომ მაშინდელ ვითარებაში, არცთუ ადვილი იყო სწორი პოლიტიკური და შემოქმედებითი ორიენტაცია, ეპოქის „ცდუნებისაგან“ თავდაღწევა, რასაც თავის დროზე ხარკი გადაუხადა უახლესი ქართული მწერლობის თითქმის ყველა დიდმა წარმომადგენელმა.

მ. ჯავახიშვილის პროგრესული, სოციალურ-პოლიტიკური მრწანის, შემოქმედებითი მსოფლმხედველობა და შესატყვისი იმხატვრული პრაქტიკა, მრავალი სუბიექტური და ობიექტური მოვლენების სპეციფიკურმა მთლიანობამ განაპირობა. ამ საქმეში, იმ ფაქტორების გვერდით, როგორცაა მწერლის დიდი ტალანტი, მოვლენებში ჩაწვდომის ინტერესი და უნარი, საღი შემოქმედებითი ალღო, კულტურულ-ისტორიული და ლიტერატურულ-ძემკვიდრეობით ტრადიციებზე მტკიცედ დგომა და სხვა, თავისი დიდი ხვედრითი წონა აქვს ფოლკლორს... „წინამორბედებისაგან და სახალხო პოეზიის უცნობ ავტორებისაგან ჩვენ ბევრი გვაქვს შესათვისებელი. ჩვენ მათ მაღლობით და პატივით გიხსენებთ და ხშირად მათი გზებითაც მივდივართ“, — აცხადებს მწერალი და ამ ტრადიციებისადმი პატივისცემელი რჩება ბოლომდე: ხალხისა და მისი შემოქმედებითი ძალებისადმი მტკიცე რწმენა და საყვარული გახდა საფუძველი, რომ მწერლის მსოფლმხედველობა თავი-

დანვე დაკავშირებოდა მოწინავე საზოგადოებრივ შეხედუ-  
ლებათა საწყისებს.

მ. ჯავახიშვილი ბავშვობიდანვე ახლოს იყო ხალხთან, მი-  
წასთან. ცოცხალ ბუნებასთან. მისი სოფელი, წერაქვი ერთი  
იმათთაგანია. რომელიც გამოირჩეოდა ბუნებრივი სილამაზითა  
და ხალხის მდიდარი სულით. აქ გატარებულმა ბავშვობამ  
თავისი კეთილისმყოფელი გავლენა იქონია მწერლის შემო-  
ქმედებაზე... „გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული მასალის ასა-  
ხვაში, — აცხადებდა მწერალი, — ძლიერ დამეხმარა ის გარე-  
მოება. რომ მე ბორჩალოში დავიბადე, უწინდელი თრიალეთ-  
საბარათიანო ყრმობაშივე დავიარე და იქაურ თავად-აზნაურ-  
თა ოჯახებში ვტრიალებდი, რომელთაც უწინდელი ცხოვრების  
დალი ჯერ კიდევ მკაფიოდ ემჩნეოდა... „არსენას“ ეთნოგრა-  
ფიულ ფონად ჩემი თვალთ ნანახი არე ავიღე“.

ფოლკლორული ტრადიციებით ამ მდიდარ კუთხეში შეი-  
ცნო პირველად მ. ჯავახიშვილმა ხალხური სიტყვიერების ძა-  
ლა და სიყვარული. აქ ისმენდა იგი მომხიბვლელ ქართულ  
ზღაპრებსა და ლექსებს, თქმულებებსა და სიმღერებს. აქ სწავ-  
ლობდა თავისი ხალხის მდიდარ ზნე-ჩვეულებებსა და ადა-  
თებს, შრომისა და ბრძოლის სიყვარულს. თანატოლები იგო-  
ნებენ, რომ მომავალ მწერალს განსაკუთრებით იზიდავდა  
მშრომელ გლეხობასთან სიახლოვე, „კანონის დღეს“ (პირვე-  
ლი საგაზაფხულო ხვნისას), უფროსებთან ერთად გუთანზე  
ეკიდა ხელი და სიმღერით მიჰყვებოდა ახლად გავლებულ  
კვალს. აქ, ჩვენს მამებთან ერთად, დავაგუგუნებდით ხოლმე  
სიმღერებს იმაზე, რაც გულსა გვწვავდა, რასაც ვნატრობდით...  
მიხა გულისყურით ისმენდა გულიდან ამონაკვებს სიტყვებს,  
იმსკვალებოდა ყველა სისხლისმამელისა და გამყვლეფის სი-  
ძულვილით“. პატარა მიხეილი სოფლურ ცხოვრებაში უშუ-

ლო მონაწილეობით არა მხოლოდ ლექს-სიმღერებს და სხვა ზე-პირსიტყვიერ ნიმუშებს სწავლობდა, არამედ ამ მარგალიტების საშუალებით შიგ გლეხის გულშიც იხედებოდა და ერკვეოდა მათ სულიერ მისწრაფებებში. საილუსტრაციოდ გამოდგება ხალხური ლექსი „ღმერთო, ნუ მოშლი გლეხისთვის“, რომელსაც ყოველთვის მგზნებარედ მღეროდა თურმე მ. ჯავახიშვილი. ეს ლექსი მან შემდეგ გამოიყენა კიდევ „არსენა მარაბდელის“ ერთ-ერთ თავში, სადაც იგი გვამცნობს ორი სამყაროს სულიერ ძალებს: ერთ მხარეზეა არისტოკრატიული ბუდე თავისი ნაზი და ცივი ლექს-სიმღერებით, ხოლო მეორე მხარეზე გლეხობა, ჭანსალი და შემტევი პოეტური სიტყვით. ამ უკანასკნელთა რეპერტუარში დასახელებული ლექსი ტონის მიმცემია. ეს მომენტი ფოლკლორული მასალის ლიტერატურულ დეტალად გარდაქმნის თვალსაზრისითაც საინტერესოა.

ჩვენ ხელთ არსებული სხვა მოგონებები და თვით მწერლის მისიზნებანი კიდევ უფრო ნათელს ჰხდიან მ. ჯავახიშვილის ფოლკლორულ ინტერესებს.

ერთგან ვგებულობთ, რომ მწერალს შემოქმედებითი ვარჯიში ჯერ კიდევ მოწაფეობის წლებში დაუწყია... როგორც ჩანს, მისი მხატვრული აზროვნების ბაზას იმთავითვე წარმოადგენდა ხალხური პოეზია, კერძოდ, კაფია, ექსპრომტი... „—მანსოვს, ერთხელ,—ყვება მწერლის თანასოფლელი გიორგი მახარაშვილი, — ჩვეულებრივ, სადილობისას ხუმრობით ვუთხარი:

მიხეილ ადამაშვილო,  
საოცრად მადნაშლილო,  
—ნეტავ, სად ჩაგდის ამდენი,  
ჰკვიდან არ გადამაცდინო!

მიშა საშინლად გაწითლდა. მცირე დუმილის შემდეგ სა-

ხეანთებული, ვეფხის ბოკვერივით ზეზე წამოხტა და მლელ-  
ვარებით პირში მომახალა:

შენ ჩემთან რა გაქვს სათქმელი,  
მახარაშვილო გივარგა,  
ბუნებას დაუჩაგვრიხარ,  
არც კუქი, არც ჰაეა გივარგა!\*

ფოლკლორული ნიმუშების გასაცნობად, როგორც ჩანს, სკოლაშიც კარგი პირობები არსებობდა. ჩვენმა სასკოლო გუნდმა, — იგონებს მწერალი, — „უამრავი სიმღერა იცოდა: „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „გაფრინდი, შავო მერცხალო“, „მურმანო“, „თამარის დროშა გაშალეს“, „წაიყვანეს თამარ ქალი“. „აღსდგე გმირთ-გმირნო“, „ჩუხჩუხით ჩამორბოდა“ და მრავალნაირი „მრავალყამიერი“. პატარა მიხეილი სკოლის გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მომღერალი ყოფილა. „მე პირველ ხმას ვმღეროდიო“, — დასძენს იგი. ამავე პერიოდში შეუსწავლია მწერალს „არსენას ლექსიც“.

ერთ-ერთ ყველაზე შთამაგონებელ სინამდვილეს, რომელიც მ. ჯავახიშვილს უნახავს, წარმოადგენდა „ილიაობა“, რომელსაც მწერალი ოთხჯერ დასწრებია.

ცნობილია, რომ დღეი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის დღეობა „ილიაობა“ ყოველწლიურად ტარდებოდა საგურამოში 20 ივლისს. ილია ჭავჭავაძე და მისი სტუმრები დღეობაზე დიდ ეროვნულ საკითხებთან ერთად ხალხურ შემოქმედებასაც არ ივიწყებდნენ. ამის შესახებ არსებობს მრავალი ცნობა და გადმოცემა, რომელთა შორის საპატრიო ადგილი უნდა მიეკუთვნოს მ. ჯავახიშვილის მოგონებასაც.

\* ჩაიწერა დ. ნავდარაშვილმა, „თბილისი“, 1962, № 14.



„ილია მასპინძლობს: სუფრას ხშირად ჩაჰყვება, ყველას დახედავს, ალხენს და თვითონაც ილხენს. განთქმული მომღერალი ყარალაშვილი თარს უკრავს და მღერის. ჩვენმა გუნდმა უამრავი სიმღერა იცოდა... ვულგარულ „შენი ჭირიმეს“ და რატოღის კილოებს ილიას ხალხური სიმღერა ერჩივნა. ეს ჩვენც ვიცოდათ და თითქმის მხოლოდ ლადო აღნიაშვილის რეპერტუარს ვიყენებდით. ილია ბანს გვეუბნებოდა, მაგრამ სძენა არ უვარგოდა და ამიტომ მისი სხვა დისკონანსად ისმოდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვუბედავდით, სამაგიეროდ ერთმა ხნიერმა გლეხმა შეუბედა და გააჩუმა. „ბერიკაცი ვარ, ნუ მომკლავ“ ილიას გაგიყვებით უყვარდა. ეს სიმღერა ჩვენი გუნდის შემდეგ გლეხებმა დაიწყეს. ილია მაშინვე იქ გაჩნდა, ორ გლეხს მხრებზე მოეხვია და ბანი მიაყოლა. მეც იქ გავჩნდი და ერთი მოკლე დიალოგი კარგად გავიგონე.

-- ილიავ, გაჩუმდი, — უთხრა გლეხმა.

— ვერ გავჩუმდები. — მიუგო ილიამ, — ეგ სიმღერა ძლიერ მიყვარს და მეც უნდა ვიმღერო.

— ილია, გაჩუმდი, თორემ ჩვენ გავჩუმდებით.

— კარგი, ისევ მე გავჩუმდები, — უთხრა ილიამ.

და ის სიმღერა ხანგამოშვებით სამჯერ-ოთხჯერ ატემევინა.\*

მოგონების ეს მოზრდილი ნაწყვეტი საინტერესოა მწერლის ფოლკლორისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, მეორეც, ამ ნაწყვეტიდან ვგებულობთ, რომ „ილიაობა“ წარმოადგენდა ჭეშმარიტ სახალხო ზეიმს, სადაც დიდ პატივში იყო ფოლკლორული ტრადიციები.

\* მ. ჭავჭავაძის, ტ. VI. ილია ჭავჭავაძე (მოგონებათა ნაწყვეტი), გვ. 480-481, საგულისხმოა, რომ მ. ჭავჭავაძის სწორედ „ილიაობაზე“ გაეცნო პირველად ქართული ხალხური შემოქმედების მეცენატებს პ. უმიკაშვილს, ნ. ხიზანიშვილს. რ. ერისთავს, გ. ყიფშიძეს და სხვებს. იქვე, გვ. 482.

ფოლკლორული გარემოებისადმი, როგორც მწერლის შემოქმედებითი წრთობისა და მნატერული აზროვნების მდიდარი წყაროსადმი, ინტერესი მ. ჭავჭავაძის სიცოცხლის ბოლო წუთებამდე არ ჩაქრობია. საამისოდ მას „მოუხდა მრავალი ადგილის მოვლა... ხნიერი ადამიანების გამოკითხვა“.

ხალხურ მასალაზე დაკვირვების ობიექტად აქცია მან საქართველოს სხვადასხვა კუთხე: ბორჯომის ხეობა, თრიალეთი, მარაბდა, იმერეთის ცალკეული სოფლები და ქალაქები, მესხეთი, ქვემო და ზემო აჭარა, ახალციხე, ბათუმი, აჭარისწყლის ხეობა. ჩაქვი, ქობულეთი და სხვა. ყველგან და ყოველთვის მას სამგზავრო აბგაში ეწყო: „რვეულები წარწერით: ლექსიკა, ანდაზები-ზნე-ჩვეულებანი-ისტორია... და სხვა“. მწერალი დიდი გულსყურით აკვირდებოდა ყოველ საინტერესო მოვლენას, სიტყვას, სიმღერას, გამოთქმას: „კვირა დღეს, — გადმოგვეცემს რუბენ სხვიტარიძე,\* — ავედით ლეღვაში. თავის ოჯახში მიგვიწვია ჩემმა მეგობარმა ალიადა სტამბოლიშვილმა. ამ ოჯახში მიხეილს მოვსმენინეთ ფართოდ გავრცელებული სიმღერა „ხასანბეგურა“ გლეხი მომღერლის თევრათ ანანიძისა და მისი ოჯახის წევრთა შესრულებით. მიხეილს ძლიერ მოეწონა „ხასანბეგურას“ ხვეული კრიმანჭული და სასიმღერო ხალხური ტექსტი, რომელიც მან უბის წიგნაკში ჩაიწერა. იმ დროს დიდი მწერალი მეტად დაინტერესებული იყო აჭარის წარსულით (ერთ კვირა დღეს ბათუმში რამდენიმე საარქივო მსალასაც კი გაეცნო)...“\*\*

მიხეილ ჭავჭავაძის მხედველობიდან არ უშვებდა არცერთ ფოლკლორულ მომენტს. ოქროს მადიებლის მადით

\* რ. სხვიტარიძე, „მ. ჭავჭავაძის ქობულეთში“, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1962 წ. № 16.

\*\* იქვე

ჩხრეკდა და ქეჭავდა ყველა შესაბამის შემთხვევას. საინტერესოა მახარაძის რაიონის სოფელ შრომის პენსიონერი ნ. სწავლებლის, 90 წლის გერასიმე ბოლქვაძის მოგონება: „1918 წლის აპრილში, როგორც სამხედრო პირი, გამოვემართე ყარსიდან ბათუმში. თან ბათუმის სიმაგრის დამცველ გენერალ მუსხელიშვილთან მეუღლის წერილი მიმქონდა, რომელიც იმხანად ყარსში იმყოფებოდა. როცა მუსხელიშვილის კაბინეტში შევედი და საუბარი გავმართეთ, კარები შემოაღო და მორიდებით ოთახში შემოვიდა კაპიტნის „ჩინიანი“ შუატანის კაცი. მუსხელიშვილი ფეხზე ადგომით მიცხალმა შეძოსულს და თან ჩემი თავიც წარუდგინა:

— იცნობდეთ, ჩვენი ოფიცერია, ქართველი.

შემოსულმა ჭკვიანი თვალებით ამხედ-დამხედა, ჩემს ქართულ ჩოხასა და ქამარ-ხანჯალს დააკვირდა და აღტაცებით თქვა, — აი, ნამდვილი მამულიშვილი. მერე ვინაობა გამოძიეთსა და როცა გაიგო, გურული ვიყავი, გაღიმებით დასძინა: — თქვენს ვაჟკაცურ შესახედაობას კრიმანჭულსაც რომ დააყოლებდეთ, მაშინ მართლაც გეთქმებოდა მამულიშვილობა. მუსხელიშვილს ღიმი შეუთამაშდა სახეზე. სიმღერისადმი არც იგი იყო გულგრილი, მაგრამ, როგორც შევატყვე, კრიმანჭული არ უნდა ჰქონოდა მოსმენილი. სტუმარმა აუხსნა გენერალს, რომ კრიმანჭული თავისი შრავალხმიანობით, ქართველების საამაყოდ, უნიკალურია მთელ მსოფლიოში და ერთგვარი სინანული გამოთქვა, რომ ეს სიმღერაც ლამის ჩოხასავით შემოგვაცვდესო. მუსხელიშვილს აღეძრა კრიმანჭულისადმი ინტერესი და შეკითხვებით მიმართა სტუმარს. სტუმარმა კი შე მომხედა და მიუგო: — ა, ბურთი და მოედანი, ვამღეროთ და გაიგებთო. ადვილი წარმოსადგენია, რა უხერხულობაში ჩვევარდებოდი, თანაც არცთუ ნიჭიერ მო-

კრიმინალურად მიმაჩნდა თავი და ესეც რომ არა, მარტოდმარტო რას გავზღებოდი. სასტიკი უარი ვთქვეი, მაგრამ, აი საკვირველება, გენერალმა გამოიყენა სამხედრო პრივილეგია და ძკაცრად განაცხადა: „გიბრძანებთ, იმღეროთ!“ სტუმარს გაელინა, უფრო სწორად გაცინა და თქვა: სიმღერა და წერა ბრძანებით არ შეიძლება, მაგრამ ამ შემთხვევაში თავს უფლებას მივცემ გენერლის მხარე დავიჭიროო... მე, რასაკვირველია, არ იმღერია, როგორც ასეთი, მაგრამ იმდენი მოვახერხე, რომ გენერალს და სტუმარს შეძლებისდაგვარად გავაცანი „ხასანბეგურას“ ტექსტი, მისი წარმოშობის ისტორია და მრავალნაშენობა. სტუმარმა უბის წიგნაკი მოიმარჯვა, მაგრამ ოთახში ვიღაც ოფიცრის შემოსვლამ დაარღვია ჩვენი თავყრილობა... როგორც შემდეგ მუსხელიშვილისაგან გავიგე, გენერლის სტუმარი თურმე მაშინ ნაკლებად ცნობილი, ხოლო შემდეგში სახელგანთქმული მწერალი მიხ. ჯავახიშვილი ყოფილა. ამის შემდეგ ორჯერ შევხვდი მ. ჯავახიშვილს ბათუმის ქუჩებში. იგი ყოველთვის თავმდაბლურად მომესალმებოდა და ხარბად ახედდა-დახედავდა ჩემს ჩოხას.\*

მსგავსი შემთხვევები ცოტა როდი იყო მიხ. ჯავახიშვილის ცხოვრებაში.

სამწუხაროდ, მიხ. ჯავახიშვილის ბიოგრაფიიდან ბევრი რამ არ შემორჩენილა; მიუხედავად ამისა, ამ მცირე მიმოხილვიდანაც აშკარად ჩანს ის შეუხელებელი ინტერესი, რასაც ცოცხალი ფოლკლორული სინამდვილისადმი იჩენდა დიდი მწერალი.

ფოლკლორი მიხ. ჯავახიშვილისათვის მრავალკომპონენტური ცნება იყო. იგი ხშირად ხმარობდა გამოთქმებს: „ხალ-

\* აერასიმე ბოლქვაძის მოგონებიდან, ჩაიწერე 1966 წლის 5 დეკემბერს. ინახება ჩემთან (გ. ჯ.).

ხური შემოქმედება“, „ხალხური პოეზია“, „ზეპირსიტყვაობა“, „ფოლკლორი“.

ტერმინი „ფოლკლორი“ მ. ჯავახიშვილთან სულ ხუთ-ექვს ადგილას გვხვდება, მაგრამ არა მხოლოდ მხატვრული ლიტერატურების მნიშვნელობით.

— „ნაციონალური ლიტერატურა არ ამოიწურება მარტო ნაციონალური ენით. ენის გარდა იგი შეიცავს აგრეთვე კულტურულ-ისტორიულ, საყოფაცხოვრებო და, ასე გასინჯეთ, გეოგრაფიულ პირობებსაც... ამ აბსოლუტურად აუცილებელ ფოლკლორულ ელემენტებს ზოგიერთნი ეგზოტიკას უწოდებენ“.\* მაშასადამე, მწერალი ფოლკლორულ ელემენტებად თვლიდა კულტურულ-ისტორიულ, საყოფაცხოვრებო, გეოგრაფიულ ფაქტორებს, ადამიანური მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროს.

მეორე ადგილას იგი ფოლკლორის არეს კიდევ უფრო აფართოებს: „მჭირდებოდა ბოტანიკური, ზოოლოგიური, ჩაცმა-დახურვისა და ამგვარი ცნობების მოგროვება... ამისათვის საჭირო იყო ზოგიერთ სოფელში მისვლა, კორესპონდენტების შოვნა და ზეპირგადმოცემათა მოგროვება“... „საწერი მაგიდა... სავსე იყო საჭირო მასალით. აქვე ეწყობო რვეულები წარწერით: ლექსიკა, ანდაზები, ზნე-ჩვეულებანი“. ყოველივე ამას მწერალი „აუცილებელ ფოლკლორულ ელემენტებს“, „ადგილობრივ მასალას“ უწოდებდა, რაც ქართველ ხალხს საუკუნეების მანძილზე კოლექტიური თანამშრომლობით შეეკმნა. ე. ი. მ. ჯავახიშვილი ფოლკლორის ცნებაში ზოგადად გულისხმობს ყოველგვარ შესაგროვებელს, ზეპირგადმოსაცემ მასალას. მაგრამ ფოლკლორის კონკრეტული გაგებაც არ იყო მ. ჯავახიშვილისათვის უცხო.

\* მ. ჯავახიშვილი, ტ. VI, გვ. 442.

ზეპირსიტყვიერი ხელოვნების გამომსახველ ცნებად მწერალი ხმარობს ხალხურ პოეზიას. იგი, მ. ჯავახიშვილის აზრით, ხელოვნების უძველესი დარგია. მითი, ზღაპარი, ლექსი, ანდაზა, ეპიტაფია, თქმა, ბალადა, ლეგენდა, სიმღერა, არაქი, ეპოსი, გადმოცემა, აი ყველა ის, რასაც ხალხური პოეტური შემოქმედების სფეროში ათავსებდა მწერალი.

მას ესმოდა, რომ ხალხურ ნაწარმოებებს თავდაპირველად უსათუოდ ჰყავდა ავტორები, მაგრამ ისინი „ათას თაობათა ოფლში წრთობისას“ გაუჩინარებულან. ამის გამო, როცა ხალხურ შემოქმედებაზე ჩამოაგდებდა სიტყვას, მწერალი ხაზს უსვამდა ფოლკლორული ნაწარმოების უავტორობას კი არა, ავტორის უცნობობას, ანონიმურობას („წინამორბედობისა და სახალხო პოეზიის უცნობ ავტორებისაგან ჩვენ ბევრი გვაქვს შესათვისებელი“).

რა ხიბლავდა მწერალს ხალხურ ნაწარმოებში? — „სიღამაზისა და უბრალოების მოგვარება“, ჯანსაღი, მართალი იდეების ლამაზ ფორმებში გადმოცემა. მ. ჯავახიშვილი ხალხურ ნაწარმოებს ლიტერატურული თხზულების ტოლად, ზოგჯერ მასზე უფრო ძლიერ მოვლენად თვლიდა. „ზოგი მწერალი... ხალხს ზევიდან დასცქერის. დეე მან ჯერ ვეფხის ბალადას და უამრავ ასეთ შედეგს აჯობოს და მერმე გადახედოს ხალხს ოლიმპის მწვერვალს“.

ხალხური ნაწარმოების ესთეტიკურ ღირებულებაზე საინტერესოა მწერლის გამონათქვამები მუსიკალური და სიტყვიერი ფოლკლორის ცალკეულ ნიმუშებთან დაკავშირებით. „შვიდსართულიანი გიჟურ-გენიალური კახური... აგვმოტავს და აგვიტაცებს ცაში“, „სევდიანი ღამური ურმული... გაგვილხობს გაყინულ სულს და დაგვწევავს იმქვეყნიურ საამურ შან-

თით“. „აგვმოტავს“, „აგვიტაცებს“, „დაგვწვავს საამურ შან-  
თით“ — აი, ჭეშმარიტი ხელოვნების ერთ-ერთი დანიშნულება,  
მისი ესთეტიკური ფუნქცია, რაც კარგად დაინახა მ. ჯავახი-  
შვილმა ხალხურ შემოქმედებაში.

მ. ჯავახიშვილი საოცრად მოხიბლული იყო საგმირო-რო-  
მანტიკული ეპოსით, ლეგენდით, ზღაპრით, არაკით, კაჟიანი  
და ომახიანი ხალხური ლექსით, რომელიც მწერლის აზრით,  
ქართველი ხალხის სულში ორგანულად არის გამჯდარი.

მწერალს ღრმად სწამდა, რომ ხალხური შემოქმედება წარ-  
სულის რელიეფტი კი არაა, არამედ პროცესია შეუწყვეტელი,  
რომ „მადლიანი და უხვი მშრომელი ხალხი თავის იღუმალსა  
და დაუშრეტელ ზღვაში კიდევ გვიპოვნის ახალ მნათობს“.

მ. ჯავახიშვილი, რომელსაც ჰქონდა მწყობრი ლიტერატუ-  
რულ-ესთეტიკური შეხედულებანი, ხალხურ სიტყვიერებას  
ადიარებდა ნაციონალური კულტურის. ხელოვნების, ლი-  
ტერატურის უშრეტ წყაროდ. „ჩვენი საქართველოს  
კულტურა. მისი წარსული. აწმყო და მომავალი —  
მთლიანი და ურღვევი ერთეულია. წინამორბედებისა და სა-  
ხალხო პოეზიის უცნობ ავტორებისაგან ჩვენ ბევრი გვაქვს  
შესათვისებელი. ჩვენ მათ მადლობით და პატივით ვიხსენიებთ  
და ხშირად მათი გზებითაც მივდივართ“.

მ. ჯავახიშვილი, ეყრდნობოდა რა ჩვენი კლასიკური მწერ-  
ლობის ტრადიციასა და ფოლკლორისტიკას, აზრს გამოთქვამ-  
და ხალხური ნაწარმოების მწერლის ქურაში გადახარშვის  
აუცილებლობის სასარგებლოდ. „მეკითხებით, პირველ იმ-  
პულსს რა გაძლევთ, — გაგონილი ამბავი, დაკვეთა, სახე თუ  
სხვა რამეო? გიპასუხებთ: ერთიც, მეორეც, მესამეც... თით-  
ქმის ყოველდღე რაღაც უნდა ჩავიწერო — სიტყვა, სახე,

თქმა. ამბავი, წვრილმანიც და მსხვილმანიც. ზოგი ყურძოკრულია, ზოგი თვალმოკრული და ზოგიც მოგონილი. ეს მასალა — გაგონილი და მოგონილი — შემოქმედების ლაბორატორიაში იხარშება, ეშუავდება და ბოლოს ასეთი რამე გამოდის, რასაც ზოგჯერ თვითონ ავტორიც ძლივს იცნობს ხოლმე“.\*

მ. ჯავახიშვილის ფოლკლორისტული ინტერესი მნიშვნელოვნად ფართოა. იგი ნათლად წარმოადგენს ფოლკლორის თავიანთებულებებს, განიხილავს ლიტერატურულ-ფოლკლორულ ურთიერთობის შემოქმედებითს ასპექტს, მაგრამ მთავარი მაინც მწერლისათვის არის ფოლკლორის, როგორც შემოქმედებითი წყაროს პრობლემა.

მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება ორგანულადაა დაკავშირებული ხალხურ სიტყვიერებასთან.

ფოლკლორს მწერალი უყურებდა არა მარტო როგორც მხატვრულ მასალას, არამედ, როგორც ნაწარმოების მხატვრული სახის შექმნის ერთგვარ მეთოდსაც („ხშირად მათი გზებითაც მივდივართ“). ჩვენ ამჯერად მ. ჯავახიშვილის რომანების ფოლკლორულ წყაროებზე გვექნება საუბარი\*\*.

---

\* მ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. VI, გვ. 386-387.

\*\* წიგნში არაა გარჩეული რომანი „თეთრი საყელო“, რადგან მის შესახებ არსებობს დოკ. დ. გოგოჭურის ვრცელი ფოლკლორისტული გამოკვლევა.



## არსენა მარაბდელი

წყაროების საკითხისათვის. ყოველ სრულყოფილ მხატვრულ მოვლენას მრავალი ფაქტორი და წინამძღვარი განაპირობებს. აღიარებულია, რომ „არსენა მარაბდელი“ ისტორიული რომანი არის. ეს თავისთავად აყენებს საკითხს მისი ისტორიული წყაროების შესახებ.\* „არსენა მარაბდელი“ უმთავრესად აგებულია ხალხურ პოეზიაში ცნობილი გმირის თავგადასავალზე, რაც, თავის მხრივ, რომანის ფოლკლორული წყაროს არსებობაზე მიუთითებს. ფაქტი, რომ არსენას ცხოვრება ჯავახიშვილამდე სხვა მწერლების თემადაც იქცა, არ იძლევა საბაზს გვერდი ავუაროთ „არსენა მარაბდელის“ ლიტერატურულ წყაროებსაც.\*\*

რომანის ფოლკლორულ წყაროდ მხოლოდ „არსენას ლექსს“ ნიიჩნევენ, რაც ნაწილობრივ თუ ასახავს სინამდვილეს. ჩვენი დაკვირვებით, ზეპირსიტყვიერი მასალა, რომელიც გადამწყვეტ როლს ასრულებს ნაწარმოების მაგისტრალური ხაზის შექმნაში, შემდეგნაირად უნდა დანაწევრდეს: 1. არსე-

\* ტ. კვანცილაშვილი, მ. ჯავახიშვილის შემოქმედება, 1966, გვ. 383.

\*\* ლიტერატურულ წყაროებად მიგვაჩნია დ. ქობჯაძის „სურამის ციხე“, ილიას „კაკო ყაჩაღი“, აკაკის „არსენა“, ყაზბეგის „არსენა“ და არსენას თემაზე შექმნილი ლიტერატურულ-ისტორიული გამოკვლევები, მოგონებები, რომლებმაც ნამდვილად იქონიეს გულწრფელად „არსენა მარაბდელზე“, ეს კიდევ ცალკე გამოკვლევის საგანია.

ნას ლექსი, 2. ზეპირი პროზაული გადმოცემები არსენას ცხოვრებაზე და 3. სხვადასხვა ხალხური ქანრები რომანში.

რომანის დაწერის საბაზი. „არსენას ლექსმა“ ქართული ლიტერატურის ბევრ კლასიკოსს წაუკიდა შემოქმედებითი ცეცხლი. იგი გახდა აგრეთვე სცენის, კინოს, სახვითი ხელოვნების ბევრი შესანიშნავი ნაწარმოების წყარო. მაგრამ მართალი იყო ქართული თეატრის დიდი რეფორმატორი კოტე მარჯანიშვილი 1931 წელს რომ ამბობდა: „არსენას ლექსი“ არსენას შესახებ დაწერილ ყველა ნაწარმოებზე ძლიერიაო. სწორად შენიშნავდა აგრეთვე ვასილ ბარნოვი: მარაბდელ გმირს ხელოვანის შესაფერისი კალამი ჯერ კიდევ არ შეხებიაო. აი გამოჩნდა მ. ჯავახიშვილი და ქართველი მკითხველის (და განა მარტო ქართველი მკითხველის!) წიგნის თაროზე საპატიო ადგილი დაიკავა „არსენა მარაბდელმა“.

„მთელ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, რომელიც საკმაოდ მდიდარია ისტორიული ქანრის ნაწარმოებებით, მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“ ერთადერთი ისტორიული რომანია, რომელიც უშუალოდ ხალხს შეეხება, სადაც ვხედავთ ხალხის ხსოვნაში და ხალხის ზეპირსიტყვიერებაში უკვდავყოფილი არსენას ამალლებას იშვიათ და მომხიბვლელ სახედ“.\*

ყველა ჭეშმარიტ ნაწარმოებს თავისი შექმნის წინა პირობა გააჩნია. ამ მხრივ „არსენა მარაბდელიც“ არ წარმოადგენს გამონაკლისს. ჩვეულებრივ, როცა ამ რომანის დაწერის მიზეზებზე მიუთითებენ, გამოდიან თვით მწერლის განცხადებიდან: „ერთმა რამემ დამიპყრო და მომხიბლა: საქართველოს ტყე-

---

\* ბ. ჟღენტი, მხატვრული ოხრობის დიდებული ოსტატი, ლიტ. გაზეთი, 1962, № 4.

ებში ათას გაეარდნილს შეუფარებია თავი და ზოგ მათგანს არსენაზე უფრო მეტი საგმირო საქმენი ჩაუდენია, მაგრამ ყველას სახელი მიჰქრა... არსენას ხსოვნა კი ქართველ ხალხში უკვდავი დარჩა და იქნება არც ოდესმე წაიშალოს. შესაძლოა გამახსენონ, რომ პოეტისათვის ჯერ არც ერთ მეფეს არ მიუნიჭებია სახელი, თვითონ პოეტს მრავალი გვირგვინოსანისთვის და უგვირგვინოსთვისაც დაუმკვიდრებია უკვდავება, ე. ი. ოძელაშვილის ხსოვნა უცნობი ავტორის წყალობით ცოცხლობს. ნაწილობრივ ესეც მართალია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ სხვა სისხლიან გაეარდნილებზე ნათქვამი ლექსები მოკვდა, უსისხლო „არსენა“ კი ისევ ცოცხალია, ოძელაშვილს სისხლი არ დაუღვრია და მაინც დიდი ვაჟკაცის სახელი შერჩა — აი რამ მომხიბლა და რამ შეიპყრო ჩემი აზრი. ერთი მხრივ ზნეობრივი ვაჟკაცობა და მეორე მხრივ სოციალური პროგრამა — „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“ — აი რამ დამაწერინა „მარაბდელი“ და რამ გამოჰკვეთა ის ფსიქოლოგიური ტიპი არსენაში. რომელიც ამ რომანში ავსახე“.\*

მწერალი აქ გარკვევით გვეუბნება, თუ რამ მიიყვანა იგი მარაბდელის სახის შექმნამდე. მაგრამ ფაქტიური მდგომარეობის განხილვას ერთგვარად განსხვავებულ დასკვნებამდე მივყავართ.

ცნობილია, მ. ჯავახიშვილმა „არსენა მარაბდელის“ წერას 1925 წელს მოჰკიდა ხელი, ხოლო „არსენას ლექსი“ აღრიდანვე ზეპირად იცოდა. ისმება კითხვა: რატომ მანამდე არ მოიხიბლა მწერალი „არსენას ზნეობრივი ვაჟკაცობით“ და „სოციალური პროგრამით?“ ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას გარკვეულ სამსახურს გვიწევს თვით მ. ჯავახიშვილის სიტყვები: „ერ-

\* ტ. VI, გვ. 402.

თი უცნაური მოვლენა არსებობს: შემოქმედი ძალიან ხშირად ხვდება ამა თუ იმ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ტიპს, მაგრამ მხატვრის თვალით ვერ ხედავს მას. იცი, რომ იგი არსებობს, მაგრამ იგი ბუნდოვანია, სქემატური, მერმე უცებ თვალს გაახელ და ეს ტიპი, თუ მოვლენა ნათლად აგესვეტება თვალწინ. ოდესღაც „არსენას ლექსი“ მეც ზეპირად ვიცოდი, მაგრამ აოსტახაც და მისი თილისმური გამარჯვების მიზეზიც ეხლალა ანემოტა თვალწინ და იმ დღიდან ამ თემას ორივე ხელით დავწვდი“.\*

ამდენად, არსენას „ზნეობრივი ვაუკაცობა“ და „სოციალური პროგრამა“, რომელიც მწერლისათვის დიდი ხნიდან იყო ცნობილი, მხოლოდ შესაბამის მომენტში, მისი შემოქმედების განვითარების გარკვეულ ეტაპზე გახდა თვალის ამხელი. ჩანს, ნაწარმოების შექმნა არსენას ლექსმა და მასში მოცემულმა „ზნეობრივ-სოციალურმა“ პროგრამამ როდი განსაზღვრა, არამედ მწერლის თანამედროვე ეპოქის კონკრეტული ისტორიულმა მოთხოვნილებებმა და „ზნეობრივ-სოციალურმა“ განწყობილებებმა, რადგან, ყოველი ქვეშაირიტი, ისტორიულ თქმაზე დაწერილი ნაწარმოები მხატვრული გადაწყვეტით უკავშირდება თავის თანამედროვეობას.\*\* ესაა სწორედ ეს საფუძველი, რომელიც ხელოვანში იწვევს მსოფლმხედველობრივ ძვრებს. უბიძგებს, თქვას სიტყვა შექმნილი მდგომარეობის ვააო... 1925—30 წლებში, როცა „არსენა მარაბდელი“ იწერებოდა, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მოწინავე პოზიციები მშრომელ ადამიანებს ეჭირათ, ისინი ზეიმობდნენ მისი ფიზიკური და სულიერი ძალების გამარჯვებას.

\* იქვე, გვ. 393.

\*\* ბ. ელენტი, ს. ქილაია, ქართული ლიტერატურა, 1966, გვ. 186.

მ. ჭავჭავაძის, შთაგონებული ხალხის სიყვარულით, ყოველ-  
ნაირად ცდილობდა მხარში ამოდგომოდა და სტიმული მიეცა  
ახალი საზოგადოების მშენებელი კლასისათვის, რადგან  
ღრმად სჯეროდა, რომ „მწერალი და ხალხი ერთმანეთს უნდა  
შეედუღნენ, რათა ხელიხელჩართულმა იარონ და იმუშაონ იმ  
ღიადი მიზნის მისაღწევად, რომელიც საბჭოთა ხელისუ-  
ფლებამ დაგვისახა.“ ამ პერიოდისათვის ყველაზე მიზანშეწო-  
ნილი იქნებოდა ნაწარმოების შექმნა. რომელშიც ხალხი, რო-  
გორც ისტორიის შემოქმედი, გამოჩნდებოდა ახლებური თვალ-  
საზრისით. რასაკვირველია, ამისათვის საჭირო იყო შესაფერისი  
ისტორიული მასალაც. აი, მ. ჭავჭავაძილმა მხატვრის თვალს  
გადაავლო ქართველი ხალხის ისტორიას და ის „სოციალ-  
ფსიქოლოგიური“ ტიპი, რომელიც „ძალიან ხშირად ხვდებო-  
და“, მაგრამ ვერ დაენახა, უცებ „ნათლად აესვეტა თვალწინ“  
და „იმ დღიდან ამ თემას ორივე ხელით დასწვდა.“

ისმის კითხვა: რაღა მაინცა და მაინც არსენას ცხოვრება  
„აესვეტა“ მწერალს თვალწინ და არა სხვა რამე? განა ისტო-  
რიული სინამდვილე ცოტა მასალას იძლეოდა თანამედროვე-  
ობის მოთხოვნაზე პასუხის გასაცემად? მთავარი საიდუმლო-  
ცბა აქ მაინც იმაშია, რომ არსენას ცხოვრება წარმოადგენდა  
სწორედ ისეთ მასალას, რომელიც ყველაზე უფრო მიესადაგე-  
ბოდა მაშინდელ საზოგადოებრივ განწყობილებას. ხალხის სა-  
ბრძოლო ტრადიციების ამეტყველება, სახალხო გმირის პირა-  
დი თვისებების გაცოცხლება, უსამართლობის წინააღმდეგ  
ბრძოლის დაუდევარი სულისკვეთება, სოციალური ჩაგვრი-  
სადმი შეურიგებლობა, მშრომელი ადამიანების გულმართალი  
სიყვარული, ინტერნაციონალური გრძნობა, სიკეთისაკენ შე-  
უნელებელი სწრაფვა და სხვა, ჩვენი საუკუნის ოცდაათიან  
წლებში წარმოადგენდა დიდ შთამაგონებელ ძალას სოციალი-

ზმის მშენებლობის გზაზე წამოჭრილი წინააღმდეგობების დასაძლევად. ამ საგანზე თვით მ. ჯაფარიშვილიც მიგვანიშნებს: „არც ერთი თემა აკრძალული არ არის, თემა ისე ჰყრია ყველგან, როგორც ქვა რიყეზე. ჰყრია და ოსტატს ელოდება. უმთავრესი კი მაინც ის არის, რანაირი თვალით დაინახავს მას მწერალი. ოქტომბერმა თვალი გამოგვიცვალა და საგანიც და ამბავიც ახალნაირად დაგვანახა. უწინ „არსენა მარაბდელს“ არ დაეწერდი, ან სულ სხვანაირად დაეწერდი... ცალკეულ მწერალს შეუძლიან თუნდ ფარნაოზის დრო გვაჩვენოს, ხოლო საერთოდ მწერლობის უმთავრესი ამოცანა ის ახალი ადამიანია, ის დღევანდლობაა, ის ახალნაირი მეტყველებაა, რომელიც თითქმის დავიუფლეთ“.\*

„არსენა მარაბდელის“ ფოლკლორული გასაღები. ისტორია ისტორიული რომანის კვარცხლბეკია. დღემდე ცნობილი ყველა ისტორიული რომანის საძირკველი ნამდვილად მომხდარი, წყაროებში დოკუმენტურად შემონახული და ისტორიულად ღირებული ფაქტები, მოვლენები და პიროვნებებია. ამ საშუალებას მოკლებული იყო „არსენა მარაბდელის“ ავტორი. მას, მართალია, შესაძლებლობა ჰქონდა ისტორიულ საცავენებში გაცნობოდა არსენას დროის ისტორიულ „მსხვილმანსა“ და „წვრილმანს“, მაგრამ მომავალი რომანის წამყვანი ფიგურა — არსენა ისტორიაში არ ჩანდა. სწორედ ამან გამოიწვია მ. ჯაფარიშვილის გულატკენილი თქმა: „ისტორიაში ბევრი რამე არ მოჩანს. ისტორიაში თვით არსენაც არ მოჩანსო.“ სამაგიეროდ მწერალს ხელთ ჰქონდა მეორე, დაუწერელი ისტორია, უკვ-

\* იქვე, გვ. 459-460.

დავი მოვლენების და ფაქტების თავისებური მატთანე — ფოლკლორი. „არსენას ლექსი“ იყო ის ერთადერთი „დოკუმენტური“ მასალა, რომელიც ზეპირსიტყვიერ გადმოცემებთან ერთად მწერალს აძლევდა საშუალებას მოენახა „არსენა მარაბდელის“ ისტორიული საფენელი. ფოლკლორმა გაუწია მწერალს ისტორიის მაგივრობა მთავარი მხატვრული ამოცანის გადაწყვეტისას.

ჩვეულებრივ მიჩნეულია, რომ მწერლები ფოლკლორულ ფაქტებს შემოქმედის თავისუფალი თვალთ უცქერიან, ნებისმიერად. თხზვის საკუთარი მანერის მიხედვით იყენებენ. მაგრამ, როცა საქმე ეხება ისტორიული მოვლენის მხატვრულ აღქმას, აქ შემოქმედებით თავისუფლებას ერთგვარად ფრთები ეკვეცება. შეუძლებელია ისტორიულ ფაქტს, მომენტს თუ გმირს მწერალმა დაუკარგოს ის სახე, რაც დოკუმენტურად მის სოციალურ არსს განსაზღვრავს. ამრიგად, შემოქმედებითი მიდგომის პრინციპი ფოლკლორისადმი და ისტორიული მასალისადმი არ არის ერთნაირი.

რა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ჯავახიშვილის მიერ „არსენას ლექსის“ მხატვრული ათვისების დროს?

„არსენას ლექსი“ ხალხური ნაწარმოებია. მოსალოდნელი იყო მწერალი ისე მოქცეოდა მას, როგორც შემოქმედებითი მიზანდასახულება უკარნახებდა, მაგრამ სწორედ აქ წააწყდა მ. ჯავახიშვილი თავისებურ სირთულეს. საქმე ისაა, რომ იგივე „არსენას ლექსი“ არის საისტორიო ზეპირსიტყვიერების ნიმუში. მზავსი ნაწარმოების რეალურ საფუძველს კი კონკრეტული ისტორიული მოვლენები, გამოჩენილი პირების სახეები წარმოადგენენ.

ამიტომ, არსენას ცხოვრებისა და ხასიათის გასაგებად სხვა ისტორიული მასალის უქონლობის გამო, „არსენას ლექსი“

იქცა იმ ერთ-ერთ ძირითად ისტორიულ წყაროდ, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა რომანს, ე. ი. „არსენას ლექსი“ მწერლისთვის წარმოდგენდა ფოლკლორულ მასალასაც და ისტორიულ წყაროსაც. ამ ორი რთული ფაქტორის გაერთიანებამ რომანის ერთ წინამძღვარში, გარკვეული დაბრკოლებისა და საფრთხის წინაშე დააყენა ავტორი. ერთის მხრივ ეს იმაში მდგომარეობდა, რომ „არსენას ლექსი“, იგივე ისტორიული წყარო, რომელსაც „არსენას ცხოვრება ზედმიწევნით სიმართლით აეწერა,“ ეხმარებოდა რა მწერალს ეპოქის სულის გახსნაში. ისტორიული პიროვნების მართლად ჩვენებაში, უქმნიდა დაბრკოლებასაც, რადგან „რამდენადაც უფრო ზუსტად და მკაფიოდ აუსახიათ ისტორიაში ესა თუ ის ამბავი და პიროვნება, იმდენად უფრო ძნელია მისი გარდაქმნა და მხატვრული ასახვა,“ მეორეც „არსენას ლექსი“ წარმოდგენდა მხატვრულ ფაქტორს, რომელმაც ერთხელ უკვე სრულყოფილად მოგვცა სახალხო გმირის პოეტური სახე და, ამიტომ მოსალოდნელი იყო „რომანი მხოლოდ მისი გამეორება გამოსულიყო.“ ამ ლექსში მოთხრობილი ამბების გადაკეთება კი შეუძლებელი იყო, იგი როგორც ვთქვით, ისტორიის წყაროს როლსაც ასრულებდა და ფაქტების გადასხვაფერება მხატვრულ-ისტორიულ დამაჭერებლობას დაუქარგავდა ნაწარმოებს. მიუხედავად ამისა, მწერალმა მოახერხა შესანიშნავი ნაწარმოები შეექმნა.

ჩვენი აზრით, ეს პირველ რიგში განაპირობა იმან, რომ მ. ჯავახიშვილმა მხატვრული კვლავწარმოება სხვანაირად წარმართა, არ გაჰყვა იმ გზას, რომლითაც მისმა წინამორბედმა მწერლებმა თუ „არსენას ლექსის“ უცნობმა ავტორებმა იარეს, რადგან „ხალხის თქმულება, — როგორც იტყოდა დიდი ვაჟა, — რაც უნდა მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელო-



ვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა“... მ. ჭავჭავაძის მიერ „არსენას ლექსში“ შეკუმშული სახით სწორედ ის წერტილები და საწყისები, რომელთაც მხატვრული გაშლა-განზოგადების, ახალ სიტუაციათა წარმოშობის ტენდენციები ჰქონდა. ამავე დროს მწერალმა გაითვალისწინა ისტორიული რომანის სპეციფიკა და მასალათა ძიება აწარმოვა ისე, რომ მისი მხატვრული დამუშავებისას არ დაკარგა ეპოქის სოციალური, ფსიქოლოგიური, ესთეტიკური ხასიათი. მთელი კომპლექსი დააკავშირა თანამედროვეობის საჭირბოროტო საკითხებთან (დ. ბენაშვილი) და წარსულის განცდას საფუძვლად აწმყოზე ფიქრი დაუდო. ამის თაობაზე „არსენა მარაბდელის“ დაწერიდან ცოტა ხნის შემდეგ, თვითონაც აღნიშნავდა: „მე... სულ სხვანაირად უნდა მივდგომოდი ამ თემას, მისი სოციალურ-პოლიტიკური არე უნდა მომენახა, მოქმედნი და ამბები ლოდიკურად გადამება, ზოგი რამე ფაქტებით და ფსიქოლოგიურ-დაც დაშვებებთან, ამოდენა რომანისათვის შინაგანი კომპოზიციური აღნაგობა ამესახა. ყოველი სურათი სიუჟეტურად გადამეშალა, ბევრი რამე შემეცვალა, ზოგი რამ უკიდურესად დამეწურა — ერთი სიტყვით სრულიად ახალი მხატვრული ნაწარმოები შემექმნა, თორემ პროზად გადაკეთებული... ხალხური ლექსის განმეორება გამოვიდოდა“.

ე. ი. „არსენა მარაბდელი“ სპეციფიკურად რთული ისტორიული რომანია. ამ სირთულეს ერთის მხრივ საფუძვლად დაედო ფოლკლორში შემონახული სინამდვილე, მეორეს მხრივ — მხატვრულად ერთხელ უკვე დამუშავებული მასალა. ამგვარი სპეციფიკური სირთულე მწერალმა დიდი ხელოვნებით დასძლია.

„არსენას ლექსი“ და „არსენა მარაბდელი“. თემა ნაწარმოების სიუჟეტურ საფუძველს წარმოადგენს. „არსენას ლექსი“ ქართული სიტყვიერი ხელოვნების პირველი სერიოზული ტილოა, რომელზეც მკვეთრად აისახა ბატონისა და გლეხის დამოკიდებულების შემაზრზეხი სურათები. ბატონყმობა და მისი რღვევა, აი, „არსენას ლექსის“ წამყვანი თემა. „არსენა მარაბდელის“ ძირეული პრობლემაც ამ თემის გარშემო ტრიალებს სოციალურად გამძაფრებულ კონფლიქტებში გადმოცემული. ეს ორი თხზულება, ქვეთემის ერთობლიობითაც უახლოვდებიან ერთმანეთს. საკითხების წყობა, ანუ ცალკეული მოტივები, როგორცაა მოახლის გატაცება, რუს მოხელეებთან შეტაკება, ჩარჩ-ვაჭრების რბევა, ფარსადანის ღალატი, პატიება, კუჰპატნელის და არსენას ორთაბრძოლა, ანდერძი, სიკვდილი და სხვა, ხალხური შემოქმედებიდანაა აღებული. მაგრამ ერთია თემა, მეორეა მისი გადაწყვეტა. „არსენას ლექსის“ ძირითადი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ ისეთ წყობას, სადაც ადამიანს ცოლიც ვერ შეუერთავს ბატონის უკითხავად, სადაც სინდისს ფულზე ცვლიან, ღალატსა და ორპირობას გზას აძლევენ, „გამჭედი გაუწყდესა“; „არსენა მარაბდელიც“ ამ სულისკვეთებით სუნთქავს, მისი იდეაც ისაა — ბატონყმობას, როგორც სოციალურ უსამართლობას — „გამჭედი გაუწყდესა.“

„არსენას ლექსისა“ და მ. ჭავჭავაძის რომანის მხატვრული ურთიერთობის ერთ-ერთ პრობლემატურ მხარეს მათი სიუჟეტური დამოკიდებულება წარმოადგენს. მოტივების შეჯერებამ დაგვარწმუნა, რომ „არსენას ლექსი“ „არსენა მარაბდელის“ არამართო თემატიკურ-იდეური გასაღებია, არამედ იგი რომანის სიუჟეტის და მისი ცალკეული მოტივების მნი-

შენელოვანი საწყისიცაა. არსენას ხალხური ბიოგრაფიაა სწორედ ის კვარცხლბეკი, რომელზედაც აღიმართა მ. ჯავახიშვილის გმირის მონუმენტური სახე. საილუსტრაციოდ შეიძლება მივუთითოთ წამყვან სიუჟეტურ მოტივთა ერთგვარობაზე: 1. არსენასაგან მოახლის ხელის თხოვა ზაალ ბარათაშვილთან, 2. მოახლის გატაცება, 3. ზაალის მუქარა და დაბეზლება გუბერნატორთან (პასკევიჩთან), 4. კოდას ეპიზოდი, 5. არსენა და ჩარჩ-ვაჭრების შეიდმტკავლიანი აღლი, 6. ნათლიმამას (გიგოლას) ოინები, არსენას შეპყრობა და უფროსთან (არლოვთან) წარდგენა, 7. აბანოში მისვლა და გაქცევა, 8. ნათლიმამის ძებნა და დანაშაულის პატიება, 9. წინათგრძნობა, ანდერძი, სიკვდილი, 10. დაკრძალვა.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე რომანში „არსენას ლექსის“ ცალკეული ტაეპებისა და სტრიქონების მწერლისეული მეტაფრაზები, რასაც სიცოცხლე და ნათელი შეაქვს სიტუაციებში. აღნიშნული მოტივები ზოგჯერ მთლიანად ემთხვევიან ერთმანეთს (შინაარსით, სიტყვიერი ფაქტურით), ზოგან ნაწილობრივ. მთავარი აქ მაინც ისაა, რომ „არსენა მარაბდელს“ ძირითადი სიუჟეტური მდინარეა კვალდაკვალ მისდევს სახალხო პოემას.

გავარკვიოთ ზოგიერთი მოტივის ხალხურ-ლიტერატურული ურთიერთობა.

**მოახლის შეპყრობის მოტივი** „არსენას ლექსისა“ და ზეპირგაღმორცემათა თითქმის ყველა ვარიანტში მოიპოვება. იგი სახალხო პოემის ძირითად სიუჟეტურ ნასკვს წარმოადგენს; მასზეა აგებული ზაალთან კონფლიქტი, ბარათაშვილის (მთავრობის) გადაკიდება, არსენას შეუხნელებელი დევნა და სხვ. ამავე მოტივს ემსახურება რომანის ექსპოზიციური ნაწილი. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ „არსენას ლექსში“ ინტრიგის საფუძველს პირადი ამბავი, — გოგოს მოწონება-გატაცების

ფაქტი წარმოადგენს. მ. ჯავახიშვილიც აღნიშნავდა, რომ „ამ მოტაცებას მოწონების გარდა სოციალური სარჩულიც გამოვაკერეო“... ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოახლის გატაცების ეპიზოდში „არსენას ლექსში“ მარტოოდენ პირად ურთიერთობაზე არაა აღმოცენებული, როგორც ვიცით, ამ ექსპოზიციურ ნასკვს რომანშიც და ხალხურ თხზულებაშიც ძირითადად ერთნაირი წინამძღვრები აქვს: მოწონება, შეყვარება, ქორწინების ნებართვის თხოვნა, საჩქმის დაპირება. ბატონის უარი, არსენას დაქადება და ა. შ. ყველა ამ ეპიზოდში იგრძნობა ეპოქის უკუღმართი სოციალური სული... განა ზაალის უარის საფუძველი თავისთავად ბატონყმობის სოციალურ არსში არ უნდა ვეძიოთ?! ეს, რასაკვირველია, ჩანს „არსენას ლექსში“, განსაკუთრებით კი ამას ხაზს უსვამს ზეპირი გადმოცემები: „არსენა იყო რიგიანი ადამიანი. მას შეუყვარდა თავად ბარათაშვილის ყმა გოგო. მაგრამ ბარათაშვილი არ თანხმდებოდა გოგოს გათხოვებაზე, სანამ ის არ იქნებოდა ყმობიდან განმოსყოფილი არსენას მიერ. არსენა მთელი წლის განმავლობაში დიდი გულმოდგინებით მუშაობდა, სანამ არ მოაგროვა საჭირო თანხა. მაგრამ თავადი პირობას არ ასრულებდა და ახალ შოთხოვნებს აყენებდა. მაშინ არსენამ ღამით თავიდან გაიყვანა თავადის საუკეთესო ცხენი, გაიტაცა გოგო და შეეფარა მთებს“.\* მეორე გადმოცემაში ზაალი თხოვნაზე ასეთ პასუხს აძლევს არსენას:

„— შენც ჩემი ნონა ხარ და შენი ცოლიც. რასაც მინდა იმას გიზამ... ეს ველარ მოითმინა არსენამ და გავარდა ყაჩაღად“.\*

\* გაზ. „ბოლშევიკური კადრებისათვის,“ 1937, № 24.

\*\* ზ. კვიციანი, საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები, ტ. 1, 1924, გვ. 127.

აქ ხალხური მთქმელისათვის ნათელია არსენას გაყაჩაღების საზოგადოებრივი მიზეზი, იგი უბრალოდ მოახლის მოწონება კი არა, არამედ ერთი მთლიანი ინტიმურ-სოციალური დრამაა, რაც წარმოადგენს ინტერესთა შეჯახების, გმირთა ურთიერთობის გამწვავების მთავარ მომენტს — ინტრიგას; ამ მომენტიდან საფუძველი ედება მოქმედების გაშლის შემდგომ შესაძლებლობას როგორც ხალხურ თხზულებაში, ისე „არსენა მარაბდელში.“ აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ რომანში ეს მხარე ერთგვარად განსხვავებულადაა წარმოდგენილი: 'გაზრდილია სოციალური ჩაგვრის მასშტაბი, მოახლის გატაცება შერწყმულია სხვა მოვლენებთან, როგორცაა ეგზეკუციის ჩამოყენება, ეკლესიაზე თავშეყრა, გაროზგვა, დამწყვდევა და ა. შ. მაგრამ, ჩამოთვლილი ეპიზოდებიდან, მთავარს, ამბავის განვითარების ამოსავალ წერტილს, ხალხური პოემიდან აღებული ქალაქის ურთიერთ მოწონება-შეყვარება წარმოადგენს. განა ამ უკანასკნელმა არ გამოიწვია რომანში ყველაზე მთავარი ბზარი არსენასა და ზაალს შორის, განა ზაალის მიერ არსენას წმინდათაწმინდასაღძი არაადამიანური დამოკიდებულება არ გახდა საბაბი იმისა, რომ არსენა ამხედრებულიყო ბატონყმობის წინააღმდეგ?!

ამრიგად, როგორც „არსენას ლექსში,“ ისე რომანშიც წინააღმდეგობის გართულების ამოსავალ მომენტად უნდა ჩაითვალოს მოახლის მოწონება-გატაცების მოტივი, რასაც თავის მხრივ ღრმა სოციალური სარჩული აქვს.

შემხვედრ სიუჟეტურ მომენტებზე მსჯელობისას ჩვენ მივუთითეთ რიგ მოტივებს (ზაალის მიერ არსენას დაბეზლება მთავრობაში, კოდას ეპიზოდი, არსენას დამოკიდებულება ურიებთან, ჩარჩ-ვაჭრებთან, ნათლიძამას ოინები, არსენას შეპყრობა, გაქცევა, ანდერძი, სიკვდილი და სხვა), რომლებიც

თითქმის ერთნაირი თვალსაზრისითაა დანახული მწერალთა-  
ნაც და სახალხო მთქმელთაგანაც. ამის გამო, მათ შესახებ ჩვენ  
ამჟამად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ვფიქრობთ, უფრო  
მნიშვნელოვანია არა მწერლის მიერ ცალკეული ფოლკლო-  
რული მოტივის გამოყენება (ეს დამხმარე მასალაა), არამედ  
თვით ხალხური პოეტური პრინციპის მიხედვით სინამდვილის  
წარმოსახვა ინდივიდუალური შემოქმედის მიერ. ამ თვალსა-  
ზრისით გვინდა განვიხილოთ რომანში ფოლკლორიდან შესუ-  
ლი ორი საკვანძე მოტივი. ესაა სახალხო გმირის მიერ დღევი-  
ზად გამოცხადებული პრინციპები: „მდიდარს ვართმევ, ლა-  
რიბს ვაძლეე“ და „კაცის ცოდვა არ მამძევსა.“

მ. ჯავახიშვილს „არსენა მარაბდელის“ შექმნა თავისი ეპო-  
ქის კონკრეტულ-ისტორიულმა მოთხოვნილებამ უკარნახა.  
არსენაში ყველაზე მეტად ჩანდა ის, რაც ეპოქის კონკრეტულ  
მოთხოვნილებას პასუხს გასცემდა. მოვესმინოთ თვით  
მწერალს: „რაღა არსენა ოძელაშვილი და მისი დრო ავიღე  
რომანის მასალად და არა სხვა ვინმე?.. ერთი მხრივ ზნეო-  
ბრივი ვაჟკაცობა და მეორე მხრივ სოციალური პროგრამა —  
„მდიდარს ართმევს, ლარიბს აძლევსო“ — აი, რამ დამაწერიდა  
„მარაბდელი“ და რამ გამოჰკვეთა ის ფსიქოლოგიური ტიპი  
არსენაში, რომელიც ამ რომანში ავსახე.“ მართალი იყო მწე-  
რალი, როცა „არსენას ლექსის“ [დასახელებულ სტრიქონებში  
ხედავდა „უძლიერეს სოციალურ სიმართლეს.“ ამ სიმართლემ  
აქცია მარაბდელი ჭაბუკი სახალხო გმირად, ხალხური პოემის  
შთამავონებელ ძალად, ზოლო თვით „არსენას ლექსი“ კი  
ზეპირსიტყვიერი ხელოვნების კლასიკურ ნიმუშად.

მკვლევართა ერთ ნაწილს სტრიქონები: „მდიდარს ართმევს,

ლარიბს აძლევს“, გაგებული აქვს გაუბრალოებულად, ქონების უბრალო წართმევა-გადაცემად. ბ. ბუაჩიძე, რომელიც ძირითადად სწორად აფასებდა „არსენას ლექსის“ სოციალურ და მნატურულ ღირსებას, წერდა: „არსენა სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის პრიმიტიულ ფორმას ვერ გაცვილებია („მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“-ო, მაშინ, როცა ამ მდიდარს საშუალება რჩებოდა ამავე ღარიბისათვის მეორე საათშივე შვიდი ტყავი აერთვა)“.\* რასაკვირველია, აქ ცდებოდა კრიტიკოსი, არსენას ეს დევიზი („მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“) იმიტომაც ესოდენ ცხოველყოფელი, რომ ამ ფრაზაში ჩაგრული ხალხი ხედავდა სოციალური საკითხის მათებურ გადაჭრას. სწორედ ამ სიტყვებშია ჩადებული კლასობრივი ბრძოლის და სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ამბოხების მთელი არსი. არსენას სისადავე იმაშია, რომ ისეთი მეთოდებით და იმგვარად აწარმოებდა ბრძოლას, როგორც ამას ხალხის ინტერესები მოითხოვდა.\*\* ეს ასე აქვს გაგებული მიხეილ ჭავჭავიძისა და ამიტომაც, რომ რომანს მთელ სიგრძეზე წითელ ხაზად გასდევს აღნიშნული „უძლიერესი სოციალური სიმართლე“ — დადებით პერსონაჟთა ყოველდღიურ საქციელში ამეტყველებული. დევიზი „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს“ უნდა ჩაითვალოს სახალხო პოემისა და რომანის ერთ-ერთ ძირითად საკვანძო მოტივად.

ბ. ჭავჭავიძელი წერილში „როგორ იწერებოდა „არსენა მარაბდელი,“ აცხადებს: „ცხადია რომ არსენამ დიდი ზნეობრივი ძალის წყალობით მოიპოვა სახელი. მას სისხლით არ მოუპოვებია ვაყუაცობა. სხვა მის მაგიერ ფარსადან ბოდბის-

\* ბ. ბუაჩიძე, კრიტიკული წერილები, 1960, გვ. 140.

\*\* გრ. კაკიაშვილი, არსენა ქართულ ლიტერატურაში, 1955, გვ. 43.

ზველს კბილებით დაჰგლეჯდა, მარაბდელმა კი ზეკაცური სულგრძელობა გამოიჩინა და უპატიებელი დანაშაული აპატია. ვაჟკაცობის კულტი და ერთგვარი სულიერი კეთილშობილება — აი რამ მომცა ოძელაშვილის ხასიათის გასაღები.“ თითქმის ამასვე იმეორებს მწერალი მეორე ადგილას: „შესაძლოა გაძახებინონ... ოძელაშვილის ხსოვნა უცნობი ავტორის წყალობით ცოცხლობსო. ნაწილობრივ ესეც მართალია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ სხვა სისხლიან გავარდნილობაზე ნათქვამი ლექსები მოკვდა, უსისხლო „არსენა“ კი ისევ ცოცხალია... აი რამ მომხიბლა და რამ შეიპყრო ჩემი აზრი.“

მწერლის აზრით, არსენას სახელის უკვდავება მხოლოდ იმან განაპირობა, რომ მას სისხლი არ დაუღვრია, „კაცის ცოდვა“ არ დაუდვია, რასაკვირველია, საეჭვო არავისთვისაა, რომ არსენას პოპულარობის სათავედ მისი ვაჟკაცობა და ზნეობრივ-სოციალური საქციელი იქცა, მაგრამ ხალხის ღირსი რომ არ შეხებოდა მის საგმირო საქმეს, განა იცოცხლებდა არსენას სახელი თაობიდან თაობაში? არა. ამის გამო მ. ჭავჭავაძის განცხადება: „დაუჯერებელია „არსენას ლექსს“ შესძლებოდა ეცოცხლებინა „მარაბდელი ბიჭიო“, დაუჯერებლად გვეჩვენება და გვეგონია, რომ მხოლოდ ხალხის პოეტურმა მთავგონებამ, მისმა ხსოვნამ და მალაღმა შემოქმედებითმა შესაძლებლობამ გადაარჩინა „დაღუპვას“ არსენას სახელი. ეს ბოლოს მ. ჭავჭავაძის იგრძნო და ერთგვარად შეარბილა კიდევ ადრე ნათქვამი. იმის თქმა, რომ „ოძელაშვილის ხსოვნა უცნობი ავტორის საშუალებით ცოცხლობსო, ნაწილობრივ მართალია.“ მაგრამ არსენას უსისხლობა მას მაინც მიაჩნდა სახალხო გმირის უკვდავების წყაროდ.

„არსენა მარაბდელის“ ავტორს ვერც იმაში დავეთანხმე-



ბით, თითქოს სხვა გავარჯნილები, რომელთაგან ზოგს „არსენაზე უფრო დიდი საქმენი საგმირონი ჩაუდენია“, მიჰქრა და მათზე „ნათქვამი ლექსები მოკვდა.“ ქართულ ხალხურ შემოქმედებას თავისი არსებობის უხსოვარი დროიდან თითქმის არც ერთი ჭეშმარიტი გმირის სახელი არ დაუკარგავს, ყველასათვის მიუზღავს შესაფერი მხატვრული სიტყვა, ხოლო თუ არსენას სახელმა პოპულარობით სხვას გაუსწრო, ეს იმის ბრალი როდია, თითქოს ქართულ სინამდვილეს არსენას ბადალი არ ეშობოს, არამედ საქმე ისაა, რომ ხალხური მთქმელის პოეტური შესაძლებლობა ყოველთვის ერთნაირი როდია... „არსენას ლექსში“ სახალხო გმირის „საქმენი საგმირონი“ პოეტური ხელოვნებითაა გადმოცემული. ამით იქცა იგი „ხელიხელსაგოგმანებლად“ და ჯავახიშვილის სიტყვები იმის შესახებ, რომ „ჯერ არცერთ მეფეს პოეტისათვის უკვდავება არ მიუნიჭებია, პოეტებს კი ბევრი გვირგვინოსანი და უგვირგვინოც უკვდაუყვიათო,“ აქ დასტურდება სწორედ. ხალხურმა პოეზიამ უკვდავყო ნამდვილად უგვირგვინო არსენა ოძელაშვილი.

მწერლის ამ თეორიულ მოსაზრებას (უსისხლო ბრძოლამ შეუქმნა უკვდავება სახალხო გმირს) კრიტიკოსებმა ძებნა დაუწყეს „არსენა მარაბდელში.“

ბ. ბუაჩიძე წერდა: „ჯავახიშვილს აქვს თავისი შეხედულებანი სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ეს შეხედულებანი მან ხელოვნურად ჩააქსოვა „არსენა მარაბდელში“, რითაც განსაზღვრა მისი მოქმედება. ამ საკითხში არსენა — ავტორის შეხედულებათა მატარებელი, გამოდის უსისხლო რევოლუციის მოციქულად.“

დაახლოებით იმავე აზრს იზიარებდა ლ. კალანდაძე (1933 წ.): „ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მხატვარს... უსისხლო რე-

ვოლუციონერის სიყვარულმა დააწერინა „არსენა მარაბდე-ლი“... „მხატვარი გვიხატავს მას უაღრესად უარყოფითად განწყობილს ყოველგვარი სისხლის ღვრისადმი. ავტორი ამ თვისებას მეზრძოლის ღირსებად თვლის.“ ს. ჭილაია კი წერდა: „ხალხურ არსენაში თავისი ვიწრო იდეური ჩარჩოების გამო, შეიძლება გამართლება ჰქონდეს არსენას დევიზი: „ხუთმეტ წელსა ყაჩაღად ვარ, კაცის ცოდვა არ მადევსა,“ მაგრამ... ეს მოტივი არ გამოდგება ჯავახიშვილის არსენასათვის.“

„არსენას უსისხლო რევოლუციონერობას,“ მის „უსისხლო ომს“ ვერ შერიგებიან აგრეთვე მკვლევარები ს. ხუნდაძე, შ. რადიანი და სხვები.

სახალხო გმირი მართლაც ერიდებოდა სისხლს. „არსენას ლექსსა“ და ზეპირგადმოცემაში ამაზე საგანგებოდაა ყურადღება გამახვილებული. მაგრამ რა მდგომარეობაა რომანში? ჩვენ ვფიქრობთ, კრიტიკოსების საყვედური მწერლის მიმართ არ არის სამართლიანი. ის ფაქტი, რომ მწერალი მოხიბლული იყო ხალხური არსენას „უსისხლო ვაჟაკობით,“ ლაპარაკობს მ. ჯავახიშვილის დიდ ჰუმანიზმზე, ადამიანის სიყვარულზე, უანგარიშო სისხლისღვრისადმი და კაცთა კვლისადმი უარყოფით დამოკიდებულებაზე. მწერალი უფრო მეტად მტრის მორალური განადგურების მომხრეა და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაშია მზად — მიმართოს იარაღს.

არსენას ტიპში მწერალს რაიმე საკუთარი „თეორია“ არ ჩაუქსოვია. მხოლოდ ხალხური არსენას ზნეობრივმა დევიზმა („კაცის ცოდვა არ მადევსა“) ითამაშა დიდი როლი რომანის გმირის ხასიათის ჩამოყალიბებაში, თუმცა, ეს უკანასკნელი მაინც არ შეიძლება ჩავთვალოთ უსისხლო რევოლუციონერის ტიპად. ამის საშუალებას არ იძლევა თვით რომანი.

ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ მ. ჯავახიშვილის გმირი, როგორც ვთქვით, დიდადაა დავალებული ხალხური არსენასაგან. მაგრამ ამავე დროს ლიტერატურული არსენა ხალხური არსენას ფოტობირი კი არ არის, იგი დაძაბული შემოქმედებითი ძიების შედეგად მიღებული ახალი სახე, ახალი „მეა.“ არსენას ახალი „მე“ მოქმედებს ისე, როგორც მოითხოვს რომანის მხატვრული განვითარებისათვის აუცილებელი სიტუაციები — არსენა ღვრის სისხლს. მივმართოთ მაგალითებს: „გავეშებული არსენა მალიმალ ისროდა და სხვასაც აჩქარებდა,“ „ენგიჩარი შეტორტმანდა, ისევ გასწორდა, წინ გადაეტა და მსროლელს ხმალის წვერიდა მიაწვდინა შუბლში. — აგრე!.. მარჯვენაში გენაცვალოს არსენაი.“ ან კიდევ: „ეს საზარელი ვალალი და გოდება არსენას გულს ცხელი ხანჯალივით ერჭობოდა. თოფს ზედიზედ სკლიდა და ნანობდა, რომ ორის მაგიერ ასი თოფი არ ეჭირა.

— ჩქარა! მოიტა! გასტენე! — ყვიროდა მარაბდელი და არც ერთ ტყვიას არ აცდენდა... აქამდე, ოძელაშვილს სისხლის ერთი წვეთიც არ ჰქონდა დაღვრილი, ახლა კი ნიაღვარი მოუშვა და ყოველ სალდათის წაჭყევაზე სინანულის ნაცვლად სიხარულით იხრჩობოდა. წინათ კი ეგონა სისხლი დამტანჯავს და ცვილსავით დამადნობსო“...

მსგავსი ადგილები ბევრია რომანში. ე. ი. არსენას სახეში, ერთის მხრივ, მოჩანს ხალხური არსენას ზნეობრივი მხარე: ვერიდება სისხლს, კაცის კვლას, ინდობს მტერს (კუჭატნელი, ნათლიმამა) და ა. შ. მეორეს მხრივ, კი, განვითარებულია გმირის ხასიათი მხატვრული სიტუაციების მოთხოვნისდა მიხედვით.

სწორი იყო თუ არა მწერალი, როცა ახდენდა ხალხური არსენას ხასიათის ფსიქოლოგიურ გარდაქმნას. მ. ჯავახიშვი-

ლი, რასაკვირველია. მოიქცა ისე, როგორც ქეშმარიტ რომანისტს შეეფერებოდა. მან არ უღალატა ისტორიულ სინამდვილეს, არსენას ზნეობრივი სახე იმნაირად წარმოგვიდგინა, როგორც ხალხი იცნობდა, თანაც დაიცვა მხატვრული სიმართლე, გმირი ამბავის მხატვრული განვითარების კანონზომიერებას დაუმორჩილა, დააღვრევინა სისხლი, მაგრამ ზომიერად. ჭავჭავიძის თქმის არ იყოს, არსენას რომ სისხლის ნიაღვარი მოეშვა „მისი ტიპი ძირფესვიანად დაირღვეოდა და გავზვიადებულ ციკლოპურ დევად გადაიქცეოდა.“ ამრიგად, საკითხის ისე დაყენება, რომ „არსენა“ ავტორის შეხედულებათა მატარებელი გამოდის, „უსისხლო რევოლუციის მოციქულად“, ან კიდევ, მხატვარი გვიხატავს მას უღრესად უარყოფითად განწყობილს ყოველგვარი სისხლის ღვრისადმი,“ არ გამოხატავს რომანში მოცემულ ნამდვილ ვითარებას.

„არსენას ლექსის“ რომელ ვარიანტს ვერცხვამ ვხედავ? რომანისა და „არსენას ლექსის“ სხვადასხვა ვარიანტების ურთიერთშეჯერებამ აჩვენა, რომ მ. ჭავჭავიძის ამბის განვითარების თვალსაზრისით ძირითადად ტრადიციულ, პ. უმიკაშვილის ეულ ტექსტს (1874) მიჰყვება. ის ზოგი ეპიზოდი, რომელიც უმიკაშვილთან არ გვხვდება, არც რომანშია შესული. ამავე დროს შეინიშნება საგულისხმო გარემოებაც. რომანში გაშოყენებული „არსენას ლექსის“ ნაწყვეტები თუ ცალკეული ფრაზები რომელიმე აღრიცხულ ტექსტიდან გადმოღებული არ ჩანს. ამაზე მიგვანიშნებს „არსენა მარაბდელში“ ჩართული ზოგიერთი სტროფის სიტყვიერი შედგენილობა და სტრიქონთა ანატრადიციული თანმიმდევრობა. მაშ, რომელი ტექსტით სარგებლობდა მწერალი? აქ შეიძლება ორი ვარაუდის დაშვება: 1. „არსენას ლექსი,“ რომელიც მწერლის სიცოცხლეში სულ ორმოცდაათჯერ იმინც გამოიცა, მ. ჭავჭავიძელმა ზეპირ-

რად იცოდა („არსენას ლექსი მეც ზეპირად ვიცოდი“). ამის გამო მოსალოდნელია, რომანის წერისას, მწერალი ეყრდნობოდა საკუთარ მეხსიერებას და ლექსების ზეპირ ციტაციას ახდენდა. 2. მწერალი ჩვეულებრივ, მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ნაწერებში სხვა წყაროებიდან მოშველიებულ სიტყვებს, როგორც სხვათა ნათქვამს, სვამს ბრჭყალებში. ასე ექცევა „არსენას ლექსის“ სტროფებსაც, რომლებიც თავისი სიტყვიერი შედგენილობით, როგორც ვთქვით, არ ემთხვევა არც ერთ აღრიცხულ ვარიანტს, რაც გვაფიქრებინებს: „არსენა მარაბდელის“ წერასთან დაკავშირებით მწერლის მიერ გაწეულ საველე დაზვერვით მუშაობას იქნებ შედეგად მოჰყვა ახალი ვარიანტის მოპოვება და ეს უკანასკნელი გახდა რომანში ჩართული „არსენას ლექსის“ სტრიქონთა წყარო?! მაგრამ, სანამ არ აღმოჩენილა სათანადო ჩანაწერები, მანამდე ეს მოსაზრება ჰიპოთეზის ფარგლებში რჩება და ჭეშმარიტებასთან ახლოს მდგომად პირველი ვარაუდი უნდა მივიჩნიოთ.

„არსენას ლექსისა“ და „არსენა მარაბდელის“ შედარება წამოჭრის, აგრეთვე, სხვა საკითხებს: 1. რა მოტივები და ეპიზოდები არ აუღია მწერალს ხალხური სალაროდან და 2. რომელია ის მოტივები, რითაც რომანი სცილდება ხალხურ პოემას?

ტრადიციულ ტექსტში მოიპოვება ცალკეული მოტივები, რომლებიც „არსენა მარაბდელში“ არ გვხვდება. ასეთია: შეხვედრა სონეხთან, სიძე-სიდედრის ეპიზოდი, თონეთში ქეიფი, სამადლოს ღუქანზე ფილიპესათვის ცხენის წართმევა, მარტყოფის დღეობა და სუმბათოვ-მაკაროვთან შეხვედრა და სხვ. ასევე, რომანში ვერ ვპოულობთ „არსენას ლექსის“ ვარიანტებში დაცულ შემდეგ მოტივებს: მოახლესთან ერთად ზაალის ცხენის გატაცება, ზაალზე ცოლის წართმევით დაქად-

ნება. ხახამისადმი ხურჯინის წართმევა, ურიების არზა ხელ-  
მწიფისადმი არსენას ალაგმვის მიზნით, იმერლისათვის ცხენის  
წართმევა, ქეიფი თელეთის საყდართან, თათართან შეხვედრა,  
ცხენზე შევაჭრება.

ეს მოტივები ისეთი კერძო შემთხვევებია, რომლებსაც  
მხოლოდ ხალხური მთქმელისათვის თუ ჰქონდა ერთგვარი მნი-  
შენლობა არსენას ხასიათის გამოსაკვეთად, მწერალს, რასა-  
კვირველია, ისინი ვერ დააკმაყოფილებდა, მას უფრო დიდი.  
მკვეთრი სოციალური მოტივირება სჭირდებოდა რომანში.

რომანი გამდიდრებულია მრავალი ახალი (მოტივითა და  
ეპიზოდით, რომელთა შესაბამის მასალას ვერ ეპოულობთ  
ხალხურ სიტყვიერებაში. ასეთია: რომანის ექსპოზიციურ ნა-  
წილში — ჭიდაობა, შემდეგ დოლი, ნამცეცობა, ეგზეკუცია,  
თავყრილობა ეკლესიაზე, გაროზგვა, დამწყვდევა და სხვა,  
რომლებიც მწერალს სჭირდება კონფლიქტის გაღვივებისათ-  
ვის, რამაც მკვეთრად უნდა აჩვენოს ხიდიჩატეხილობა ბატონსა  
და ყმას შორის. განსხვავებულ ეპიზოდებს მიეკუთვნება აგრე-  
თვე „არსენას ბუნაგი,“ გორულას კოშკში მომხდარი ამბავი,  
ქვიშხელი სუმბათაშვილის უღელში შებმა, ბარათაშვილის  
ოჯახის დაწვა, დიღმის თავშეყრა, სუმბათაშვილების ამოწყვე-  
ტა, რომანის ფინალი — არსენას შთამომავლობის მისწრაფე-  
ბები და სხვა.

**სხვადასხვა ხალხური ჟანრები რომანში.** რომანში დიდი პატი-  
ვისცემით სარგებლობს ხალხური ლექსი. იგი გამოყენებულია,  
როგორც პერსონაჟთა სულიერი განწყობილების საზომი, სი-  
ტუაციის, გარემოს ორგანული კომპონენტი, მოქმედ გმირთა  
დახასიათებისა და მათზე ემოციური ზემოქმედების საშუალე-  
ბა, სურათის სამკაული და ა. შ. „არსენა მარაბდელში“ სამო-

ცამდე დასახელების ლექსს ვხვდებით, აქედან ხალხური და ნახევრად ხალხურია ორმოცდაათი, სათვალავში არ შეგვაქვს მცირე პოეტური სტრიქონები, აფორიზმები, ანდაზები და სხვ.

ზეპირსიტყვიერი ლექსები თავისთავად იყოფა საკუთრივ ხალხურ და ხალხურ ყაიდაზე შექმნილ ავტორისეულ ლექსებად.\* ეს დაყოფა, რასაკვირველია, პირობითია. ყველა ლექსი (ხალხური, ლიტერატურული, ავტორისეული) ნაწარმოებში წარმოდგენილია ცალკეულ სიტუაციებთან ორგანულ მთლიანობაში. „არსენა მარაბდეღში“ დაპირისპირებულია ორი სამყარო. ერთ მხარეზეა მშრომელი ხალხი, მეორე მხარეზე — მაღალი სოციალური წრე, სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატი. მწერალს მობილიზებული აქვს ორთავე მხარის საბრძოლო-სასიცოცხლო საშუალებანი. გლეხობის იმხრივ: მორჩილება, მოთქმენა, ხვეწნა, გადაკრული სიტყვა, გაფრთხილება, დაქადება, ფიზიკური ძალა, იარაღი; ბატონებისა და სახელმწიფო მოხელეების მხრივ: დატუქსვა, დარბევა, აბუჩად აგდება. აწროკება, ფიზიკურ-მორალური შეურაცხყოფა, ღაპათიმრება, გასამართლება, სიკვდილით დასჯა... არის კიდევ ერთი მეტად ეფექტური საშუალება, რომელიც ავლენს დაპირისპირებულთა სოციალურ ბუნებას. ეს გახლავთ ხალხური მხატვრული სიტყვა-ლექსი, სიმღერა, ზღაპარი...

გავიხსენოთ ნამცეცობის სცენა: ჭოჭინაში მონებიერე ზაალის ვაჟიშვილი დავითი ღიღინებდა: „მისი კილო სევდით იპრანჭებოდა, ქალბიჭურად ქვითინებდა და ნაძალადევად

---

\* ზოგჯერ მწერალი ვერ ნახულობს მხატვრული სიტუაციის შესატყვის მზა ლექსს და იძულებული ხდება საკუთარი ძალები მოსინჯოს. აქედან გამომდინარე, საქმე გვაქვს ხალხურ სტილზე შექმნილ ან ავტორის მიერ სტილიზებულ ხალხურ სტროფებთან. იხ. ტ. IV, გვ. 79, 81, 182, 209, 210, 219, 264, 503, 504, 524.

ჰკენესოდა. ხოლო ლექსი მთვარის, ვარდისა და ბუღბულის შუა გახლართულიყო და კაკანათში გაბმული ჩიტვიით ფართხალებდა. ყოველგვარი... ყაიდები მიღეული სულის უღონო ამონაბერს და გალახული ბაღლის სლუკუნს ჰგავდა, რომელსაც მოთქმისა და ტიტინის მეტი აღარაფერი შეეძლო.

ახალ აღნაგო სულოდა,  
ედემში ამოაულოდა..

დროგამოშვებით მომღერალი სულს ითქვამს, ქება-დიდებით ილოკავს გულს და ისევ ვარდს დასტირის, იადონს დაჰკენესის...“

მეორე მხარეს, სწორედ იმ დროს, როცა ჭადრის ქვეშ „ბუღბულ-ვარდი, ბადრი მთვარე“ ჩიფჩიფებდა, მიწურიდან ღვთისავარის ქუხილი ამოვარდა:

შენ, ბიჭო, გუდარეხელო!

და შენაძახი უმაღვე ოციოდე გლეხმა მოიტაცა და ძლიერი გუგუნით გაჰყვა ბელაღს, რომელმაც ფოლად-ვერცხლის ზარივით ჩამოსძახა:

შენ, ბიჭო, გუდარეხელო,  
შენი ხმა ჩამოდიოდა,  
შენი ნახოცი ლეკები  
აღკეთში ჩამოდიოდა...

ამას მოჰყვა „გუთნურ-მიწური“ პატრიოტული („ხმაღს როღი მომიშვიღება“), ბატონის სათრეველი, გლეხის ნატვრა („ღმერთო, ნუ მოშლი გლეხისთვის“), ხარის საჭებარი, ბედის ჩივილი, კვლავ ბატონის სათრეველი და ა. შ.

ერთი მხარეც და მეორეც თავისი ლექს-სიმღერებით ავტორს აძლევს საშუალებას მკითხველი მიიყვანოს დასკვნამ-



დე: ბატონსა და ყმას შორის ხიდი ჩატეხილია, რომ ბატონი მხოლოდ ვარდ-ბულბულს უმღერის, მთვარეს შეჰყეფს უღარდელად, ნებიერად, ქალბიჭურად, გლეხი კაცი კი ქეიფის დროსაც საბრძოლველადაა შემართული:

მაცალე ერთი გავმართო  
ჩახმახი ცეცხლის კვესია,  
სულ ერთად მოგამკვივნო (ბედო)  
რაც გლეხზე დაგითვისია.

ხალხური ლექს-სიმღერების მოშველიებით მწერალი გვაცნობს ბატონის წინააღმდეგ ამხედრებული გლეხების ფიქრებს და მისწრაფებებს.

ლექს-სიმღერა მხარეთა საბრძოლო იარაღად მწერალს გამოყენებული აქვს რომანის წამყვან თავებში. მოვიგონოთ „არსენას ბუნაგი“ და ნადიმობა ჭავჭავაძის ოჯახში. პირველ შემთხვევაში ძალუმად, აღმგზნებლად, საუაჟკაცო მოწოდებად ეღერს მნატვრული სიტყვა: თავადიშვილთა ნადიმზე კი ცივად, უსიცოცხლოდ, ფრთა ჩამოშვებულად გაისმის თავისთავად კარგი ლექსები... აქ ყველაფერი მოზომილია, ხელოვნური, კალაპოტში ჩასმული. არსენას ძმადნაფიცების ხელში ლექსი ბრძოლის ეინითაა სავსე, თავადების ხელში კი ფერსა და იერს მოკლებულია. ამის მიზეზი ისაა, რომ არსენას ძმადნაფიცები, როგორც დიდი ილია იტყოდა, შეკრულნი არიან გვირისტით, „იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება — ხომ იცი რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არიან, ჩვენ — დონდლონი, დუნენი. იმათს სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კვნესაა და მაინც სიმღერას ეძახიან. ჩვენი სიმღერა კვნესა არ არის და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევია.“

რომანში ჩართული ლექსები მრავალფეროვანია თავისი

თემატიკითა და უანრიით. თვითეული მათგანი მწერალს გამო-  
ყენებული აქვს სხვადასხვა მიზნით: მხატვრულ დეტალად,  
ეპიგრაფად. ეთნოგრაფიულ კომპონენტად, სოციალურ სა-  
ტირად, ემოციის საშუალებად და სხვ.

პატრიოტული მოქმედების დევიზადაა რომანში მოხმო-  
ბილი ცნობილი ხალხური ლექსი: „კიდევაც დაიზრდებიან“.  
მას მწერალი პირველსავე თავში მიმართავს, სწორედ მაშინ,  
როცა არსენა დროშას ართმევს არლოვს.

„კიდევაც დაიზრდებიან“ რომანის სხვა თავებშიც გვხვდება,  
იგი წარმოადგენს დემოკრატიული ძალების საბრძოლო ჰიმნს.

„არსენა მარაბდელის“ თითქმის ყველა აბზაციდან გამოს-  
ჰვივის მკაცრი ტენდენცია: ბატონყმობა, როგორც დრომო-  
ჭმული სოციალური ინსტიტუტი, უნდა მოისპოს, რასაც მხარს  
უჭერს რომანში ჩართული უამრავი ხალხური ლექსი, ანდაზა  
თუ ფრთიანი თქმვა, ლოცვა, სადღეგრძელო, ტირილი თუ მოთ-  
ქმა. სწორედ ამიტომ, რომ დაღებით პერსონაჟთა რეპერტუ-  
არი სავსეა ისეთი ლექს-სიმღერებით, როგორიცაა: „მუცელი  
აზნაურის.“ „ღმერთო. ნუ მოშლი გლეხისთვის,“ „ღმერთო  
წვიმა მოიყვანე“ და სხვ. ბატონის რისხვით გულმოკლული  
გლეხი იგონებს ლექსს „ბედო, დამჩაგრე, არ ვტირი,“ მაგრამ  
უიმედობასა და ბედზე ჩივილს მალე მოჰყვება ოპტიმისტური  
განწყობილება: „ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დღეში, მაგრამ არ  
დამიკვნესია,“ — ამბობს ღვთისაგარი და მთელ სოფელს აი-  
ყოლიებს.

„არსენა მარაბდელი“ ერთ-ერთი პირველი ისტორიული  
რომანია ქართულ ლიტერატურაში, რომელიც უშუალოდ ხალხს  
შეეხება. ამის თქმის საშუალებას იძლევა არა მარტო ის,  
რომ „არსენა მარაბდელი“ ხალხის ხსოვნაში შემონახული გმი-  
რის ცხოვრებაზეა აგებული, არამედ მწერლის შეუდარებელი

ოსტატობა, სცენაზე გამოიყვანოს მასები, მშრომელი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლები. საილუსტრაციოდ ბევრი ადგილის დასახელება შეიძლება. თუნდაც რომანის დასაწყისში მოცემული დიდი სახალხო ცერემონიალი — ჭიდაობა, ან კიდევ ცხრა ძმათა საფლავზე თავყრილობა. მასობრივ სცენებს მწერალი ყოველთვის ტრადიციულ ხალხურ სანახაობებთან, საწესჩვეულებო ცერემონიალებთან, ეთნოგრაფიულ მომენტებთან აკავშირებს (ბერიკაობა, ყეინობა, ნამცეცობა, დოლი და ა. შ.). ალ. ყაზბეგის მსგავსად, მ. ჯავახიშვილისათვის ეს მომენტები „წარმოადგენს გარკვეულ შემოქმედებით ფაქტორს, რომელსაც ავტორი შეგნებულად მიმართავს და დიდი ოსტატობითაც იყენებს (ელ. ვირსალაძე).

ხალხის მასების დასახატავად, მათი საბრძოლო შრომითა შემართების, ურთიერთ გატანისა და მოძმეთათვის დახმარების საჩვენებლად მწერალი ეთნოგრაფიულ მომენტთან ერთად თვალწინ გადმოგვიშლის გლეხების კოლექტიური შრომის პროცესებს, კერძოდ, მკის სურათს, რომელშიაც საინტერესოდაა ჩართული სამკალი-სიმღერები. არსენამ ქვიშხეთის ბატონი კავიდან გამოხსნა და გლეხებს მიაშურა მკაში დასახმარებლად.

„ჩოხა-ახალუხი გაიხადა: — ნამგალი დაიჭირა და დაიძახა:

— აბა, დავიწყოთ!

ოციოდე კაცი ისე დახტის ყანაში მარჯვნივ და მარცხნივ, თითქოს რალაცას ეძებდნენ და ყველა მათგანს ეშინოდა პოვნაში სხვამ არ დაჰმასწროსო. გაღესილი ნამგალი სხვილ-ყივილით პრიალებს. თითო მომკალს თითო მიმყოლი მისდევს, რომლებიც ხელეუბრებს აგროვებენ, ულოთ კრავენ და ძნებს

ისე მწკრივად აყენებენ, თითქოს რუსი სალდათები სავარჯიშოდ გამოსულიყვნენ.

— ჰოპუნა, ჰოპ! ჰოპუნა, ჰოპ! — რითმულად იძახის ოძელაშვილი და გაგიჟებული ფოცხვერივით დახტის ყანაში.

— ჰოპუნა, ჰოპ! — ერთხმად იმეორებენ სხვები და მარაბდელს გვერდით მისდევენ.

მუშაობა შეჯიბრებად გადაიქცა... მარაბდელი კვლავ ორმაგ-სამმაგ სიგანეზე დააღაჭებდა, წინაურდებოდა და... ხალვათად მღეროდა.

ნენ ღვინო დამალევიანე, ყანაც მომკილი გეგონოს,  
და თუ წყალს დამალევიანებ, ნულარც მომკილი გეგონოს.

მეორე გუნდი მაშინვე უბრუნებდა პასუხს:

ასე ჰგონია ღუშმანსა, არცა ხვნენ, არცა თესვენო,  
არცა უბიათ ხარები, არცა კალოსა ლეწვენო.

არსენა კრიჭაში ედგა და ლექსს პირიდან ჰგლეჯდა:

ქვიშხელნი მკიან ყანასა, ნალიასა და ჩალასა.  
სიცხესა დაუბნეღია, ველარ ატანენ ძალასა!

მწერალი, კოლორიტულად აგვიწერს რა მკის პროცესს, მიუნიშნებს იმაზე, თუ როგორ ზრდის შრომის რიტმსა და ბარაქას შესაბამისი ლექს-სიმღერები. მაგრამ აქ მთავარი სწვა რამაა... მწერალს სურს გვიჩვენოს როგორც ხალხის ლალი, ხალისიანი, დაუღლეი, დინამიური სახე, ისე სახალხო გმირის ხასიათი, მისი შრომისადმი გლახკაცური დამოკიდებულების სიცხოველე.

მ. ჯავახიშვილი, აგრძელებს რა წინამორბედი ქართველი მწერლების ფოლკლორისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების ტრადიციებს, ეთნოგრაფიული და ხალხური წესჩვეუ-

ლებრივი ცერემონიალების გვერდით, რომანში ხატავს ფოლკლორულ გარემოს და ამით კიდევ უფრო ახლოს მიდის ფართო მასების სულიერ სამყაროსთან.

მოვიგონოთ ცმადნაფიცების ბუნაგი, გარდა იმისა, რომ იგი ბოროტების დამთრგუნველთა შტაბია, წარმოადგენს კოლექტიურ შემოქმედების შესანიშნავ უბანს, სადაც ლაღად გაუშლია ფრთები ხალხურ ხელოვნებას; აქ საბრძოლველად შემართული ლტოლვილების აქტივობის წყაროდ მოჩანს „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვის ხალხური ტრადიცია, სახალხო თამაშობანი (ოთურმა, სალაობა, დამიკარა, ჩალიჩი, აგანგალა, ჩილიკა), ჯირითი, მიზანში სროლა, ჭიდაობა, შაირობა, კაფიობა, მეზღაპრეობა და ა. შ. ყურადღებას იქცევს კაფიობის ტრადიციის მოხდენილი გამოყენება.

...მარინეს მეტად მწარე ენა ჰქონდა და მოსალმუნეს მაშინვე სჯობნიდა და აწვალებდა.

„ლაცე ბიჭმა“ მიახალა:

წუხელისა სიზმარშია, ბაბილოს ქვეშე მეძინა,  
ქვეშ მეგო კარგი ორხუა, ზედა ღრუბელი მეხურა.  
გვერდ მეწვა ქერა გოგონა, მკლავი-მკლავ გადამეხვია.  
წითელ მურანზე ვიჭექი, ლურჯა მარჯაფად მეჭირა,  
ნახტომი ჯიხვი მომეკლა, ტახტაზე ჩამომეკიდა.

სტქვა და გაჩუმდა. ყველამ მარინეს გადაჰხედა, რომელსაც ეს ლექსი უნდა გაეგრძელებინა. ტყის პოეტი ცოტა ხანს სდუმდა, შემდეგ სახეზე ცუდლუტი ღიმილი აესახა და მოუჭრა:

ნუ სტყუი ბიჭო, ნუ სტყუი, სალორის კარსა გეძინა,  
ქვეშ გეგო ჩალა-ჩულანი, ზედ ნაბდის ფიჩვი გეხურა,  
გვერდ გეწვა ძალი ყურშია, მკლავი ზედ გადაგეხვია,

წითელ ტურაზე იჯექი, მელა მარჯაფად გეჭირა,  
ნახტომი კეი ნოგეკლა, კისერზე ჩამოგეკიდა.

ლაყე ბიჭი ისე გაიქცა, თითქოს ქურდობაზე დაიჭირესო.

ეს ადგილი საინტერესოა ფოლკლორისტული თვალსაზრისითაც. მწერალი აქ „კაფიობის“ ნაცვლად ხმარობს ორიგინალურ გამოთქმას „ექსპრომტით სალმუნობას.“

მწერალი არაიშვიათად მიმართავს აგრეთვე სათრეველ ლექსებს. ამ მხრივ საინტერესოა სიტუაციასთან მისადაგებული იგივე მარინეს ნათქვამი სტროფა „ლაყე ბიჭის“ მისამართით. „ლაყე ბიჭმა“ დაჰკარგა ქისა და თქვა, შიგ მარგალიტი მედოო. მარინემ იპოვნა ეს ქისა და გამოააშკარავა „ლაყე ბიჭის“ ტყუილი:

ბიჭო, შენი ქისა, ბუშტი არის თხისა,  
შიგ ნადები მარგალიტი, კვინწი მარილისა.

ხალხურ პოეზიასთან ერთად მწერალი ხალხურ პროზასაც მიმართავს. ზღაპარი მისი პერსონაჟების სულიერი საზრდოა. იგი აძლიერებს ძმადნაფიცთა მისწრაფებას ბოროტების წინააღმდეგ, ხელს უწყობს პერსონაჟების გრძნობად-კონკრეტულ, სახეობრივ ჩვენებას. „მათი ზღაპარი, — შენიშნავს ავტორი, — ყველა ერთ ღერძზეა შედგმული: ბოროტი მუდამ მარცხდება, კეთილი კი იმარჯვებს, ძლიერი იღუპება, საწყალი კი რჩება; ავიკაცი აღუღებულ კუპრში ვარდება, მართალი კი ბედნიერად ცხოვრობს.“

მწერალი დაკვირვებული თვალთ აგვიწერს ზღაპრის თქმის ტრადიციას. „მუხის ძირში ვინმე ზღაპარს ჰბუტბუტებს. ყველანი დაჰყეტილი თვალებით უსმენენ“. უსმენენ და მოსმენილს გადაჰყავს ისინი ათასნაირ ფიქრებში. ახსენდებათ „თავიანთი ვინაობა და თავგადასავალი... დიდი ვარამი და პაწია

სიხარული...“ თვალწინ უდგებათ მიწა, ოჯახი, სოფელი, რად-  
გან „მათი თვალის არე მხოლოდ სოფელია, მათი სიტყვა მხო-  
ლოდ მიწიდან ამოდის, მათი აზროვნება მხოლოდ ბატონყმო-  
ბაზე ტრიალებს და მათი გულიც მხოლოდ გლეხებისათვის  
ჰფეთქავს... სოფლურ ამბებს თავისთავად მოსდევს გლეხური  
ნატურაც: ნეტა ბატონყმობა გადავარდებოდეს და გლეხი თავის  
თავადად გადაიქცეოდეს, ნეტა მოხელეც წავიდოდეს და გლე-  
ხი თავის მსახურს თვითონვე აირჩევდეს... ამ ქვეყანაზე სამუ-  
დამო მშვიდობა ჩამოვარდებოდეს... მაგრამ ეს ხომ შორეული  
ამბავია... ასეთ დროს ტყე მწუხარებით ივსება, ბანაკს მძაფრი  
კაეშ-ნი აწვება... ბოლოს სევდას ისევ სევდიანი სიმღერებით  
იქარებენ...”

რა სოციალურ-ესთეტიკურ ფუნქციას აკისრებს მწერალი  
აქ ზღაპარს?

1. ზღაპრის შინაარსს მსმენელები ასოციაციით გადმოჰყავს  
რეალურ ცხოვრებაში და ჩააფიქრებს საკუთარ მდგომარეო-  
ბაზე. 2. ტყის მეგობრებს არწმუნებს იმაში, რომ ბატონყმო-  
ბაა მათი გავარდნის მიზეზი და საჭიროა ამ ბოროტებათა ბუ-  
დის დანგრევა. ტყის ძმები ზღაპრის მოსმენის შემდეგ მეტად  
ხალისდებიან, „დახტიან, ხაფი ხმით ჰკვივან, ერთმანეთს აფი-  
ცხებენ და... პირიდან ლექსებს სტაცებენ.“ რომანში არ  
გვხვდება რომელიმე ცნობილი ზღაპრის სიუჟეტი, მხოლოდ  
აქა-იქ გამოყოფნავს ხოლმე ცალკეული ზღაპრული მოტივები:  
შაჰს ერთი ხმალი აქვს, მოიქნევს და მთელი ქვეყანა დაინგრე-  
ვაო, ვიღაცამ ხალხს წკეპლის კონა გაახსენა, რომელიც დაუ-  
შლელად ვერავინ გასტეხა; ან კიდევ: ნაცარქექიასა და დევის  
მსგავსად არსენას გადაძახილი ზაალისადმი დროშის თაობაზე,  
სახალხო გმირის საუბარი ცხენთან და ყურშასთან, ძმადნა-  
ფიცების მორიგეობით წასვლა ამბის გასაგებად და ა. შ. რო-

მანში გამოყენებულია, აგრეთვე ლეგენდები, ეპიკური რიცხვები და სხვ. თვითეული მათგანი ემსახურება მწერლის ჩანაფიქრის ნათლად გადმოცემას, ამბავს ხდის ექსპრესულს.

ზაირაადამოცამეანი „არსენა მარაბდელს“ „არსენა მარაბდელს“ სახალხო პოემის გარდა საფუძვლად დაედო სახალხო გმირზე შექმნილი ზეპირი გადმოცემებიც.

გადმოცემები არსენას შესახებ შემოინახა როგორც ცალკეულმა ბეჭდურმა გამოცემამ, ასევე, არსენას მცნობათა მცნობის ხსოვნამ. როგორც „არსენა მარაბდელიდან“ იზკვევა, მწერალი ორივე წყაროს დაყრდნობია. ბეჭდური გადმოცემებიდან მას ხელთ ჰქონდა გერმანელი ეთნოგრაფის ავგუსტ ჰაქსტაუზენის წიგნი „ამიერკავკასიის მხარე“ (1857 წლის რუსული გამოცემა), აგრეთვე, ზაქარია ჭიჭინაძის „საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალების“ ოთხი ტომი (1924-1925 წწ.), რომლებშიც აღნუსხულია არსენას თანამედროვე პირთაგან ჩაწერილი მეტად საყურადღებო ცნობები. მწერალს ჩაუტარებია, აგრეთვე, საველე ფოლკლორული დაზვერვებიც. „არსენას ცხოვრების ამბები, — აცხადებს იგი, — შევამოწმე ბორჯომის ხეობაში, თრიალეთში და სხვაგანაც,“ ამის კვალი რომანშიც ჩანს. (არსენა მარაბდელის დაღუპვის ეპიზოდს საფუძვლად უდევს მწერლის მიერ მოპოვებული ზეპირი მასალა).

საერთოდ, შეინიშნება, რომ არსენას სახელთან დაკავშირებული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი გადმოცემა თუ თქმულება საგრძნობლად მიჰყვება „არსენას ლექსს.“ ხაზგასმას მოითხოვს რომანში ზეპირგადმოცემებიდან მომდინარე მოტივები, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობს ნაწარმოების სრულყოფის საქმეში.



შევეხთ ტიპურ მომენტებს:

რომანისა და „არსენას ლექსის“ შეჯერებისას აღვნიშნეთ, რომ ორივე შემთხვევაში წამყვან სიუჟეტურ მოტივს წარმოადგენს მოახლის შეყვარება-გატაცება. საგულისხმოა, რომ ამავე მოტივით იწყებენ არსენას ამბავს პროზაული ზეპირი გადმოცემებიც. მ. ჭავჭავაძის უთუოდ უხელმძღვანელებია ამ მოტივის შემცველი მასალით. ამაზე მეტყველებს რომანისა და ზეპირგადმოცემათა შესაბამისი ადგილების მსგავსება:

ა) მოახლის თხოვა ბატონისაგან, ბ) ზაალის უკმეხი, დამკირებელი უარი, გ) ბატონისა და არსენას დიალოგის სტილი და ლექსიკა, დ) მოახლის გატაცება და არსენას გასვლა ტყედ.

ხალხური ტექსტისაგან განსხვავებით მწერალს დიალოგში შემოჰყავს მაიორი არლოვი. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ნაწარმოების კონფლიქტი მწერალმა მარტო არსენასა და ბატონს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებაზე კი არ ააგო, არამედ ეს უკანასკნელი თავიდანვე ცარიზმის პოლიტიკასთანაც დააკავშირა. თუმცა ზეპირი გადმოცემებიც არ არის მოკლებული ამ შტრიხს. მოახლის მოტივი ძირითადი ნასკვია არსენაზე შექმნილი ხალხური პოეტური და პროზაული ნიმუშების და აქედან გამომდინარე „არსენა მარაბდელისაც“.

არსენას ციკლის ფოლკლორული მასალების გავრცელებულ მოტივად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე სახალხო გმირის სახელთან დაკავშირებული ახალციხეში გასვლის ეპიზოდი. ამას რელიეფურად გადმოგვცემს პროზაული ზეპირსიტყვიერი ჩანაწერებიც, რაც რომანის სათანადო თავების წყაროდ ქცეულა. სოლომონ თამარაშვილის ნაამბობი, რომელიც თავის დროზე ჩაიწერა და გამოაქვეყნა ზაქარია ჭიჭინაძემ, დეტა-

ლურად ემთხვევა რომანის ცალკეულ ადგილს (მოტაცებული ქალის ახალციხეში გადაყვანა, თამარაშვილებთან შეხიზვნა, ანტონ თამარაშვილის სახე, ჯვრის წერა და ქორწილი), განსხვავება ისაა, რომ გადმოცემების მიხედვით თამარაშვილებთან მხოლოდ არსენა და მისი ცოლი იყო შეხიზნული, ხოლო რომანში კი გაფართოებულია თხრობის არე, ნაჩვენებია არსენასა და მისი ძმადნაფიცების საქმიანობა, ახალციხელ გლეხებთან არსენას დამოკიდებულება, ომში ჩაბმა, არსენას დამარხვა და სხვ. მაგრამ ეს არ გვაბრკოლებს „არსენა მარაბდელში“ შეტანილი ახალციხის გრძელი ეპიზოდის საყრდენ პუნქტად ზემოთ დასახელებული გადმოცემა მივიჩნიოთ.

ხალხური არსენას ხასიათის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შტრიხია მისი სამართალი, დაუნდობელი და მკაცრი იმათთვის, ვინც გლეხებს აწუხებდა. გადმოცემების მიხედვით ამ სამართალს წინ უძლოდა დამნაშავეს (მეპატრონის) ერთგვარი გაფრთხილება, წერილობითი წინადადება — ხელი აეღო გლეხის არაადამიანურ ჩაგვრაზე. ამ გზით არსენას თურმე ბევრი ბატონი დაუშინებია და ბევრი გლეხკაცისათვის შვება მიუცია. რომანში ეს მომენტი დასტურდება არსენასა და მისი ძმადნაფიცების მიერ სუმბათაშვილისადმი გაგზავნილი გამაფრთხილებელი, თანაც ხალხური იუმორით შეზავებული წერილით.

საინტერესოა, აგრეთვე, გადმოცემებსა და თქმულებებში შემორჩენილი და „არსენა მარაბდელში“ მხატვრულად გარდაქმნილი ერთი მომენტიც, რომელიც სუმბათაშვილების ოჯახის ამოწყვეტას შეეხება. რომანის მიხედვით ბატონისა და მეფის მთავრობისაგან განაწამები ძმადნაფიცების ერთი ჯგუფი გადაწყვეტს თავიდან მოიშოროს ქვიშხელი მებატონე სუმბათაშვილი, რომელიც გლეხებს აბამდა კევრში, სცემდა და ზოგ-

ჯერ ახალციხის ბაზარზეც ჰყიდდა. გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს, საკუთარ კერაზე დააკლეს მტარვალი ბატონი და მისი ოჯახის წევრები.

ამ ეპიზოდის ზეპირსიტყვიერი ძირების ძიებამ დაამტკიცა, რომ იგი მწერალს აუღია ხალხური გადმოცემებიდან. ამას ადასტურებს ზ. ჭიჭინაძის მიერ შეკრებილი მასალები, აგრეთვე ხალხური მთქმელის ფიდა კვიციანიძის „ბატონი ზუმბათოვის მოკვლა“, \* რომელიც შინაარსით, მოქმედების განვითარებით, პერსონაჟთა სახელებითა და ზოგჯერ სიტყვიერ ფაქტურითაც ახლოს დგას რომანის შესატყვის მომენტთან, ჩვენი ფიქრით, „შესაძლოა, ეს მოვლენა დ. ჭონჭაძესაც გამოეყენებინოს. ერთმანეთთან ახლოსაა „სურამის ციხესა“ და „არსენა მარაბდელში“ ბატონის ოჯახის ამოწყვეტის სცენა, რაც საერთო ზეპირ წყაროზე მიუთითებს.

„არსენა მარაბდელს“ ზეპირგადმოცემებთან ახლოებს კიდევ სხვა ეპიზოდები და ადგილები: არსენას ცოლის თბილისში ყოფნა მდგმურად, ცრუ არსენებთან ოძელაშვილის დამოკიდებულება, გავარდნილთა ტყეში ცხოვრება, ტყვეების გაყიდვა და სხვა.

ამრიგად, „არსენა მარაბდელის“ შექმნაში მწერალს უდავოდ დაეხმარა სახალხო გმირზე შექმნილი ზეპირგადმოცემები, რომელთაც თავის მხრივ ნამდვილი ამბები ედო საფუძვლად.

ამრსონაშთა სამხარო. მწერალი ერთ-ერთ თავის წერილში მიუთითებს: „ჩემს რომანში ზოგი ისტორიული პიროვნება ჩავეურთე და ზოგიც მოგონილი. ისტორიულია თვით არსენა, მარინე, მეშთა, სიმონა, როსტომი, სევასტი, დამბაშიძე, ზაალი

---

\* ქართული ხალხური ეპოსი, აღ. ლლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით, სტალინირი, 1955, გვ. 93.

და მისი შვილი დავითი, მათი სიძე ჯორაშვილი, ორბელიანები. ალ. ქავჭავაძე, საერთოდ შეთქმულნი, სუმბათაშვილი, კუჭატნელი (სეფისკვერადე), დიდი მოხელენი და თავადაზნაურები. ნოგონილია ღეთისავარი, ერეკლე, მაგდანა, ზურა, კარპიჩა, ბარნაველი, ფიქრია, სულხანი, გიგოლა, არლოვი.“ თუ ფაქტიურ მდგომარეობას ღრმად ჩაეხედავთ, განცხადება მოითხოვს დაზუსტებას... ჯერ ერთი, ისტორიულ პირებად მიჩნეულს ზევრი პერსონაჟი ისტორიაში არ იხსენიება, მეორეც, ავტორის მიერ მოგონილად ჩათვლილი ზოგიერთი გმირი არ არის აბოლუტურად მწერლის ფანტაზიის ნაყოფი.

სად უნდა ვეძიოთ რომანის პერსონაჟთა ნამდვილი წყარო? ხეები აზრით, აქ გათვალისწინებულ უნდა იქნას სამი გარემოება: ფოლკლორი, ისტორია და მწერლის ფანტაზია, რომლებიც ერთობლივად მონაწილეობენ ტიპიზაციის საქმეში.

როცა ფოლკლორული წარმოშობის გმირებზე ვლაპარაკობთ. მხედველობაში გვაქვს ისტორიული მოვლენების ამსახველი ზეპირსიტყვიერება. მაგალითად, არსენა, მისი ცოლი, მეშთა, სიმონა, როსტომი, სევასტი, ღამბაშიძე, ლაცაბიძე, კუჭატნელი ისტორიულ დოკუმენტებს არ შემოუხანახავთ. მაილი ცხოვრება და სახელი ასახულია ზეპირ მასალებში, რომლებიც ისტორიული მოვლენების უშუალო ანარეკლს წარმოადგენენ. ისტორიული მოვლენების და ისტორიული პირების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ზეპირსიტყვიერი ნაწარმოებები კი საისტორიო ზეპირსიტყვიერების უანრს განეკუთვნებიან. ე. ი. დასახელებული გმირები მომდინარეობენ ქართული ფოლკლორის ერთ-ერთი უბნიდან — საისტორიო ზეპირსიტყვიერებიდან.

ყურადღება უნდა მიექცეს მეორე გარემოებასაც. მაგალი-

თად. ზაალი ისტორიული პიროვნებაა, მაგრამ რომანის მიხედვით იგი წმინდა ისტორიულ პირად არ მიიჩნევა, რადგან მისი, როგორც ტიპის ხასიათზე (სიმკაცრე, გულუბრყვილობა, შეუბრალებლობა, სიხარბე და სხვ.) ისტორიული წყარო არას ამბობს. საამისო მასალას იძლევა ნხოლოდ და მხოლოდ „არსენას ლესი“ და საისტორიო ზეპირსიტყვიერი ნიმუშები.

ე. ი. როგორც ვხედავთ, არსებობენ ნახევრად ისტორიული და ნახევრად ფოლკლორული პერსონაჟები, რომლებიც გაცოცხლებული არიან რომანში მწერლის მდიდარი ფანტაზიით.

საკირთა იმ მოქმედ პირებზე დაკვირვებაც, რომლებსაც მონილად თვლის ავტორი (ლეთისავარი, არლოვი, გიგოლა...).

განვიხილოთ ზოგიერთი პერსონაჟის ფოლკლორული წარმომავლობის საკითხი.

არსენა. რა გადაჰყვა არსენას სხეს ზეპირსიტყვიერებიდან რომანში? რომანისა და ფოლკლორული მასალების შეჯიბრება-შეფასებამ დაგვარწმუნა, რომ გმირის ბევრი ტიპური სიშანი მწერალს ხალხურიდან აუღია.

გმირის სახელი. ცნობილია, რომ ხალხური პოემა და პროზაული მასალები მარაბდელ გმირს რამდენიმე სახელით იხსენებს: არსენა ოძგლაშვილი, მარაბდელი არსენა, იოსები, სოსო, გორდა... მწერალი, რომანში თხზულების სათაურიდან მოკიდებული, ყველა სახელს იყენებს მომენტების შესაბამისად. \*

გმირის იღაალი. როგორც მწერალი მიუთითებს და ჩვენც ზემოთ აღვნიშნეთ, რომანის არსენა ძირითად ხაზებში შთა

---

\* მ. ჯავახიშვილი, ტ. VI, გვ. 7, 572. ცნობილია. აგრეთვე არსენას რამდენიმე გვართ მოხსენიების მაგალითი (ოღელაშვილი, ურჯელაშვილი, ბოძალიშვილი), იხ. პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება. პროფ. მ. ჩიქოვანის რედაქციით, ტ. IV, 1964, რედაქტორის შენიშვნები, გვ. 351.

გონებულება ხალხური არსენას იდეალით: „მდიდარს ვართმევ, ღარიბს ვაძლევ“ და „კაცის ცოდვა არ მაძევსა“.

**გზირის აორბრახტი.** აქაც ხალხური ჰიპერბოლის ფარგლებშია მოქცეული მწერალი. რომანში არსენა დახატულია ასე: „უცებ ფორზე არსენას მკერდი — განიერი, თეთრი და ამოზნექილი ბალიში გამოვარდა... ხშირ ხუჭუჭ თმაში მუქი ოქრო ულივლივებდა. სახეზე და მკერდზე ბრწყინვალე მზის შუქი აწვა და იგი ოდნავ წინწამოწეულ კვირიხივით დაჩრდილულ თვალებს, გრძელი წამწამით მოვლებულს, დიდრონსა და თითქმის შავ თვალებს, უფრო მეტად ამუქებდა.“

ამ სიტყვებში არსენა მკითხველს თვალწინ წარმოუდგება როგორც ბუმბერაზი, გოლიათი, ლამაზი ვაჟკაცი: ვფიქრობთ ამავე განწყობილებას ქმნის არსენას ხალხური სახეც:

ჯიდის ტოლა თვალები აქვს,  
მტერი რაღას დააკლებსა,  
შვიდი მტკაელით გაუზომა,  
— მისხალი არ დააკლდესა..

### გვირის მებუველების თავისებურება.

„არსენას ლეჰსი“

- ა) გატეხა და გადაადლო  
„ფუ, გამქედი გაგიტყდესა!“
- ბ) მაშინა სთქვა არსენამა  
„ვაი დედაჩემის ღმერთსა“.
- გ) მე არც ერთი არ მიქნია,  
სულ ტყუილი მოგეხსენა.

„არსენა მარაბდელი“

- ა) „ფუჰ, გამქედი გაგიწყრესა:  
ე ქალაქელი ხალხი სულ  
წამხდარი ყოფილა“.
- „არსენა ცხემს გადაევლო  
და შესძახა:  
— ფუჰ, პატრონი წაგიწყდესა“.
- ბ) „ — ვაი დედაჩემის ღმერთსა  
კუჭატნელო“.
- გ) „ტყუილია, არც არავინ მო-  
მიკლავს, არც არავინ გამიძარ-  
ცეავს“.

რომანის გმირის ხასიათში გადაზრდალი, აგრეთვე, ხალხური არსენას ისეთი მორალურ-ზნეობრივი თვისებები, როგორცაა გულუხვობა, გულკეთილობა, შემბრალებლობა, ვაჟკაცური შემართება, ზღაპრული ფიზიკური ძალა, მტკიცე სიყვარულის გრძნობა, ბატონისა და მეფის მოხელეთა სიძულვილი, პატიოსნება, სამართლიანობა და სხვა. ყველა ეს ნიშანთვისება მწერალმა ეპოქის სოციალურ-ესთეტიკურ ჭრილში გაატარა და მხატვრულად გადახალისებული მიაწოდა მკითხველს. ამიტომაც, რომ რომანის არსენა მოქმედებს არა ინსტიქტით, როგორც ამას ადგილი აქვს „არსენას ლექსში“, არამედ შეგნებულად, მიზანშეწონილად, „ასჯერ გაზომეს“ თვალთახედვით... ყველაზე დამახასიათებელი, რაც ხალხური არსენასგან განასხვავებს მარაბდელ გმირს, არის მკვეთრი-სოციალური, ეროვნულ-ინტერნაციონალური გათვითცნობიერება. არსენა მარაბდელს აღელვებს თავისი ხალხის როგორც სოციალური, ისე ნაციონალურ-პოლიტიკური მდგომარეობა, რასაც იგი აღიქვამს ჯანსაღი ინტერნაციონალური განწყობილებით, თუმც არ შეიძლება იმის უარყოფაც. თითქოს „არსენას ლექსში“ არ იყოს საამისო წინამძღვრები.

არსენას. როგორც რომანის გმირს, მონუმენტურს ქმნის სხვა მომენტებიც. ჩეხოვის უთქვამს: თუ კი მე დავწერ მოთხრობას სოფლის მასწავლებელზე, მხოლოდ მრავალი მათგანის ცხოვრების ცოდნის საფუძველზე. ამ კანონზომიერებით, რაც ტიპიზაციის ცნობილი გზაა, მოქმედებდა მ. ჯავახიშვილიც, როცა ხატავდა მარაბდელის სახეს. მხედველობაში გვაქვს ქართული ეპოსის გმირების როსტომის, ამირანის, ტარიელის ხასიათთა არსენას სახეში გამოვლენა:

— „ძია არსენ, რა უნდა მოსთხოვო ბატონს? — ეკითხება

ჭიდაობაში გამარჯვებულ არსენას პატარა ტატო. — როსტომით გარეული ტახი ხომ არ უნდა მოჰკლა? მაშ მეც წამიყვანე.

— არა, ენაცვა, ტახი ეს არის ახლა მოვკალი.

— მაშ თუ ამირანივით ყამარის მოსატაცებლად მიდიხარ, მეც შენი ძმა უსუპი ვიქნები. მესამე ძმა ბადრისაც ვიპოვით, ბიძაჩემი ილიკოც გამოდგება, ისე ველიტოთ დევები, რომ სისხლი მარაბდას სწვდებოდეს.

— აგრე გენაცვა, აგრე იყოს — მერმე მარინეს გადახედა და ხმამღლა დაუმატა: — ყამარი მალე უნდა მოვიტაცოთ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, თორემ სხვები მოგვტაცებენ და ხანამშრალს დაგვტოვებენ...

— მაშ მივდივართ, ჰაჩუუ! — წამოიძახა ტატომ და არსენას ბაჯალლო თმებში თითები ჩაუყარა და ფეხები განიერ მკერდზე აუბაგუნა. მერმე ხმამღლა წაიტიტინა:

ცოტა კაცია არსენა, ცოტა სმა-ჰამა ეყოფა:

სადილად ბულა კამეჩი, ვახშად არც სამი ეყოფა.

ბადრი ქალსა ჰგავს ლამაზსა, საქმარედ გამზადებულსა...

უსუპი — ბროლის ციხესა, თავბოლო გამაგრებულსა.

ამირან — შავსა ღრუბელსა, საავდროდ გამზადებულსა.

— ჩვენ ყამარის მოსაყვანად მივდივართ, ყამარისა, ჰაჩუცხენო, ჰაჩუ-უ-უ“.

რომანის ეს ნაწილი დიდი ტილოს ექსპოზიციური მონაკვეთია. მწერალი ამბის დასაწყისიდანვე ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საქმე გვაქვს ბოროტების წინააღმდეგ ამხედრებულ როსტომ-ამირანის მოძქესთან... როსტომის მიერ ტახის მოკვლის მოტივი მწერალს სიმბოლურად არსენას მიერ კუჭატელის წაქცევასთან აქვს შედარებული. მან იცის, რომ ხელოვ-



ნების შინაარსს დასაბამიდანვე კეთილისა და ბოროტის შერკინება წარმოაღგენდა, რომ არსენა (სიკეთე) ებრძვის კუჭატნელს და მის მეღვეურთ (ბოროტებას).

ამონაწერის მომდევნო ადგილი მკითხველს ხელთ აძლევს გმირის მიზნისა და მისწრაფების ალეგორიულ გასაღებს. იგი, შეიძლება ითქვას, პროლოგია რომანისა, რომელშიც ამირანიანის მოტივის მოშველიებით ხაზგასმულია ნაწარმოების მთავარი ლეიტმოტივი: არსენა-ამირანი ძმადნაფიცების დახმარებით გაიტაცებს სატრფოს. სატრფოს სახეში რომ სამშობლო ან თავისუფლება იგულისხმებოდეს, ამის მაგალითი ბევრია ჩვენს ლიტერატურაში. აქაც საქმე გვაქვს ამირანიანის მოტივის გამოყენების ლიტერატურული ტრადიციის გაგრძელებასთან.

ამირანიანის აჩრდილი თავს ადგას არსენას სიკვდილის შემდეგაც.

„მკვდარი ოძელაშვილიც ისევე არ ეტეოდა ახალ ქერქში,.. როგორც ცოცხალი ვერ ეტეოდა ამ ჭვეყნად.“

არსენა-ამირანს საერთო აქვთ ერთი პირადი თვისებაც — წინდაუხედლობა. ცნობილია, რომ ამირანმა არ დაუჭერა ძმებს — მოეკლა დევის თავიდან გამოსული ჭიები, რამაც შემდეგ ხიფათს შეჰყარა ისინი, ასევე არ დაუჭერა მან ყამარს — გაეტეხა ჯამი, რასაც დიდი სისხლის ღერა მოჰყვა. არსენაც არ უსმენს ძმადნაფიცებს, კეთილისმსურველთ: „ვინც ხმალი ამოიღო, უნდა ყუა დაივიწყოს.“ „ნუ ენდობი, მარაბღელო, ფარსადან მახეს გიგებსა“ და ა. შ. რაც შემდეგ დიდი სინანულის ფასად უჯდება გმირს.

...ხალხის ცოცხალ მეტყველებაში ხშირად გაიგონებთ გამოთქმებს: ამირანია, ამირანი! სწორედ ამაზე ითქმება, ტარიელიაო, ან კიდევ: ვინ თქვა, მოკვდა არსენაო, რაც შემთხვევითი არაა... ხალხის ხსოვნაში ცოცხლობს და უკვდავია სიკეთისა-

თვის მებრძოლი გმირები. მწერლობა, როგორც ხალხის გულის მესაიდუმლე. ხალხის იდეალებით ცოცხლობს და ბუნებრივია ყველა ჭეშმარიტი შემოქმედის პერსონაჟში ხშირად თავს იჩენს ხოლმე სახალხო გმირთა ხასიათები.

მსგავსად ამირანისა, არსენა ტარიელსაც ენათესავენ პირველ რიგში, მკითხველი ამას ხედავს არსენას ზღაპრულ ძალაში, აესულთა და ავკაცთა წინააღმდეგ დაუცხრომელ შემართებაში. საჭიროა აღინიშნოს ერთი დამახასიათებელი მომენტიც, რომელიც პერსონაჟის გრძნობად-კონკრეტულობის მკვეთრ გამოვლენას უწყობს ხელს... არსენას, როგორც ვამბობდით, არ უყვარს სისხლის ღვრა, რასაც მ. ჯავახიშვილი „ზნეობრივ ვაჟკაცობასა“ და „სულიერ კეთილშობილებას“ უწოდებს. ეს ღირსება ახასიათებს, როგორც რომანის. ისე „არსენას ლექსის“ გმირს. მაგრამ, ვფიქრობთ, გმირის ეს მორალური მხარე „არსენას ლექსის“ მთქმელებმაც და მწერალმაც ფოლკლორული ტრადიციის მიხედვით შეიტანეს ოძელაშვილის ფსიქოლოგიაში... ცნობილია, რომ არც ერთი საჩალხო გმირი, რომელიც ქართულ ხალხურ შემოქმედებას კი მოუცია, არ არის მოკლებული ამ ინდივიდუალურ საღებავს. ამირანს არ სურს მოკლას დევი („უნდოდა ისევ ცოცხალი გაეშვა ბაყ-ბაყ დევი“). მან არც დევის თავიდან გამოსული ჭიები დახოცა, სისხლის ღვრას თავს არიდებს ტარიელიც. იგი ცდილობს მშვიდობიანად მოიშოროს ხატაეთიდან მოსული მეფიონი და სთხოვს:

ხმალ მარტყავ მამისეული წელზედ ეღვისა პირისა,  
შინ წადით ვაჟის მაყრებო, მაკმარეთ გულის ტყვილსა.

მსგავსი თვისება დამახასიათებელია სხვა ხალხთა ეპოსის გმირებისთვისაც. მაგალითად, რუსი გოლიათები ერიდებიან სისხლის ღვრას. „ვთქვენს პატრონს, თათრებო, ...თავები წაგაცალოთ? — დიდი ვერაფერი სახელი დამრჩება ილია მურომეცს. ისა სჯობია თქვენს ურდოებში გასწიოთ“.

ქართული ეპოსის გმირებთან არსენას ახლოებს აგრეთვე ცრემლის ღვრის მოტივიც.

ტირილს, ცრემლვას რომანში თავისი მხატვრული მისია აქვს. განცდას მიმზიდველობა ემატება, როცა იგი დიდი და ძლიერი პიროვნების სულის გამონახსნივია.

**ზაალი.** მწერალი ზაალს რომანში ჯეროვან ადგილს აკუთვნებს და ნაწარმოების მოქმედ პირებზე ლაპარაკისას ისტორიულ პერსონაჟთა შორის ასახელებს. ეს რასაკვირველია, სწორია, ზაალი ნამდვილად ისტორიულად არსებული პირია, მაგრამ ვევონია, მისი სახის, ისე, როგორც არსენას ტიპის შექმნისას, მწერალი, მცირე დოკუმენტური მასალის გვერდით, იშველიებს „არსენას ლექსს“ და ზ. ჭიჭინაძის შეკრებილ ზეპირგადმოცემებს.

რა არის ზაალის სახეში ფოლკლორული? თითქმის ყველა ის კონკრეტულ-ინდივიდუალური და ზოგადი, რაც ამ სახეს ქმნის: 1. ყმების ინტიმურ ცხოვრებაში ხელის ფათური, 2. არსენასადმი დამოკიდებულება, 3. პირადი თვისებები (სისასტიკე, ვერაგობა, სიბრძნე, სიმხდალე და სილაჩრე), გლეხების აწიოკება, გაროზგვა, გაყიდვა.

რაც შეეხება ზაალის ავხორცობას გლეხის ქალების მიმართ, ამაზე ზეპირი წყაროები არაფერს ამბობს, რომანში კი ეს მხარეც არაა უგულვებელყოფილი, — გიგოლა ხომ მისი ნაბრჭ-

ვარი იყო, რაზეც ლაპარაკობს ი. ბალახაშვილის მიერ მიკვლეული საეკლესიო ჩანაწერი.

ამრიგად, ზაალ ბარათაშვილი უნდა ჩაითვალოს რსტორიულ-ფოლკლორულ პერსონაჟად.

ღვთისმშობელი, გახარა და სხვა მომხმედი პირები. ხომ არ უნდა ვერწმუნოთ ავტორს, როცა ღვთისმშობელსა და მახარას მოგონილ გმირებად მიიჩნევს?! ვფიქრობთ, არა. მართალია, მწერლის ფანტაზიისა და მხატვრული გამოგონების გარეშე არც ერთი გმირი არ ცოცხლობს რომანში, მაგრამ მოქმედ პირთა უმრავლესობას მაინც მოეპოვება რეალური, დოკუმენტური ან ფოლკლორული წინამძღვრები.

ღვთისმშობელი და მახარა იმიტომ არ მიგვაჩნია აბსოლუტურად გამოგონილ ტიპებად, რომ ისინი, როგორც არსენას მამა და პაპა, იხსენიებიან საარქივო დოკუმენტებში და ზეპირ წყაროებშიც ბეროსა და შიოლას სახელით.\* ამ დოკუმენტებიდან ჩანს, რომ არსენას მამა ბერო არ უშინდებოდა არც მებატონეს, არც მეფის მოხელესა და სასამართლოს. მის ამაყ ხასიათს ანგარიშს უწევდნენ თავადები. უფრო ცნობილი და სახელგანთქმული ყოფილა არსენას პაპა შიოლა. ამის შესახებ დოკუმენტური მასალის გარდა შემონახულია ზეპირად გადმოცემა, რომელშიც ვნახულობთ: „შიოლა მარტო უმკლავდებოდა მარაბდაში შემოსეულ ლეკთა მძარცველ ბანდებს, მას ისეთი ხმალი ჰქონია, რომ ტარება უჭირდა ჩვეულებრივ კაცს... ერთხელ მარაბდას თავს დაესხნენ შეიარაღებული ცხენოსანი ლეკები, რომელთაც დაარბიეს სოფელი და ნადავლით დატვირთული გაიქცნენ ალგეთის აყოლებით. სოფლის დარბე-

---

\* გრიგოლ კაკიაშვილი, არსენა ქართულ ლიტერატურაში, 1955, გვ. 11-19

ვის ამბავი შიოლას გვიან გაუგია... ძმარცველებს დასწევია, დაუ-  
მარცხებია, ნადავლი, ცხენები და იარაღიც წაურთმევია. ზოგო  
მათგანი დაუბოცია... გამარჯვებულზე შიო სოფელში დაბრუნე-  
ბულა და წაღებული ქონება თანასოფლელებთან დაუტო-  
ვებია.

ასეთი მამისა და პაპის ოჯახში არსენას ხასიათი შესაბამის  
წრთობას მიიღებდა. და ვფიქრობთ, რომანში არსენას ოჯახუ-  
რი გარემოს შემოტანა, მამისა და პაპის სახეების გამოკვეთა,  
არსენას ტიპის მხატვრული მოტივირებაა, რასაც საფუძვლად  
უდევს ცნობილი ანდაზა: დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე  
გამონახეო

ღვთისაგარი რომანის ერთ-ერთი წამყვანი გმირია. იგი  
თავიდან ბოლომდე ფოლკლორული ძაფებითაა ნაქსოვი.  
თვით სახელი ღვთისაგარი მწერალს ზღაპრული ეპოსიდან  
ამოაქვს. ამ სახელით ჯერ კიდევ ადრე იხიბლებოდა ყრმა  
აკაკი წერეთელი.

ასევე, ზღაპრული ეპოსიდანაა მოტანილი ღვთისაგარის  
პორტრეტული დეტალი — ცალთვალობა, ან უფრო სწორად,  
ღვთისაგარის „ცალთვალა დევობა.“ მისი შინაგანი ხასიათის  
ერთი შტრიხი კიდევ ასეთია: „მგლის ჩვეულება მაქვს და  
ვერ მოვიშალე. საცა სისხლის სუნია და საცა ჩემი ლეკვია,  
მეც იქ უნდა გავერქო ხოლმე“. იგი სხვა ადგილასაცაა მგელ-  
თან შედარებული. „ღვთისაგარი ერთხელ კიდევ ამოძვრა მი-  
წიდან, ერთხელ კიდევ მოაბჯინა მარაბდელს ცალი თვალი“. ღვთისაგარის ამ ხასიათს ჯადოსნური ზღაპრების საქვეყნოდ,  
გავრცელებულ მოტივებთან მივეყვართ.

ღვთისაგარი რომანში წარმოდგენილია, როგორც ქარ-  
თული ფოლკლორული საუნჯის მფლობელი და შესანიშნა-  
ვი მთქმელ-ინფორმატორი. მისი ყოველი სიტყვა „მიწიდან

მოდის... აზროვნება ბატონყმობაზე ტრიალებს, და გულიც მარტო გლეხებისათვის ფეთქავს.“ იგი თავის მოქმედებას ყოველთვის მშრომელი ხალხის თვალთ ზომავს და ამ საზომს მოაგონებს ყველას, ვინც კი რამეს განიჭრახავს... ხერხეულიძეთა საფლავზე გამართული სცენა არის ბატონყმობის უკუღმართობის მხილების სახალხო ტრიბუნა, სადაც ზეპირსიტყვიერი შემოქმედების დემონსტრირებითა და საშემსრულებლო ტრადიციის მომარჯვებით ადგილი აქვს ხალხური სიბრძნის ჭიდილს. ამ ჭიდილის ერთ-ერთი დაუმარცხებელი ფალავანი კი სწორედ ღვთისავარია. შორს იყურება მისი ცალი თვალი, შორს სჭრის მისი ბარაქიანი სიტყვა და აზრი.

იგი ვაჟკაცია შეუდრეკელი, უშიშარი, ამავე დროს ფრთხილი, ალლოიანი, მოქნილი. მან, „ვეფხისტყაოსნისა“ და ხალხური აფორიზმების ღრმა მცოდნემ, იცის: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“... ყოველი მისი ნაბიჯი მოსალოდნელი შედეგითაა გათვალისწინებული: „ცალთვალა გაექანა შირაქისაკენ და ფარსადანის ბინას მიაღდა. შემოდგომის ან ზაფხულის პირი რომ ყოფილიყო, ღვთისავარი ჯავახეთიდან მომავალ სარქალს ალგეთზე დახვდებოდა და ბატყანსავით ჩაივდებდა ხელში, ახლა კი თვითონ მიაღდა მგლის ბუნავს და თვითონ გადაიქცა ბატყნად.“ ღვთისავარის ამ საქციელში მწერალი აცოცხლებს ცნობილ ხალხურ ანდაზას: „ცხვართან მგელი, მგელთან — ცხვარი!“

როგორც ვხედავთ, მწერალი ღვთისავარის ტიპის გამოსაკვეთად იშველიებს ხალხური ეპოსის უარყოფით გმირებს, დევსა და მგელს. ჩრდილს ხომ არ აყენებს ამით არსენას მამის საინტერესო სახეს? არა. მწერალი აქ მეორე გარემოებას აქცევს ყურადღებას, კერძოდ, მხედველობაში

აქვს დასახელებული ფოლკლორული პერსონაჟების თავისებურება: დევი ძლიერია, ამტანი, შეუდრეკელი, მგელი კი საოცრად მგრძნობიერი შვილების მიმართ.

ღვთისავარის, როგორც ლიტერატურული ტიპის, სრულყოფის საქმეში ძუნწ წერილობით ცნობებთან ერთად საგრძნობი როლი ითამაშა ფოლკლორმა (სახელი, პორტრეტი, ხასიათი, სიბრძნე, ხალხური რეპერტუარი და ა. შ.).

ფოლკლორითაა დავალებული სხვა გმირებიც. მაგალითად, არსენას მეუღლეზე, ხალხური ლექსის გარდა, მასალას იძლევა ზ. ჭიჭინაძისეული ზეპირი წყაროები, რომლებშიც მარინეს პროტოტიპი დახასიათებულია, როგორც სათნო, ქმრის ერთგული, მოსიყვარულე და არსენას ბობოქარი ბუნების თანამგრძნობი ადამიანი.\*

მწერლის მიერ ისტორიულ პირებად მიჩნეული მეშთა, სიმონა, სევასტი, ღამბაშიძე და სხვები, როგორც აღვნიშნეთ ისტორიის ფურცლებზე არსად ჩანან. მათი წყარო მხოლოდ და მხოლოდ ჭიჭინაძისეული ზეპირი მასალები და ის ლეგენდაა, რომელიც ფიდა კვიციანიძის რეპერტუარსაც შემოუნახავს, ხოლო არღოვი, რომელიც მოგონილ პირთა სიაში მოიხსენია ავტორმა, რემინისცენციურად, „არსენას ლექსის“ იმ ოფიცრის ორეულია, რომლის წინაშეც ხელფეხგაკრული არსენა წარადგინეს (რომანის მიხედვით არსენა არღოვთან მიჰყავთ)... ამას გვაფიქრებინებს აბანოს სცენა, რომელიც მწერალს უშუალოდ „არსენას ლექსიდან“ აქვს აღებული.

შეიძლებოდა სხვა პერსონაჟთა ხასიათშიც მოგვეძებნა

---

\* ზ. ჭიჭინაძის დასახელებული მასალები, ტ. III, გვ. 17.

ფოლკლორული ნიუანსები, მაგრამ ვფიქრობთ, განხილული მასალაც ჰქმნის წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ ფართოდ იყენებდა მ. ჯავახიშვილი პერსონაჟთა ტიპიზაციისას ხალხურ საღებავებს.

### კვაჭი კვაჭანტირაძე

მ. ჯავახიშვილის თითქმის ყველა ნაწარმოებს და პეონსაყუს, როგორც ამას თვითონვე მიუთითებს, მოეპოვება კონკრეტული წინამძღვარი და პროტოტიპი. გამონაკლისს არც კვაჭი კვაჭანტირაძე წარმოადგენს. ამას ადასტურებს ჩვენს ხელთ არსებული მთელი რიგი დოკუმენტური\* და ზეპირი (გაგონილი) მასალა. ჩვენ ამ უკანასკნელს შევეხებით.

რასაკვირველია, გაგონილი ამბავი ყოველთვის როდი ჩაითვლება ფოლკლორულ ნიმუშად, მაგრამ რადგანაც ფაქტია, რომ რომანში ზეპირი გზით საკმაოდ ხელშესახები მომენტებია შეჭრილი, ნაწარმოების ფოლკლორისტული ანალიზისას აუცილებლად მიგვაჩნია მასზე ყურადღების გამახვილება.

თუ როგორ აღწევდა ზეპირი, გაგონილი ამბები მ. ჯავახიშვილის შემოქმედებით ლაბორატორიამდე, ამაზე საინტერესოდ მოგვითხრობს პოეტი შალვა აფხაიძე: „მანსოვს

---

\* ამის შესახებ იხილეთ გ. ნატროშვილი, ორი საუკუნის მიჯნაზე, 1963, გვ. 126; ტ. კვანჭილაშვილი, მ. ჯავახიშვილის შემოქმედება, 1966, გვ. 248—258, სადაც ლაპარაკია იმ პირებზე, რომლებიც კვაჭის პროტოტიპებად გამოუყენებია მ. ჯავახიშვილს (დუმბაყე, ანდრონიკაშვილი, მაჩაბელი).



როგორ ქმნიდა მიხ. ჭავჭავაძის თავის „კვაჭი კვაჭანტირაძეს.“ იგი ხშირად მიხვდა პალო იაშვილის, ალი არსენიშვილის, ტიციან ტაბიძის წრეში უბის წიგნაკითა და ფანქრით მომარჯვებული. პოეტებს უყვარდათ ამა თუ იმ ნაცნობი პირის თავგადასავლის მოყოლა. მიხეილი საინტერესო ეპიზოდებს წიგნაკში ინიშნავდა, მასალას აგროვებდა. მთელი ეს მასალა შემდეგ თავის მდიდარ შემოქმედებით ლაბორატორიაში გადაამუშავა და შექმნა თავისი უკვდავი ტიპი — „კვაჭი.“ დღესდღეობით ცნობილი არ არის, თუ კონკრეტულად რა ჩაიწერა მწერალმა დასახელებული პოეტებისაგან, მაგრამ ამ ნაკლს ერთგვარად ავსებს გერონტი ქიქოძის ზეპირი გადმოცემა, რომელიც შემორჩა მწერლისა და ლიტერატურათმცოდნის ლევან ასათიანის უბის წიგნაკს. გ. ქიქოძე ლ. ასათიანს მოუთხრობს, რომ ლაიპციგში წიგნობდა ერთი დღიდან მოხერხებული ქართული სტუდენტი, გვარად დუმბაძე, რომელმაც სხვადასხვა მაჭინაციებით, მეგობრების და გამოჩენილ პირთა მოტყუების გზით, დიდძალი ქონება შეიძინა, შეფის კარსაც დაუახლოვდა, დროებით მთავრობასაც შეეგუა, და ბოლოს საბჭოთა ხელისუფლების დროს განიცადა მარცხი. გ. ქიქოძე საუბარში დეტალურად გადმოსცემს დუმბაძის მიერ გაწეულ ხრიკებს რუსეთსა და საზღვარგარეთ და დასძენს: „დუმბაძის ამბები თავის დროზე, მე ვუამბე მიხეილ ჭავჭავაძის, ბევრი რამ ამ ამბებიდან მან გამოიყენა თავის „კვაჭი კვაჭანტირაძეში“.

დუმბაძის საქმიანობა, როგორც ეს შემდგომმა კვლევამ დაადასტურა, დოკუმენტური სიზუსტით ემთხვევა რომანის გმირის კვაჭის მთელ ავანტიურისტულ „მოღვაწეობას,“ რაც საეჭვოდ აღარ ხდის დუმბაძის პროტოტიპის საკითხს და გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ქიქოძისეულმა ნაამ-

ბობმა და იმ ზეპირმა მასალებმა, რაც მ. ჯავახიშვილმა მისი მომავალი გმირის შესახებ სხვადასხვა პირებისაგან, კერძოდ, ზემოთ დასახელებული პოეტების წრეში შეაგროვა, მწერლის ლაბორატორიას მისცა წყარო, რომელიც გახდა ნაწარმოების სახეთა ხასიათის, აზრის და ინდივიდუალობის შექმნისათვის ბიძგის მიმცემი.

რეალური სინამდვილის ანარეკლმა ზეპირმა გადმოცემებმა მისცეს მწერალს საბაბი დაეწერა „კვაჭი კვაჭანტირაძე“. მხატვრულმა ჩანაფიქრმა მოითხოვია დიდი ოსტატობა და გამომსახველობითი ძალა. ამ საქმეშიც, სხვა ფაქტორებთან ერთად, მ. ჯავახიშვილს დიდად დაეხმარა ფოლკლორი.

პირველ რიგში ყურადღება გვინდა მივაქციოთ რომანის მხატვრული ფორმის სიახლოვეს ხალხურ პოეტიკასთან.

მკვლევართა უმრავლესობა „კვაჭი კვაჭანტირაძეს“ ავანტურისტულ თხზულებად თვლის, ნაწილი კი ისტორიულ რომანად. რომანის მთავარი გმირის უპერსპექტივო, უპრინციპო მოქმედება წამოწყებული იოლი წარმეტების მიღწევის მიზნით, უეჭველად ქმნის ნაწარმოების ავანტურისტულ შინაარსს. ამავე დროს, მასში ჩაქსოვილი უხვი ისტორიულ-დოკუმენტური მომენტები მკვლევარის დაკვირვებას წარმართავს ნაწარმოების ისტორიულობის მტკიცებისაკენ. ჩვენ კი გვგონია, რომ „კვაჭი კვაჭანტირაძე“ თავისი შინაარსისა და ფორმის მიხედვით წარმოადგენს ისეთ თხზულებას, რომელიც თავის თავში ითავსებს როგორც ავანტურისტულ, ისე ისტორიულ (დოკუმენტურ) სიმართლეს. ასეთი თხზულებები ტრადიციულად ამბის ჟანრით იწერებოდა.

ამბავი ძველი ფოლკლორული ჟანრია. მას ტრადიციულ-მხატვრულ ფორმათა შორის ხალხურ-პოეტურ შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი ეჭირა, რომელიც ზღაპრისაგან

განსხვავებით შეიცავდა რეალიზმის ელემენტებს. შემდეგ მან ფოლკლორიდან ლიტერატურაში გადაინაცვლა და ფოლკლორში მისი ადგილი თქმულებას დაუთმო (მ. ჩიქოვანი).

რა თავისებურებით გამოირჩევა ამბის ჟანრით დაწერილი თხზულება? გადავხედოთ ფოლკლორულ-ლიტერატურულ ტრადიციას. თხზულების ამბებად აგების პრაქტიკა საკმაოდ პატივით სარგებლობდა, როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებშიც. მსოფლიოში ცნობილი ფოლკლორული და ლიტერატურული ძეგლები. როგორცაა „პანჩატანტრა“, „ათას ერთი ღამე“, „შაჰ-ნამე“, „ვეფხისტყაოსანი“, „სიბრძნე-სიკრუისა“, „რუსულდანიანი“ და სხვები ამ პრინციპით შექმნილი თხზულებებია. ქართულ კლასიკურ მწერლობაში ამბის ჟანრობრივი ტრადიციის თვალსაზრისით ყველაზე საყურადღებოა „ამირანდარეჯანიანი“. „ვისრამიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“; როგორც მ. ჩიქოვანი აღნიშნავს, ამ თხზულებებში ყოველი ამბავი წარმოადგენს ერთგვარად დამოუკიდებელი სიუჟეტის მქონე თხრობას, რომელიც თავის თავში მოიცავს აგრეთვე ცალკეულ ამბებს. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ამბის ჟანრთან დაკავშირებულ თხზულებებს აქვთ რეალობის, დოკუმენტურობის ჯანსაღი ტენდენცია... ამბის ჟანრით შექმნილი თხზულებისათვის სპეციფიკურია კომპოზიციური ჩარჩოვნება (ამბავი ამბავში), ნაკლები სიუჟეტური უნიფიკაცია (ერთგვარი სიუჟეტური შეუკვრელობა), რეალური სიმართლე (დოკუმენტურობა), თხრობის ეპიური სიმშვიდე.

ამბებად დაყოფის სტრუქტურა, ფაბულის გაშლის ჩარჩოვანი ფორმა, სიუჟეტური შეუკვრელობა, ხალხური ეპიური ტონი, — აი, ყველაფერი ის, რაც მ. ჯავახიშვილის ამ რომანს ამბის ჟანრით დაწერილ თხზულებებთან აახლოებს.

რომანი დასაწყისში გვამცნობს მთავარი გმირის კვაკის

დაბადებას, რაც სპეციალური ქვესათაურითაცაა გაფორმებული — „ამბავი კვაჭის დაბადებისა.“ თხრობის ასეთ დასაწყისს საკმაოდ დიდი ისტორია აქვს. ავიღოთ თუნდაც ქართული ფოლკლორის კლასიკური ფონდი. მთავარი გმირის დაბადებით იწყებენ თხრობას „ამირანიანი,“ „ეთერიანი,“ „ტარიელიანი“ და სხვა ძეგლები. ეს მოვლენა ფართოდაა გავრცელებული მსოფლიო ფოლკლორში. აქედან კი მან ლიტერატურაში გ.იკაფა გზა და მოქალაქეობაც დაიმკვიდრა.

ამბის უანრობრივი ტრადიცია იგრძნობა რომანის დასასრულშიც. „ამბავი... ამბავთა დასრულებისა.“

ტრადიციულ დასაწყისსა და დასასრულს შორის მოქცეულია რომანის ჩარჩო. მასში ჩასმული ამბები, მომენტები და შემთხვევები მკაცრი სიუჟეტური რკალით არ არიან გადაბმული ერთმანეთზე. ამბები, ანუ იგივე კარები, თავისი შინაარსითა და ურთიერთ მიმართებით, მსგავსად ბევრი ზეპირსიტყვიერი თუ ფოლკლორულ-ლიტერატურული კრებულისა („პანჩატანტრა.“ „ათას ერთი ღამე,“ „რუსუდანისი,“ „ამირანდარეჯანიანი,“ „სიბრძნე-სიცრუისა“...) სათავგადასავლო ამბავთა სერიის შთაბეჭდილებას ტოვებს. ეს მით უფრო საგულისხნოა, რადგან თავდაპირველად თურმე მწერალსაც ასე ჰქონდა მოფიქრებული „კვაჭის“ დაწერა. „პირველად. — აცხადებს მ. ჯავახიშვილი, — განზრახული მქონდა მოთხრობათა სერიის დაბეჭდვა საერთო სათაურით“. ის ფაქტი, რომ თხზულება ერთგვარად მოკლებულია სიუჟეტურ მთლიანობას და მოქმედების დინამიურობას, მწერალს ნაკლად არ უნდა ჩაეთვალოს, რადგან ამ შემთხვევაში გვაქვს პრაქტიკაში მიღებული სტილურ-მეთოდური ნიშან-თვისებების ახლებური გამოვლენა, ანუ როგორც ვამბობდით, ამბის უანრობრივი ტრადიციის გაცოცხლება.

ამრიგად, „კვაჭი კვაჭანტირაძე,“ როგორც სათავგადასავლო ავანტურისტული რომანი, დაწერილია სათავგადასავლო ზღაპრული მოთხრობების კვალობაზე, რომელსაც ახასიათებს ტრადიციული დასაწყისი, დასასრული და მთლიანი ნაწარმოების სიუჟეტური შეუკვრელობა. ამ მხრივ მ. ჯავახიშვილის შემოწმედებაში „კვაჭი კვაჭანტირაძე“ ერთადერთი არაა. ამბის უანრიტაა დაწერილი მისი მოთხრობა „ტუთის ამბავი“ და რომანი „გივი შადურა“, რაც იმაზე ნიუთილებს. რომ? მწერალი ნაწარმოების მხატვრული ფორმის ძიებისას შემოქმედებითად მიმართავდა ფოლკლორულ და ლიტერატურულ ტრადიციებს.

ფოლკლორისტული თვალთახედვით საინტერესოა თვით რომანის სიუჟეტური ქარგა: იყო ერთი სილიბისტრო კვაჭანტირაძე, რომელსაც ერთ მშვენიერ დღეს შეეძინა ვაჟი — კვაჭიკო; პატარა კვაჭი თავიდანვე თავისებური ბავშვი გამოდგა — ! ხვა რომ ერთი წლისა იდგამდა ფეხსა და ენას, იგი ექვსი თვისა აღწევდა ამას. როცა წამოიზარდა კვაჭი, გაამზადეს ქუთაისში სასწავლებელში წასასვლელად. მამამ — სილიბისტრო კვაჭანტირაძემ, წასვლის წინ შვილს მისცა დარიგება თუ როგორ მოქცეულიყო ცხოვრებაში. კვაჭიმაც ინტერესით მოისმინა მამის დარიგება და შეუდგა დამოუკიდებელ ცხოვრებას. ჯერ მისი ასპარეზი იყო პატარა დაბა, მერე მოზრდილი ქალაქები და ბოლოს რუსეთის იმპერიის დედაქალაქი — პეტერბურგი. პატარა კვაჭიკო უკვე ცნობილ კაცად იქცა, მეფის სასახლემდეც მიაღწია და ბოლოს, როგორც ხარბი და გაუმაძღარი კაცის საერთო ხვედრი, იგიც ჩაიფერფლა. აშკარაა, რომ ძირითადი ფაბულის აღნაგობა ხალხურ პროზას ენათესავენობდა. ეს გასაკვირიც არაა, რადგან ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სათავგადასავლო

თხზულებებს გენეტიკურად ძირი ხალხურ ეპოსში აქვს. მოცემული სიუჟეტური ქარგის ხორცშესხმისათვის მ. ჯავახიშვილმა დიდი შემოქმედებითი შრომა გასწია. საამისოდ მან გამოიყენა თვალითნახული, მოსმენილი, წაკითხული სოციალური ძალის არსის შემცველი, მხატვრულად სიცოცხლის უნარიანი მრავალი ფაქტი, დოკუმენტი, მოვლენა, ამბავი, მომენტი, რასაც ორგანულად შეუზავა და შეუწყო მდიდარი ფოლკლორული მასალა.

რომანის ფოლკლორიზმი უპირატესად ზღაპრული მოტივების ხარჯზე მოდის. შეინიშნება როგორც ჯადოსნური, ისე ცხოველთა და ნოველისტური ეპოსის მოტივები... ხალხური პოეტური შემოქმედების ჯადოსნურ სტიქიას მკითხველი ნაწარმოების დასაწყისიდანვე გრძნობს. „იმ წელს, პირველ აპრილს, — იწყებს თხრობას ავტორი, — სამტრედიაში, უცნაური და იშვიათი დარი დადგა... ხან თოვლი მოდიოდა, ხან ხოშაკალი, ხან წვიმა, ზოგჯერ კიდევ გაზაფხულის მზე ანათებდა... სილიბისტრო კვაჭანტირაძის მეუღლე პუპი პირველ შვილზე იწვა მელოგინედ... შუადღემ რომ მოატანა... დაბნელდა... მიყუჩებული დედამიწა შეინძრა და აზანზარდა, საშინელი გრიგალი ამოვარდა. ქვეყანა გმინავდა, ჰკვენსოდა, ჰსჰქქდა... ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა და იქვე კუთხეში ახალდაბადებულის წრიპინი გაისმა.“ დაიბადა რომანის მთავარი გმირი კვაჭი კვაჭანტირაძე. მოტანილი ადგილი თავისი აქსესუარებით ჰგავს იმ ხალხური რწმენის შორეულ გამოძახილს, რომელიც განსაკუთრებულ მოვლენებს ყოველთვის ბუნების ცერემონიალთან, მზის გამოჩენასთან აკავშირებდა. ეს რწმენა ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ ჯერ კიდევ წარმართობის დროიდან შემოინახა. ხევსურულ თქმულებაში „ხოგაის მინდი“ აღნიშნულია, რომ „როდესაც მინდი დაიბადა, ცაზე ორი

მზე მდგარა.“ ზებუნებრივ ძალთა მოხმობითაა შემკობილი ქრისტეს დაბადებაც. რაც ძველი რწმენის ქრისტიანიზებულ სახეცვლილებას წარმოადგენს. ბუნების ცერემონიალს ხალხი გმირის გარდაცვალებასთანაც აკავშირებს. იგივე ხოგაის ციკლის ნაწარმოებში ვკითხულობთ „ხოგაის მინდი კვდებოდა, მზე წითლდებოდა, ცხრებოდა, ცა ქუხდა, მიწა გრგვინაღდა, სული გვიანა ჰხდებოდა.“ მსგავსი მდგომარეობა გვაქვს სხვა ხალხის ფოლკლორშიც: თურმე, როცა ბუდა კვდებოდა, მალლიდან ყვავილები კვიოდა და ზეცაში ფრინველები გალობდნენ...

რად დასჭირდა მწერალს დასახელებული ხალხური რწმენის მხატვრული დასესხება? საქმე ისაა, რომ მ. ჯავახიშვილის რომანში თხრობა თავიდან ბოლომდე ირონიული აქცენტით მიედინება, მწერალი კვაჭიზე, როგორც გმირზე, რომლის ამქვეყნად მოვლინებით ნაწინასწარმეტყველებია დიდი ძვრები, ყოველთვის გადაკრულად ლაპარაკობს და ამით ხაზს უსვამს კვაჭის სახის იუმორისტულ-სატირულ თავისებურებას.

ხალხური ეპოსის ჯადოსნურ არსენალთანაა დაკავშირებული კვაჭის დიდების, ქალბატონ ნორიოს მისნობა-მკითხაობა. იგი, როგორც ზღაპრული ბედისმრჩეველები, კვაჭის დაბადებისას ატეხილ ქარიშხალსა და ჭექა-ქუხილს აკავშირებს გმირის მომავალ, ხიფათებით აღსავსე ბედთან, ხოლო იმავე დღეს მზის მიერ თავზე გვირგვინის დადგმას — მის ბრწყინვალე მომავალთან. მკითხაობა-მისნობის ეს მოტივი, აღებული ფოლკლორული საღაროდან, ნაწარმოებში ერთგვარი მხატვრული წინასიტყვაობის როლს ასრულებს.

ჯადოსნურ სამყაროსთან ურთიერთობის თვალსაზრისით ცალკე უნდა შევხვით რომანის ერთ თავს, რომელსაც მწე-

რალი „უცნაური ბოდვის ამბავს“ არქმევს... დემირთეფაზე თურქებთან შეტ.კებისას გულწასულ კვაჭის ელანდება, რომ იგი დაჭრილი, უპატრონოდ გდია ტრიალ მინდორზე... სისხლიან მკერდზე აზის შავი ყორანი და ნისკარტით ჭრილობას უკორტნის... შორიახლო ატუზულა და ბინდის მოსვლას ელოდება საზარელი მგელკაცა... ამ დროს, უცებ ციდან ჩამოდის ოქროს ჯაჭვი, რომელშიც ზის ჭინკა წითელღვინიანი დოქით, ჭინკა აწვეთებს კვაჭის ღვინოს, მაგრამ მომაკვდავის პირს არც ერთი წვეთი არ ხვდება. ჭინკა ოქროს ჯაჭვს ისევ მალა ასწევს. კვაჭის თვალთახედვა ტრიალი მინდვრიდან მოულოდნელად პარიზის ბულვარებში გადადის, დემირთეფას გმირი ხედავს ბულვარში მოსეირნე ნაცნობებს, უცნობებს, რომლებიც ზედაც არ უყურებენ კვაჭის... მერე, ისევ მგელკაცა, ყორანი და უცებ ექიმი ყორანაშვილი. ახლა უკვე კვაჭი მინდორზე აღარ გდია, იგი ყორანაშვილთან ერთად ფრთოსან მერანზე ზის და მიფრინავს... მიფრინავენ ორთავენი, გადაუვლიან მწვერვალებს, ქვეყნებს... გზაში ნათესაუბის სულები და ჩონჩხები უხვდებიან, ებლაუჭებიან. კვაჭის კითხვაზე, თუ რამ მოიყვანა ისინი საიქიოში, სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ... კვაჭის თვალწინ, აგრეთვე, დგებიან გარდასულ დროთა მობინადრენი... უცებ იგი ჯოჯოხეთში ხეტიალს თავს ანებებს და გადადის სამოთხის ბაღში, თუმცა ყორანი და მგელკაცა აქაც არ სცილდებიან. სამოთხის ბაღში კვაჭი ხედავს მშობლებს, მეგობრებს, ნათესაუბებს, წარჩინებულებს. ყველანი კვაჭისაკენ იშვერენ ხელებს. ზოგიერთი კვაჭის დამარხვას მოითხოვს. დიდებულები კიდევ უგებენ წესს. ყორანი და მგელკაცა კვლავ გვერდით ჰყავს. უბეში გველი უძრება. ბოლოს კვაჭი ველარ უძლებს ამდენ გოლგოთას, დევივით წამოიწევა და ამოანგრევს საფლავს.



კვაჭის სიზმარი, თავისი ირეალური პლასტებით, ცალკე აღებული მწერლის მიერ შეთხზული ჯადოსნური მოთხრობაა. სიზმრისა და ჩვენებების მიზანია ზოქმედების განვითარების ჩვენება. იგი როგორც მხატვრული ხერხი საკმაო პოპულარობით სარგებლობდა ფოლკლორიდან მოყოლებული ჰაგიოგრაფიულ და კლასიკურ მწერლობაში. მ. ჯავახიშვილიც არ დალატობს ტრადიციას და კვაჭის სიზმარში ორიგინალურად აქსოვს თავის ჩანაფიქრს. კვაჭის სიზმარი თავიდან ბოლომდე ფოლკლორულ-რელიგიური ძაფებითაა ნაქსოვი. მას განსაკუთრებით ჯადოსნური გვირისტები ატყვია. მოხმობილია ჯადოსნური ზღაპრის პერსონაჟები: გამოყენებულია ჯადოსნური ზღაპრის ტიპიური სამკაული — ციდან ოქროს ჯაჭვის ჩამოშვება.

ყურადღებას იქცევს. აგრეთვე, გმირის საიქიოში (ჯოჯოხეთი, სამოთხე) მოგზაურობის მომენტები, რომლებიც პარალელს პოულობენ მრავალ ზღაპარში („მზის ასული“, „საიქიოს ზოაპარი“. „ბაყაყის ქალი“ და სხვა.), აგრეთვე აპოკრიფულ ლიტერატურაში („მიმოსლვაი ღმრთისმშობლისაი“) და სხვაგან.

ჯადოსნური მოტივებია შეჭრილი რომანის ცალკეულ თავებში. აღსანიშნავია კვაჭის ზღაპრული ზრდა, დიალოგი ჭინკასთან, აჩრდილის გამოცხადება, კვაჭის სახის სიმბოლური მეტამორფოზები და სხვა, რომლებიც მწერალს ეხმარება მთავარი გმირისა და მის ამფსონთა პორტრეტიზაციის საქმეში.

ჩვენ ხაზს არ ვუესვამთ უამრავ ნაკლებმნიშვნელოვან ჯადოსნურ შტრიხებს, მაგიურ, ანიმისტურ, ტოტემისტურ გამოვლინებებს, რომლებიც, როგორც მხატვრული წვრილმანები, ხელს უწყობს მკითხველის მოვლენის არსში ჩახედვას.

გარდა ჯადოსნური მოტივებისა, რომანში ძალუმაღ იგრძნობა ცხოველთა ეპოსისა და ნოველისტური ზღაპრის მაჯისცემა. შეიძლება ითქვას, ხალხური ეპოსის ბევრი ავანტურისტული დეტალი სიცოცხლეს აგრძელებს კვაჭისა და მის თანამზრახველთა მოქმედებაში. აქ ორი მომენტი უნდა იქნას გამოყოფილი: 1. ვაკვაჭვის, საქმის „გაიმასქნების“ ზღაპრული ტრადიცია და 2. კვაჭის ზოგიერთი მაქინაციის კონკრეტული ფოლკლორული წყარო. თუმცა საერთოდ ფოლკლორმა და კერძოდ ქართულმა ხალხურმა შემოქმედებამ კარგა ხანია ასახა და თავისი განაჩენი გამოუტანა ყოველგვარ კვაჭურ ხრიკს. ოინსა და გაიძვერობას. ამით ჩვენ იმის თქმა გვსურს, რომ მ. ჯავახიშვილი რომანის შექმნისას უწინაპროდ არ ყოფილა, ქართულ ტრადიციაში საკმაოდ მოიძებნებოდა კვაჭის ხასიათის საწყისები, რომელთა გამოყენებით შესაძლებელი გახდა საერთაშორისო ავანტურისტული სახის ჩამოყალიბება. ამ გზით ქართულ ფოლკლორში შეიქმნა უარყოფითი პერსონაჟების გაღერება. ვკითხულობთ ზღაპრებს, როგორცაა, „დათვი და მელა“. მელას ეშმაკობა“, „მელა ლა ბეწისქვილე“, „მღვდელი და მისი ლამაზი ცოლი“, „ცრუ და მართალი“, „ხარბი და ოქრომქედელი“, „მეწისქვილის ვაჟი“ და „სამი ქოსა“... „ჩვენ თვალწინ ცოცხლდებიან სიხარბის, ლალატის, გაუტანლობის, ბოროტების, ეგოიზმის, გაიძვერობის, უმადურობის, თვალთმაქცობის, მოხერხებულობის უამრავი მახინჯი მაგალითი.

მსგავს ეპიზოდს ვუდარებთ რა რომანის ცალკეულ ადგილებს, აშკარად ვგრძნობთ, რომ ფოლკლორული მასალა თავისებურად პოულობს მხატვრულ უკუფენას რომანში; იგი არის წყარო, რომელიც აღძრავს ხოლმე მწერალში ავანტურისტულ განწყობათა შემოქმედებითად გარდაქმნის იმპულს-

სებს, ამზადებს შესაბამისად ნოყიერ ნიადაგს რომანის კო-  
ლიზიების შესაქმნელად.

აქლა შევეხთ იმ ზოგიერთ კონკრეტულ მომენტს, რომე-  
ლიც რომანის მთავარი პერსონაჟის ხასიათის ფოლკლორულ  
წყაროდ მიგვაჩნია. ამ მხრივ უპირატესად საქმე გვაქვს ნო-  
ველისტურ ზღაპრებთან.

კვაჭი-ნაცარქექია. კვაჭი და ნაცარქექია, რასაკვირველია, სხვა-  
დასხვა პოლუსებია, მაგრამ მათ აქვთ ერთი ძირითადი ხაზი. ეს კი  
პირველ რიგში არის სწორედ კვაჭური ალლო, საღი ინსტინქტი  
და შემთხვევითი სიტუაციების საკუთარი ინტერესებისადმი და-  
მორჩილების უნარი... დემირ-თეფასთან განსაცდელში ჩა-  
ვარდნილი კვაჭი ჰგავს დეფების ხელში მოხვედრილ ნაცარ-  
ქექიას. ოსმალთა ასეულს შეჩეხებული კვაჭი შეშინდება,  
მაგრამ არ დაიბნევა, მოიკრებს გონებას და გაბედულად შეს-  
ძახებს: დამნებდით, გარშემორტყმული ხართ, თორემ გაგა-  
ნადგურებთ. ასეული მოტყუვდება და ტყვედ ვარდება... რო-  
ცა ნაცარქექია დაინახავს მელიას, რომელსაც წელზე თოკით  
მიბმული დევი მოჰყავს, შეშინდება, მაგრამ ხერხს იხმარს  
და მელიას შესძახებს: შე საძაგელო, თორმეტი გემართა და  
ერთი მოგყავსო?... დევი დაფრთხება, დაგლეჯს მელიას და  
გადაიკარგება.. ორივე ადგილას საქმე გვაქვს დაძაბულ,  
რთულ სიტუაციაში სწრაფ ორიენტირებასთან, შემთხვევის  
მოხერხებულ გამოყენებასთან, რითაც ორივე „გმირი“ წარ-  
მატებას აღწევს. მსგავსი მოხერხებულობის მაგალითი უამრა-  
ვია რომანშიც და ნაცარქექიაშიც“.

საერთოდ, შემთხვევითობა, როგორც მოქმედების გასა-  
ღები და გმირის ხასიათის გახსნის საშუალება, ნიშანდობლი-  
ვია ზღაპრისათვის.

კვაჭის მაქინაციების ფოლკლორისტული თვალთახედვით გაშიფრისას, სინტერესო მსალას ილევინან აგრეთვე სხვა ზღაპრები.

როგორც რომანიდან ვიცით, კვაჭის საქციელის აღფა და ომეგა ყალბი ავტორიტეტის შექმნა-მოჩვენებითობაა. კვაჭი — ქველმოქმედი, კვაჭი — სახელმწიფო ნოღაწე, კვაჭი — ევროპის ბირჟების გამკოტრებელი, კვაჭი — ნიჭიერი ფინანსისტი, კვაჭი — გენიოსი, კვაჭი — პირსუფთა რესპუბლიკელი, კვაჭი — საქართველოს შემწე და პატრიოტი, კვაჭი — დიდებული მამულიშვილი და ხალხისათვის თავდადებული პიროვნება. — ასეთი მომენტები წითელი ზოლავით გასდევს რომანს.

რა აქვს საერთო მოტანილ ამონაწერს ზეპირსიტყვიერებასთან? მოჩვენებითობა და ყალბი ავტორიტეტი ბევრი ფოლკლორული პერსონაჟისთვისაც წარმოადგენს. ამ შტრიხებზეა მთლიანად აგებული იგივე „ნაცარქექია“, „მღვდელი და ლამაზი ცოლი“, „მძლეთანძლე“, „მღვდლის ცოლი.“ „გლეხი და ვაჭარი“, „ცოლ-ქმრის ამბავი“ და სხვ. მაგრამ ამ შემთხვევაში კვაჭის ხასიათს ყველაზე უფრო უდგება ზღაპარი „მძლეთანძლე.“ მასში, როგორც „კვაჭი კვაჭანტირაძეში“ გამასხარავეებულია საზოგადოება თავისი მეფეებით და ფალავნებით. უმცროსი ძმა — ჩოფანო ღმალზე ოქროს ასოებით წააწერს ერთ სიტყვას — „მძლეთანძლე“ და ამით სასწაულს ახდენს.

მსგავსება რომანსა და ზღაპარს შორის ხელშესახებია. პირველ რიგში, მთავარი მოქმედი პირები ერთმანეთს ზედმიწევნით ჰგვანან მოჩვენებითი გმირობით. ხალხი ჩოფანოს ირონიით უწოდებს მძლეთანძლეს. ეს სახელწოდება კვაჭი-ზეც ზედგამოჭრილია... ორივე შემთხვევაში საგულისხმოა

პერსონაჟების ავტორიტეტის ყალბად გაბერვა ამხანაგების მიერ. პარალელები გაცივება აგრეთვე მეფე-დედოფლისა და კვაჭის, ხელმწიფისა და ჩოფანოს დამოკიდებულებაშიც. ზოგად ფორმებში ჩოფანოს ფალავანთან შერკინება გეგონებს დემირ-თეფას ეპიზოდს.

კვაჭის სახეს ენათესავება, აგრეთვე, ზღაპარ „ქვრივიშვილის“ ამავე სახელწოდების გმირი. მთქმელის სიტყვებით რომ გადმოვცეთ, იგი, მსგავსად კვაჭისა, იყო „მოუსვენარი,“ ყაჩაღი, მატყუარა“, მან და მისმა ამხანაგმა „სახელმწიფო სულ აიკლეს, სალაროები გაძარცვეს, სავაჭროები გააჩანაგეს“... „ერთხელ სალაროს მცველებმა მინდორზე გაშალეს ფულები და თქვეს: ვინც ფულს დაწვდება, ქურდიც ის იქნება და დავიჭიროთო. წავიდა ქვრივიშვილი. ფისში ჩადგა ფეხები, გაიარა ფულზე და სულ ფეხებზე აეკრა. არც დახრილა დაბლა, ისე აკრიფა ეს ფული. ყარაულები დარჩნენ პირში ჩალაგამოცლებული.“

ფულის ფეხზე აკვრის მოტივი მრავალგზის შეიმჩნევა ზღაპრულ ეპოსში. შორს რომ არ წავიდეთ, ამასვე იმეორებს ქართული ზღაპრები... „ქურდი და ხელმწიფის შვილი“ და „ბიძა და ძმისწული“, ხოლო რომანში ვკითხულობთ: „კვაჭი ერთ მაღაზიაში ბრილიანტების საყიდლად შევიდა და თხილისოდენა ხუთიოდე ქვა აირჩია... ამ დროს მისი ხელქვეითი ქალი შემოვიდა და დახლთან მაღაზიის პატრონს ბაასი გაუბა. კვაჭმა ხელმარდად ერთი ბრილიანტი გაუშვა... იგი ლბილად დაეცა ხალიჩაზე... ქალმა ადგილი შეიცვალა, იმ ქვას ფეხი დაადგა და წავიდა, თან ფეხის გულზე აკრული ბრილიანტიც გაიყოლია“. ამ საქმის „გაციმასქნების“ თითქმის ერთნაირი მომენტები გვაქვს. ამავე ზღაპარში კვაჭური საქციელის გამოვლინების 1. ხვა მხარეებიც შეიმჩნევა: დედის მოტყვილება

— თავისი თავის წმინდა გიორგით გასაღება. კუბრში ჩავარდნილი დეიდაშვილისადმი უღმობლად თავის მოკვეთა. მოხერხებულობით მეფესთან დაახლოება, მეზობელი ხელმწიფის მოტაცება და სხვ.

კვაჭის ხასიათის ტიპიური შტრიხები ბევრგან ცოცხლობს ზღაპრულ ეპოსში. ხალხური შემოქმედების სტიქიასთან ახლოს დგას რომანის თავი „ამბავი წმინდანის დაშინებისა და სხვათა დაბეზლებისა.“ აქ მწერალი აგვიწერს, თუ როგორ მოახერხა კვაჭიმ რასპუტინის, ხოლო მისი საშუალებით, მეფე-დედოფლის გულის მოგება და გადმოგვეცემს, რომ კვაჭის წინაშე დადგა ამოცანა, ხელში ჩაეგდო და თავის ნებასურვილზე ეტრიალებინა სამეფო კარის უახლოესი მრჩეველი. კვაჭი მთელი სერიოზულობით მოეკიდა ამ ამოცანას, სხვადასხვა მაქინაციებითა და მოხერხებით რასპუტინს რეალურ საფრთხედ მოაჩვენა შეკოწიწებული „საშიშროება“ და მონა-მორჩილ ტყვედ გაიხადა იგი. „— ეს კაცი თვალყურს გადევნებს, წმინდაო მამაო, გაუფრთხილდი. — ჩააწვეთებდა ხოლმე ხშირად კვაჭი ყურში გრიშკას. — ილიოდორი, თეოფანე, ჰერმოგენი და მრავალნი სხვანი გმტრობენ, შენი დაღუპვა უნდათ.“ რასპუტინიც უყურადღებოდ არ ტოვებდა „ერთგული“ კაცის ინფორმაციას და გამძაფრებული მოქმედებდა, შურს ანთხევდა, კვაჭი კი ხელს ითბობდა.

კვაჭი ამ საქციელთ ენათესავენა ზღაპრებში ფართოდ გავრცელებულ ბოროტი ვეზირის სახეს, რომელიც საკუთარი ეგოისტურ-კარიერისტული მისწრაფებებით მეფეს ხშირად დააღუპვინებდა ხოლმე ერთგულ კაცებს...

ფოლკლორში პოულობს პარალელს კვაჭის სხვა თვისებებიც: უმადურება, სიხარბე, დაუნდობლობა. კვაჭი ჰკლავს რასპუტინს, რომელმაც დიდების მწვერვალს აზიარა სამტ-

რედიელი ბოგანო. იგი არ ინდობს კეთილისმყოფელ სიდოროვის ოჯახს, სიკეთეს სიავით უხდის ალექსი ირემადეს და ა. შ. სიკეთისათვის სიკეთე ვის უქნია. ამ ფორმულით მოქმედებს იგი ახლობლისა და მეგობრის, თანამშრომლისა და უფროსის, თანამემამულისა და უცხოელის მიმართ და ამით გვერდში უდგება დასახელებული დევიზის მატარებელ ფოლკლორულ პერსონაჟებს, როგორცაა უფროსი ძმები, უმადური ხელმწიფე, ბოროტი ბატონი, ხარბი გლეხი და ყასაბი, გველი და ა. შ.

ფოლკლორული რეალიზმის ცოცხალი სურნელება იგრძნობა რომანის ისეთ ეპიზოდებსა და მოტივებში, როგორცაა მამის დარიგება („სოლომონ ბრძენის რჩევა,“ „საბრალო ფასოს ამბავი,“ „ოქრუა“), სილიბისტროს მკვდრად გამოცხადება და დატირება,“) („მედაირე,“ „ზარმაცი,“ „ივანე და გოგია,“ „ღარიბი და სოვდაგრები,“ „ივანიკა და სიმონიკა,“ „პეტრიკა და პეტრიკელა“), რასპუტინის ბერად წასვლა („იერუსალიმს მიმავალი მელა.“ „მგლის ბერად შედგომა,“ „მოდღვარი მელა“), „ამბავი კვაჭის ჰარამხანის დანგრევისა“ ანუ სუსანას ოინები („მღვდლის ცოლი“. „ცოლქმრის ამბავი“), კვაჭი დასდევს საკუთარ თავს („მიწისქვილის ვაჟიშვილი და სამი ქოსა“) და ა. შ.

ხალხურ ნოველისტურ მოტივებთან ერთად რომანს გადაჰკრავს სხვა ხალხთა, კერძოდ აღმოსავლური სიტყვიერების ელფერი. კვაჭის ეროტიზმი, ცალკეულ პერსონაჟთა აღვირახსნილი სექსუალიზმი, მოჩვენებითი, ანგარებაზე დამოკიდებული ვნებები და, რაც მთავარია, მრავალცოლიანობის მსგავსი გამოვლინებანი, მოგვაგონებენ არაბული, სპარსული და თურქული ძეგლების („ათას ერთი ღამე,“ „ბაღდადელი

თვალთმაქცი“, „მოღალატე ცოლები“ (ქანზუ) და სხვ.) ჰარამხანულ განწყობილებებსა და მომენტებს. საყურადღებოა კონკრეტული ფაქტიც. სპარსულ სიტყვიერებაშიც კვაჭი კვაჭანტირაცე სინტერესო ახლობლობას იჩენს „ბაღდადელი თვალთმაქცის“ მთავარი პერსონაჟის დაღე მოხთარის სახესთან. ორივე თხზულებას, თავიანთი სიუჟეტურ-კომპოზიციური აღნაგობა და ავანტურისტული ინტრიგები ერთ სიბრტყეზე ათავსებს. დაღე მოხთარისა და მის თანამზრახველთა მთელი „მოღვაწეობა“ სხვა არაფერია, თუ არა ნაწილი კვაჭური საქმიანობის ციკლისა: იგივე „გაიმასქნება“, თვალთმაქცობა, ორპირობა, მოსაზრებულობა, ცხრაკლიტულიდან თავდახსნის დიდი უნარი და სხვა. მოვიყვანოთ ერთი ტიპიური ეპიზოდი: დაღე მოხთარმა ქუჩაში ნახა ბრმა მათხოვარი, რომელსაც უთხრა: აქ რას უზიხარ, სახლში შენს ქალიშვილს ლოდინით ქანცი გაუწყდაო. მათხოვარს ქალიშვილი არ ჰყავდა, მაგრამ დაღე მოხთარის გაიძვერულმა ენამ აიძულა სახლში წაჰყოლოდა. სახლში მისვლისას, დაღემ საკუთარ ქალიშვილს მამად წარუდგინა ბრმა. ქალიშვილი წამოდგა და გადაეხვია მამას, ბრმას გახადეს ძონძები, გამოაწყვეს დიდებულად, ასვეს, აჭამეს და კარგს პატივში ჩაადგეს. ერთ დღეს დაღე მოხთარი ბრმას მალაზიაში წაიყუანს ქალიშვილისათვის ძვირფასეულობის საყიდლად. ამოირჩევს მრავალნაირ სამკაულს და მათხოვარს ეტყვის: შენ აქ იჯექი, მე კი შენს ქალიშვილს წავუღებ ამ ნივთებს და ვანახებ თუ მოეწონებაო. ბრმა თანხმდება, მოხთარი წავა. ვაჭარი იმის იმედით, რომ აქვეა ბრმა, მოხთარის ქმარი, გულდამშვიდებითაა. მოტანილი ადგილი გაჭრილი ვაშლივით ჰგავს კვაჭურ ავანტურას. გავიხსენოთ მომაკვდავი უცნობი მეეზოვის ოვანეს შაბურიანცის კვაჭის სახლში გადაყვანა და საკუთარ მა-



მად გასაღება, ან კიდევ კვაჭის მეგობარი ქალის მიერ ანტეერპენში, ალმასების ქალაქში მისვლა, სადაც იგი თვალმარგალიტების მაღაზიის პატრონს მესიე ვარმეს გაასაღებს ჭკუაზე შემცდარ მამად და წარუდგენს საგიჟეს დირექტორს თხოვნით, როგორმე წაართვან ოქროთი სავეს ჩემოდანი, რომელსაც უნიანად ჩასჭიდებია და ხელს არ უშვებს. საგიჟეს დირექტორს ყველაფერი მართალი ჰგონია და იქცევა ქალის დარიგებისამებრ. ქალი ხელთ იგდება ჩემოდანს და გარბის... სხვა შემთხვევაში, იგივე ქალი ერთ ვაჭარს თვალმარგალიტს მოატანიებს თავის „დანიშნულთან“ და „მამასთან“ — კვაჭისთან და მოხერხებულად გაიტაცებს.

როგორც ვხედავთ, სადავო არ ჩანს, რომ ბაღდადელი დაღლე მოხთარი კვაჭის მეგობარი უცხოელი ქალის ფოლკლორული ორეულია, სპარსელი კვაჭიკოა. ვფიქრობთ, აქ გასაკვირი არაფერია, რადგან ცნობილია, რომ საერთო ნიშნები, შინაარსობრივი დეტალი თუ ეპიზოდი, ბევრ ისეთ ამბავს ახასიათებს, რომელთაც ერთმანეთთან საერთო არა აქვთ რა (მ. თოდუა). თუმცა გამორიცხულად არც ის მიგვაჩნია, რომ მ. ჯავახიშვილისათვის, რომელმაც კარგად იცოდა მსოფლიო კულტურის ისტორია, კერძოდ ახლო აღმოსავლეთის ფოლკლორი და ლიტერატურა, ნაცნობი იქნებოდა „ბაღდადელი თვალთმაქცის“ მოტივები.

ამრიგად, „კვაჭი კვაჭანტირაძე“ ფოლკლორის შემოქმედებითი ათვისების პრობლემატიკის თვალსაზრისით ერთ-ერთი საინტერესო თხზულებაა მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში. განსაკუთრებით საინტერესოა მისი სატირულ-იუმორისტული მანერა, რომლის შექმნაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ხალხური პროზის შესაბამისმა უანრებმა, განსაკუთრებით, ხალხურმა ნოველამ.

„ჯაყოს ხიზნების“ სიუჟეტს საფუძვლად დაედო ზეპირი მასალა; როგორც სხვა თხზულებებში, აქაც პრაქტიკულადაა ფრთებშესხმული ჯავახიშვილის შემოქმედებითი პრინციპი. „რა მასალა უფრო მშველის — ავტობიოგრაფია, დაკვირვება, გაგონილი ამბავი, დაკვეთა, სახე თუ სხვა რამე?.. ერთიც, მეორეც, მესამეც.“ ეს „მესამე“ კი სწორედ ზეპირი სიტყვიერებაა, რომელიც იმ „ერთთან“ და „მეორესთანაც“ „შემოქმედებით ლაბორატორიაში იხარშება და ბოლოს ისეთი რამე გამოდის, რასაც ზოგჯერ თვითონ ავტორიც ძლივს იცნობს.“

ფოლკლორული ელემენტები „ჯაყოს ხიზნებში“ ძირითადად წარმოადგენენ როგორც მთავარი ამბის სიუჟეტურ საყრდენს, ისე ცოცხალი სახეების გამოძერწვის საშუალებას. ნაწარმოებში გამოყენებულია ზღაპრული მოტივები, იგავები, ანდაზები, თქმები, ლექს-სიმღერები, საწესჩვეულებო ტრადიციები და სხვა.

როგორია რომანის ზოგადი სიუჟეტური ქარგა? — ნათავადარი თეიმურაზ ხევისთავი, რომელიც ცნობილია თავისი პუბლიცისტური მოღვაწეობით, ვერ უძღვებს ახალი ცხოვრების ქროლვას და სულიერად და მატერიალურად გაკოტრებული, ახალგაზრდა ცოლთან ერთად, შეეხიზნება მის ნამოურავალს — ჯაყოს, რომელიც ვერაგულად დაეპატრონება ჯერ თეიმურაზის ქონებას, შემდეგ მის ახალგაზრდა ცოლს — მარგოს. თეიმურაზი საკუთარი ცოლის ჯაყოზე გათხოვების მოწმე ხდება. ბოლოს საქმე იქამდე მიდის, რომ ყოფილი მებატონე იძულებულია იცხოვროს კიდევ მათთან ერთად.

როგორც ცნობილია, ჯავახიშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა თავის ნაწარმოებებში ზეპირ გადმოცემებს, გაგო-

ნილ ამბებს. ის ერთგან ამბობს: „თავდავიწყება“ ს.ე. ყიფიან-  
მა მიაგებო, „ტყის კაცი“ — პაოლო იაშვილმა, „ორი განაჩე-  
ნი“ — შ. დადიანმა, „მართალი აბდულაჰ“ — სანდრო შანში-  
აშვილმა, „თეთრი კურდღელი“ პროფ. ასათიანმა, სხვებისგა-  
ნაც ბევრი რამ მოვისმინე და აქა-იქ რომანებსა და მოთხრო-  
ბებში გავფანტე.“

ასეთი გზით შექმნა „ჯაყოს ხიზნებიც.“ მწერალს გერონ-  
ტი ქიქოძისაგან ერთხელ მოუხმენია, რომ „ახალღაბაში  
ცხოვრობდა თავადი კოლია სუმბათაშვილი. მეტად ლამაზი,  
ახალგაზრდა ცოლი ჰყავდა. თავადი ხანში შესული იყო. მას  
ახალგაზრდა მოურავი ჰყავდა, გვარად ნემსაძე. თავადის მე-  
უღლე ამ მოურავთან ცხოვრობდა. მოურავმა, რასაკვირვე-  
ლია, თავადის ხარჯზე ქვიშხეთში სახლი აიშენა, მამული შეი-  
ძინა. რევოლუციის შემდეგ მან თავადის მეუღლე სულაც  
წაიყვანა. მოხუცი თავადიც მერე მასთან ცხოვრობდა სახლში.

ეს ისტორია, — დასძენს გ. ქიქოძე. — მე უუამბე მ. ჯაჯა-  
ხიშვილს. ამის საფუძველზე დასწერა მან თავისი მოთხრობა  
„ჯაყოს ხიზნები.“

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ მწერალს ნამდვილად  
გამოუყენებია ქიქოძისეული ამბავი, მიუცია მისთვის ეპოქის  
შესაღარისი სოციალური უღერადობა, ჩაურთავს შიგ ბევრი  
„გაგონილი და მოგონილი“ მასალა და „შემოქმედებითი გა-  
დახარებით“ მიუღია რომანი. ამნაირად, ზეპირმა ამბავმა გა-  
ნაპირობა ის მძაფრი სოციალური ისტორია, რომელიც „ჯა-  
ყოს ხიზნებშია“ წარმოდგენილი.

ჯაყო ნაწარმოებში ერთ-ერთი ცენტრალური სახეა. რამ  
შეუწყო ხელი ჯაყოს სახის შექმნას? მოვუსმინოთ მწერალს:  
„ინჟინერმა ფილო ყაზბეგმა ქართულ კლუბში ასეთი ანეგ-  
დოტი გვიამბო: ნაყმემა თავის კნენინას ძღვენი მიართვა:

- გამარჯობა, ჯაყო!
- კნენინას გახლავარ.
- რასა იქმ, როგორა ხარ?
- ძალიან კარგად ბრძანდები შენი წირიმე.
- ცოლ-შვილი როგორა გყავს?
- სულ კარგადა ხართ, გენაცვალე.
- რამდენი შვილი გყავს ჯაყო?
- თორმეტი გყავს, გენაცვალე მაგ თვალეშოა.
- როგორ მოახერხე მაგდენი, ჯაყო?
- მაშ, მაშა, აგრე ვიცის ჯაყომა! — მიუგო ნაყმევმა.

უქანასკნელ სამ სიტყვაში ამაზე უფრო მწვავე პილბილი, ეყარა. ანეგლოტი ჩემს ხსოვნაში ხუთიოდე წუთზე მეტს ვერა ძლებს, მაგრამ ამ სახემ ჩემი ხსოვნის ერთ კუნჭულში დაიბუდა. გავიდა ათიოდე წელიწადი და იგი მოულოდნელად გაცოცხლდა, გაშიშვლდა და თვალწინ წამომექრა. აი, ზოგჯერ რა უცნაურად იბადება ტიპი.“

რა არის ის ძირითადი, რაც მწერალმა ამ ანეგლოტიდან აიღო? ჩვენ ვფიქრობთ, ფ. ყაზბეგის ნაამბობში მოხაზულია ჯაყოს ხასიათი და განწყობილება, მისი ინტელექტი და სოციალური პროფილი. ამ მხრივ იგი თითქმის მზამზარეულ საწყისს წარმოადგენს ჯაყოს მხატვრული სახისათვის, ხოლო ნაყმევის მეტყველების თავისებურებამ, მისი ხასიათისათვის ყველაზე ადეკვატურმა ფრაზამ: „ასე ვიცის ჯაყომა,“ საბოლოოდ ჩამოაყალიბა მწერლის თვალში მომავალი გმირი.

ანეგლოტი „ჯაყოს ხიზნებთან“ ახლოსაა იმითაც, რომ ორივე შემთხვევაში ლაპარაკია ნაყმევზე; გმირს ჯაყო ჰქვია... ძღვენის მირთმევა და კნენინასთან დიალოგიც თანხვდენილია და სხვ.

მოტანილი ამონაწერების მნიშვნელობა მარტო იმაში რო-

დია, რომ მათ ნაწარმოების სიუჟეტური ნიღბაგი, ან ჯაყოს ტიპის საფუძვლები მოამზადეს, აქვე უნდა გეცნოთ ხევისთავისა და მარგოს ხასიათთა ფესვებიც. გ. ქიქოძის ნააზნობში, კოლია სუმბათაშვილი დახასიათებულია, როგორც უძლური, უპრინციპო, თავმოყვარეობას მოკლებული თავადი, რომელიც ურიგდება ოჯახის, ცოლის წართმევას, კიდევ მეტი, გათხოვილი მეუღლის სახლში ცხოვრებას. განა თეიმურაზ ხევისთავის ხასიათიც იგივე არაა?!

ამრიგად, გ. ქიქოძისეული ამბავი და ფ. ყაზბეგისეული ანეგდოტი იქცა ფუნდამენტად, რომელზედაც ამოიზარდა „ჯაყოს ხიზნების“ სიუჟეტი, რომანის მთავარი გმირები.

მაგრამ ჯაყოს ტიპის ფოლკლორულობა მარტო ამით როდი ამოიწურება. ჯაყოს ტიპში ზეპირსიტყვიერი ნაკადი მძლავრადაა შეჭრილი სხვა მხრიდანაც და მიგვაჩნია, რომ იგი ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი ტიპია რომანში. როგორ ახასიათებს მწერალი ჯაყოს?

დავიწყოთ გმირის გარეგნობით.

„ჯაყო ჯივაშვილი ქალაქში შემოვარდნილ დათვის გავდა, დედაბოძივით სქელი და გაჩაჩხული ფეხები ძლივს იმაგრებდნენ უშნოდ და ისე განივრად დადგმულ თეძოებსა და მხარბეჭს, რომ ვიწრო ტროტუარი მარტო ჯაყოს ძლივს იტევდა“... იგი იყო „პიტეკანტროპოსის“ მინამგვანი, პირუტყვივით ბნელი და უმეცარი, მიუვალ მთებსა და უღრან ტყეში გაზრდილი. ბნელი ხეობიდან გამოვარდნილი ველური,“ „ნადირ-კაცი,“ „დეკაცი,“ „ბრძოლაში ჯადოსანი და დაუჯაბნელი.“

ჯაყოს გარეგნობის შესაფერი ხმაც ჰქონდა, შეეძლო ისე დაეჭიხვინა, რომ ფანჯრის მინები აწკარუნდებოდა.

როგორი იყო ადამიანებთან დამოკიდებულებაში? — ვე-

რაგი, ცბერო. „თვალეზი ჰქონდა ცულლუტი, მოელვარე და მოუსვენარი“. შეეძლო თავის მოკატუნება — მგელთან ცხვარობა, ცხვართან — მგლობა; მის თავხედობას და ძალადობას საზღვარი არ ჰქონდა.

რომელ ხალხურ პერსონაჟს გვაგონებს მოტანილი ამონაწერები? ვფიქრობთ, აქ ორი აზრი არ არსებობს, თვალწინ გვიდგება ხალხური პროზის პოპულარული გმირი — დევი.

დევი მიდის მთასაჲთ, მიაბოტებს...

დევი ღინჯალ სიაბიჯებს, დედამიწა შეიძრისა.

ე. ი. მ. ჯავახიშვილი ჯაყოს პორტრეტს, ცოცხალი პროტოტიპის გარდა, დევის სახიდანაც იხატავდა. ამას ისიც ამტკიცებს, რომ მწერალი ზემოთ მოტანილ ამონაწერებში და სხვაგანაც, ჯაყოს შესამკობად ხშირად იყენებს ატრიბუტებს: „დევი,“ „ნადირი,“ „დათვი,“ „ორანგუტანგი,“ „ჯადოსანი“ და სხვ. ფოლკლორულ აესულებთან ჯაყოს აახლოებს, აგრეთვე, მისი ცეკვაც, რომელიც ბიზონის თუ დათვის ცეკვას უფრო გვაგონებს, ვინემ ჩვეულებრივი ადამიანისას.

რომანში, მრავალგზისაა გამოყენებული ზღაპრული მოტივები, მოქმედ გმირთა დიალოგებში ვხვდებით გამოთქმებს: „ღმერთი რომ იყოს სადმე, განა ყანას დამისეტყუავდაო?“, „ეს ერთი და სხვა ათასი“ და მისთანანი. ხალხური გამოთქმები, მოკლეთილი ფრაზები ხელს უწყობენ აზრის სიცხადეს, ხატოვანებას. ნაწარმოებში ადგილი აქვს ზღაპრული სიუჟეტის კონდენსაციის მაგალითს, მოშველიებულია ბიბლიური იგავებიც. ერთ ადგილას მწერალი თეიმურაზის უსუსურობის გამოსააშკარაებლად მიმართავს იგავს მრუში დედაკაცის შესახებ, რომელიც არ განიკითხა ქრისტემ, ხოლო მეორე ადგილას ჯაყოს სულის გამოსავლენად, მწერალს მოტანილი აქვს კენისა და იუდას ლეგენდები.

მკითხველს ხიბლავს ურმულის, კალოურის, საცეკვაო ლექს-სიმღერების, „ვეფხისტყაოსნის“ შესრულების ტრადიციის გაცოცხლება და ის უამრავი ხალხური თქმა და ანდაზა, რაც რომანის თითქმის ყველა გვერდს ამშვენებს.

## გივი შადური

ცნობილია, რომ ზეპირსიტყვიერი ნაწარმოების ფორმა და შინაარსი ისტორიულად ცვალებადია. ეს მოჩანს არა მარტო ეპიკურ ნაწილზე დაკვირვებიდან, არამედ ტიპიური ფორმულის შესწავლიდანაც. ეს უკანასკნელი, როგორც წესი, ყველაზე მტკიცე და კონსერვატიულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც შენიშნავს მ. ჩიქოვანი, მაინც იცვლება და ვითარდება ახალ გარემოსთან შეფარდებით. მაგალითად. შენიშნულია ქართული ზღაპრის რამდენიმე სახის დასაწყისი და დასასრული, რაც რომანისტს პოეტიკის მრავალფეროვან ბაზას უქმნის. მაგალითად, თუ მ. ჯავახიშვილი კვაჭის სახის გამოკვეთისას ამბის ჟანრის ფორმალურ-სტრუქტურულ სამყაროს მიმართავდა, „გივი შადურის“ შეთხზვისას, როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, შესაფერისად ჯადოსნური ზღაპრის ფორმალურ-სტრუქტურულ სალაროს თვლის. ორსავე შემთხვევაში საჭმე გვაქვს ტიპიური ფორმულებით თავბოლოგამაგრებულ ნაწარმოებებთან, მაგრამ „გივი შადურის“ განსხვავებული მხარე ამ ტიპიური ფორმულების (ამ შემთხვევაში დასაწყის-დასასრულის) ხასიათში მდგომარეობს. როცა ტიპიური ფორმულის ხასიათზე და საერთოდ ნაწარმოების ხალხურ პროზასთან ფორმალურ-სტრუქტურულ თანხვედრილობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს არა მარტო

ქართული ჯადოსნური ზღაპრის ფორმა, არამედ ზოგადად ხალხური ეპოსი, რადგან საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა ხალხმა დამოუკიდებლად თუ მეზობელ ხალხებთან კულტურულ-ისტორიული ურთიერთობით, ეპოსის თითქმის ერთნაირი ფორმა შეიმუშავა. გამომდინარე აქედან, „გივი შადურის“ პოეტიკური მხარე შესატყვისს პოულობს როგორც ქართულ, ისე სხვა ხალხების ფოლკლორულ და ლიტერატურულ თხზულებებშიც.

რომანში, მსგავსად ვრცელი ქართული ჯადოსნური ზღაპრისა, რომელსაც ფოლკლორის თეორიაში ხალხურ რომანსაც უწოდებენ (ალ. ლლონტი), გივი შადური, ისე როგორც ხალხური მთქმელი, ერთ სიუჟეტურ რკალში აქცევს რამდენიმე ამბავს. თანაც ეს სიუჟეტური რკალი, ხალხური მოთხრობების ანალოგიურად, ნაკლებ მკაცრი და გამძლეა, ხოლო თვით მასში შემავალი ამბები კი — თავისთავად დამოუკიდებელნი. ამ მხრივ იგი კარგად ცნობილ „ათას ერთ ღამესთან“ ამეღავენებს ახლობლობას. ეს, ზოგადი სტრუქტურის თვალსაზრისით! კონკრეტულად ის საერთო, რაც ქართულ ზღაპარსა და „ათას ერთ ღამეს“ აქვს რომანთან. უპირველესად ტრადიციულ დაწყებაში მდგომარეობს. რომანის ყველა მოთხრობას წინ უძღვის მხატვრული შესავალი, ე. წ. ლირიკული ინტერმეცო.

აქვე ყურადღება გვინდა მივაქციოთ რომანში წამოკრილ, ფოლკლორისტული თვალთახედვით საინტერესო გარემოებას, — მთქმელისა და მსმენელის ურთიერთობის მ. ჯავახიშვილისეულ გაგებას, მ. ჯავახიშვილი გივი შადურის პირით გვიუბნება, რომ მთქმელი, მოთხრობელი, შეიძლება მხოლოდ იყოს გამოცდილი ადამიანი, რომელმაც იცხოვრა, იარა, ნახა, გაიგო, რომელსაც ბევრი რამ გადახდა ცხოვრებაში. მასვე შე-



ნიშნული აქვს ფოლკლორის გავრცელებისათვის ტიპიური გარემოს და მთქმელის ოსტატობის აუცილებლობაც. „მიმიშ-ვით თქვენს სერობაზე, არიფიონზე, რიგის პურზე, თუ ჩემი ამბები მოსმენის ღირსი აღმოჩნდა, ხოლო თქვენ მოთმინება აღმოგაჩნდათ, მიმსახურეთ... თუმცა მსმენელის მოთმინება რა სახსენებელია! თუ მთხრობელი უშნოდ იცოხნება, ბავშვ-საც ყურები დაუქცნება. მაგრამ თუ მოამბე ოსტატობს, მკვდრებიც კი წამოიწვევიან მოსასმენად.“ ეს კი ხდება მაშინ, როცა მსმენელი მოერევა ამბის „დასაწყისს, დასასრულს, ნა-შენობას და ორნამენტს.“

მწერალს შენიშნული აქვს ისიც, რომ მთქმელის ნაუბარი (ამბავი, ზღაპარი, თავგადასავალი) ზოგჯერ დაუჯერებელია, ზოგჯერ კი უტყუარი და მართალი, რომელიც ხან პირდაპირ უნდა გავიგოთ, ხან კი „პირუკულმა შეატრიალოთ“. სწორედ ამ თეორიულ ფონზე ხატავს მწერალი გივის სახეს...

მაინც რით გავს გივი შადური სახალხო მთქმელს? მთქმე-ლი ჩვეულებრივად არის ის პიროვნება, რომელიც ზეპირ-სიტყვიერ ამბავს გადმოგვცემს და ავრცელებს. თუმცა ხალ-ხის თვალში ყველა ამბის გადმომცემი არ იმსახურებს ამ სა-პატიო სახელს. მთქმელია მხოლოდ ის, ვისაც სიტყვა უჭრის, ამბის ოსტატურად გადმოცემა ეხერხება. ვინც აღჭურვილია სინამდვილის მხატვრული აღქმის ნიჭით, ფოლკლორული ტრადიციის ცოდნით. ყველა ამ თვისებების მატარებელია გივი შადური. თუ როგორ სახეს ღებულობს გივის, როგორც მთქმელის, ხელში ლექსი ან ამბავი, ამის ბევრი მაგალითის ჩვენება შეიძლება. რომანში ჩართული და გამოყენებული ათამდე ლიტერატურულ-ხალხური ლექსის ფრაგმენტიდან, ორი შემთხვევის გარდა, ადგილი აქვს სტროფების კონკრე-ტული სიტუაციისამებრ გარდაქმნას; თუ შეიძლება ასე ით-

ქვას, გივი, როგორც მთქმელი, მისდევს ნაწარმოების ვარიან-  
ტული გარდაქმნის ფოლკლორულ კანონზომიერებას. მივმარ-  
თოთ მაგალითებს.

რომანის დასაწყისში გივი მიესალმება ქართველ მწერ-  
ლებს, სურს შემოუჯდეს მათ სუფრას და დანაყრდეს... ამი-  
ტომ. ერთგვარი იუმორით იხსენიებს რა ამქვეყნად ადამიანის  
ყოფნის მიზანს, მწერლებს მიმართავს გრიგოლ ორბელიანი-  
სეული სიტყვებით:

სოფელი იმად არა ღირს,  
კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,  
ფუჰია თქვენი სიცოცხლე  
თუ ვერას არგებთ შადურსა.

„ხა, ხა! აი როგორი ანდერძი დაუტოვებიათ თქვენთვის! წი-  
ნაპართ, მგონებს. მაშ მეც მარგეთ ქუჩუკ-ყარამანებო.“  
ცნობილი ლექსების მოშველიება-გარდაქმნის ფაქტი გივის  
სახეს ფოლკლორულ ტრადიციასთან აახლოებს. ხალხური  
მთქმელისამებრ სანახევროდ შეცვლილ-გადასხვაფერებულად  
იყენებს აგრეთვე გივი შადური ნ. ბარათაშვილის სტროფებს  
პოემიდან „ბედი ქართლისა.“

გივი ამჟღავნებს, აგრეთვე, ავტორმთქმელის თვისებებსაც.  
იგი რომანში მსმენელებს აცნობს რა თავის რეპერტუარს,  
საუბარში საკუთარ შენათხზავსაც აჩვენებს.

გივი შადური საინტერესოა როგორც ეპიტაფიების ავ-  
ტორ-მთხზველი.

ცნობილია, ეპიტაფია სამარის ქვაზე წარწერილი ლექსია.  
გივი შადური თავის ერთ-ერთ ამბავში, რომელიც რომანში  
„წითელი ღილის“ სახელწოდებითაა შესული, აგვიწერს თავის  
დამსახურებას ხალხური შემოქმედების ამ უძველეს უბანზე. აქ-  
ვე თავს იჩენს თვითონ მწერლის დაკვირვებანი ეპიტაფიაზე.

მ. ჯავახიშვილის თქმით, ეპიტაფია არის „სასაფლაოს პოეტიკა,“ რომელშიც გამოხატულია „კვილი არარაობისა“ და „წყურვილი მარადიულობისათვის.“ მისი თემატიკა და შინა-არსი თითქმის ყოველთვის ერთ თარგზეა აჭრილი: „დაიბადა. იტანჯებოდა, უყვარდა, მოკვდა.“ შესრულებებს მიხედვით ეპიტაფია ერთგვაროვანი არაა: „წარწერა ან მკვდარს მიმართავს ან მკვდარი მიმართავს თავის თავს, ან ცოცხლებს, („გამველეს,“) ან თვითონ ქვა ელაპარაკება მის ქვეშ მდებარეს, ან — ცხოვრებას.

როგორია ეპიტაფიის შექმნის ტრადიცია? ამას მწერალი გვიჩვენებს გივი შადურის მაგალითზე: ეპიტაფისტი (გივი შადური) ტრიალებს რა სასაფლაოზე, ანუ როგორც უწოდებენ „საგოდებელზე“, ეძიებს ჭირისუფალთა ვინაობას, უბრს წინააღმდეგობა იწერს გარდაცვლილის სახელს, გვარს, თარიღს. მისი ცხოვრების ამბავს და ქმნის ლექსს, მაგრამ ეპიტაფისტმა (გივი შადურმა), იცის რა, რომ მკვდრების ამბებზეც ისე ჰგავს ერთმანეთს, როგორც ხის ფოთლები“. მიმართავს ეპიტაფიის გავრცელების მეორე გზას — ჩამოუვლის სასაფლაოებს და გადმოწერს ან ზეპირად გადმოსცემს ადრე შეთხზულს და მიაწოდებს „მუშტარს“, ე. ი. ფოლკლორული კანონის მსგავსად. აქაც, მ. ჯავახიშვილის აზრით, ხელის შექმნასთან ერთად საქმე გვაქვს ტრადიციული ფონდის გამოყენებასთან.

მწერალს შენიშნული აქვს ერთგვარი გარიგება ეპიტაფისტსა და „მუშტარს.“ შორის. ამას იცნობს ხალხური ტრადიციაც. ერთი ქიზიყელი გლეხი-პოეტი აღნიშნავს, რომ მასთან ეპიტაფიისთვის შორეული სოფლიდან მოდიოდნენ და ძღვენიც მოჰქონდათ გასამრჯელოდ.

საინტერესოა მწერლის დაკვირვება ეპიტაფიის ტრადიციაში თანამედროვეობის სულის შექმნის მხრივ, რამაც ერთ-

გვარად გაამარტივა იგი და დაუკარგა ძველი „სიმსუქნე და სინაზე.“ „გივი შადური“ საინტერესოა თვით ეპიტაფიების ფიქსირებითაც.

რომანში შეინიშნება „საპატიმროს ეპოსის“ ნიშნულებიც, ანუ წარწერები საპატიმროს კედლებზე ლექსად, რომლებიც ხელს უწყობს ტიპის ტიპიურ გარემოში ჩვენებას.

როგორც ვხედავთ, „გივი შადური“ ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში ერთი პირველი ნაწარმოებთაგანია, რომელშიც დახატულია მთქმელის, ავტორმთქმელისა და ეპიტაფისტის საინტერესო სახე. ამავე რომანში მოშველიებულია ხალხური მასალები ზღაპრის, იგავის, ანდაზის, ადათ-ჩვეულებების, რწმენისა და სხვა სახით, რაც უფრო აძლიერებს მწერლის ჩანაფიქრს და ხელს უწყობს ნაწარმოების მხატვრულ სრულყოფას.

## ქალის ტვირთი

„ქალის ტვირთში“ „არსენა მარაბდელის“ მსგავსად, ხალხი შეფასებულია, არა მარტო როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების გარდამქმნელი, არამედ როგორც შემოქმედი.

„ქალის ტვირთის“ ფოლკლორული ანალიზისას, უპირველესად რომანის წყაროების საკითხი გვაინტერესებს. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია სამი გარემოება: 1. ისტორიული სიმართლე თავისი დოკუმენტაციით, 2. ლიტერატურული ტრადიცია და 3. ფოლკლორი.

„ქალის ტვირთის“ მაგისტრალური ხაზი მთავარი მოქმედი პირის — ქეთო ახატნელის ცხოვრებას მიხედვს. სათაურიც

და იდეაც იმაზე მიუთითებს, ასწევს თუ არა ახატენლის ასუ-  
ლი იმ ტვირთს, რომელიც რევოლუციამ ქალს დააკისრა.

ამ ნაწარმოების განვითარების მთავარ ძალას ფოლკლო-  
რული მოტივი — ივლითობა წარმოადგენს, რომელიც სხვა  
ხალხურ დეტალებთან ერთად საშუალებას გვაძლევს ვილაპა-  
რაკოთ თხზულების ფოლკლორულ წყაროებზე.

ივლითობა, თავისი ზოგადი გაგებით, ქალისაგან სულიერი  
და ფიზიკური ხარკის გაღებას ნიშნავს. ამ ცნების შინაარსის  
სათავე ებრაულ ლეგენდაში არსებობს, ხოლო იქ ფოლკლო-  
რიდანაა შესული... ამიტომ ჩვენ მას ვიხილავთ, როგორც  
ფოლკლორულ მოტივს.

ლეგენდამ, რომელიც მძაფრად ხატავს პატრიოტი ქალის  
სახეს, თავისებური გარდატეხა ჰპოვა სხვადასხვა ხალხის  
ფოლკლორში, ლიტერატურაში და ხელოვნებაში.

მ. ჯავახიშვილისათვის ეს ლეგენდა ცნობილი იყო, რო-  
გორც პირველწყაროებიდან (ბიბლიის ქართული რედაქციები),  
ისე აღორძინების ხანის მხატვრების ტილოებიდან, აგრეთვე  
ფლობერის „სალამბოდან“, გუცკოვის „ურიელ აკოსტადან“,  
ქართული ლეგენდიდან „ხორეშანის თავგადასავალი“, შ. არა-  
გვისპირელის „შიო თავადიდან“ და სხვ.

ქეთოს ივლითობის საკითხზე ორი აზრი არსებობს. აკადე-  
მიკოსი გ. ჯიბლაძე ამბობს: ქეთოს სურდა „ივლითობის“ მძი-  
მე ხვედრი გაეზიარებინა, რაკი აკოსტად ზურაბ გურგენიძე  
მიიჩნიაო. მკვლევარი ლ. ძნელაძე კი მას ბიბლიურ ლეგენ-  
დის გმირ ქალად თვლის.

საკითხის ნათელსაყოფად განვიხილოთ მწერლის ხელთ  
არსებული წყაროები.

ბ ი ბ ლ ი ა : — „ნაბუქოდონოსორ ასურესტანის მეფემან“,  
ქურთებზე გამარჯვებით გაამაყებულმა, მოინდომა „დაპყრო-

ბაცა მთელი ქვეყნისა, და ღმერთსავით ყოველთაგან თაყვა-  
ნისცემულ ყოფვა.“ ამის გამო თავის სარდალს ოლოფერნს  
მისცა ჯარი და უთხრა, დაიპყრე ქვეყნებიო, ოლოფერნი მი-  
ადგა ებრაელთა ქალაქს — ბეტლივას და სასოწარკვეთილება-  
ში ჩააგდო მოსახლეობა... ბეტლივაში ცხოვრობდა ერთი მდი-  
დარი ქვრივი „ივლით წოდებული, სახით ფრიად მშვენიერი  
და ღვთის მოშიში,“ რომელმაც ქმრის მენასეს სიკვდილის  
შემდეგ „არღა ინება ხელმეორ ქვეყნიერებაო“ და სიწმინდი-  
თა ცხოვრობდა. „ვითარცა ესმა საქმენი ესე“, ადგა, მოირთ-  
მოიკაზმა, აიყვანა მხევალი, ბეტლივიდან გავიდა და ეახლა  
ოლოფერნს... „ესრეთ დღესა სამსა და ღამესა სამსა ივლით  
ოლოფერნსთან გაატარა,“ მეოთხე ღამეს მთვრალს თავი მოკ-  
ვეთა და გამობრუნდა უკან. უმეთაურო ლაშქარი ებრაელებმა  
უკუაქციეს.

„ს ა ლ ა მ ბ ო“: — ჩვენს ერამდე მესამე საუკუნეში ეგა-  
ტის კუნძულებთან რომმა გაანადგურა კართაგენის ფლოტი.  
დამარცხებულმა კართაგენმა ჯამაგირი ვერ გადაუხადა დაქი-  
რავებულ ლაშქარს, რის გამოც ისინი აჯანყდნენ. როცა ლაშ-  
ქარი ახალი იერიშისათვის ემზადებოდა, კართაგენის მხე-  
დართმთავრის ჰამილკარის ღვთის მოშიში ქალიშვილი — სა-  
ლამბო მხლებლებით შეიპარა მტრის ბანაკში და მასზე შეყ-  
ვარებულ მხედართმთავარ მათოსთან განმარტოვდა. შემდეგ  
კი ჩაძინებულ მათოს თავის მოკვეთა მოუნდომა, მაგრამ ვერ  
გაიმეტა (თურმე მასაც შეპარვოდა გულში მოსისხლე მტრის  
სიყვარული)... მოიპარა ქალღმერთის (ტანიტის) რიდე, რო-  
მელიც მათოს ჰქონდა განატაცები და დაბრუნდა მამის ლაშ-  
ქარში. კართაგენელებმა სასტიკად დაამარცხეს მათოს ჯარი.  
ამის მიზეზი თურმე იმ რიდის დაბრუნება იყო, რომელიც  
სალამბომ მოჰპარა მძინარე მათოს.

„უ რ ი ე ლ ა კ ო ს ტ ა“: ამსტერდამელ მდიდარ მენსეს ასული ივდითი, რომელიც იოხანის საცოლედ ითვლება, მოიხიბლა რა ურიელ აკოსტას ფილოსოფიური აზროვნებით, შეუყვარდება იგი. მათ შეუღლებას წინ აღუდგება მამა, სინაგოგა, ხალხი... ივდითი იძულებულია ცოლად გაჰყვეს იოხანს, გული კი აკოსტასკენ მიუწევს. ივდითის გატანჯულ სულში გაორება ისადგურებს და განაწამები ქალი თავს იწამლავს.

აი რას გვიამბობს ქართული ლეგენდა ხორეშანიის შესახებ.

შაჰ-აბასმა დაიპყრო მთელი კახეთი და მეტი წილი ქართლისა. საქართველოს მეფემ, შაჰთან საჩუქრებითა და შეწყნარების თხოვნით სახელგანთქმული მამულიშვილი შიო თავადი გაგზავნა, მაგრამ ამაოდ. მეფის თხოვნა შაჰმა სასაცილოდ აიგდო... საქართველო საშინელი საფრთხის წინაშე დადგა, საშიში იყო აგრეთვე თელავის ახლოს მოკალათებული ალავერდა-ხანიც. რომლის გადმობირებას ამხანად ქართველებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს დიდი მისია შიო თავადის ლემაზ ცოლს — ხორეშანს დაეკისრა... სამშობლოს განსაცდელმა პატრიოტი ქალი უყოყმანოდ მიიყვანა ალავერდახანთან, რათა თავბრუ დაეხვია ვნებააშლილ ხანისათვის. ხორეშანი მას შაჰის წინააღმდეგ აამხედრებს და საქართველო დარბევას გადაუჩეხება.

ამ მოტივზეა აგებული შ. არაგვისპირელის დრამა „შიოთავადი.“

მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს „ქ ა ლ ი ს ტ ვ ი რ თ ი“: მაღალი წრის ქალიშვილი ქეთო ახატნელი რევოლუციონერთა მეთაურით — ზ. გურგენიძით მოიხიბლება და ერთობის საქმის თანამგზავრი გახდება. შექმნილი მდგომარეობა უკარნახებს

მას ცოლად გაჰყვეს რევოლუციის და პირადად ზურაბ გურგენიძის დაუძინებელ შტერს ავშაროვს, რათა ბოჩენებითი ცოლობით ერთობის საქმეს სამსახური გაუწიოს. ქეთო ვერ უძლებს გ.ორებას და იღუპება.

ამრიგად აქ მოყვანილ ამონაწერებს ერთი საერთო მოტივი „ივლითობა“ ასულდგმულებს, გარკვეული მიზნის მისაღწევად სულიერი და ფიზიკური მსხვერპლის გაღება.

რომელი მათგანი დაედო საფუძვლად ქეთო ახატნელის ივლითობას?

ბიბლიური ლეგენდის გმირი ქალის — ივლითის სახე, ქეთო ახატნელის სულიერი ტანჯვის წყარო, შთაგონება და მიზნის სიცხადეა, ვერწმუნებით მკვლევარ ლ. ძნელაძეს, რომელმაც ახატნელის ასულის ივლითობის პირველ წყაროდ ბიბლია მიიჩნია. მოვიგონოთ ზურაბ გურგენიძის გამოსვლა ქალთა წრის სხდომაზე, რომელსაც ქეთოც ესწრება.

„ — ქალის როლი პოლიტიკურ ისტორიაში, — ამბობს ზურაბი, — დასაბამიდანვე მოჩანს. თუნდაც ივლითი გაიხსენეთ. ნაბუხოდონოსორის სარდალმა ოლოფერნმა ებრაელთა ერთ ქალაქს ალყა შემოარტყა, ვინმე მანასეს მზეთუნახავმა ქვრივმა ივლითმა თავი გასწირა: მტრის ბანაკში გავიდა, ოლოფერნი მოხიბლა და დანებდა. როცა ოლოფერნმა გული იჯერა და ჩაეძინა, ივლითმა მისივე მახვილით მოჰკვეთა თავი და გამოიპარა. უმეთაურო ლაშქარმა ებრაელებს ვეღარ გაუძლო და გაიქცა. სად არის დედა აზრი ან ლეგენდისა? ივლითმა თავისი უბიწო სახელი და მშვენიერი სხეული საბილწავად მისცა მტერს და სამაგიეროდ სამშობლო ქალაქი და მშრომელი ხალხი იხსნა, — სთქვა ზურაბმა და ქეთოს დააცქერდა, რომელიც მოხიბლული იჯდა და თავის ახალ მეგობარსა და მასწავლებელს თვალს არ აშორებდა.



— ესე იგი, მიზანი თვითონ მიზანია, საშუალება კი თითქმის არაფერი, — განაგრძო ზურაბმა. — ვისაც ჩვენი მიზანი ღრმად სწამს და ძვალრბილში აქვს გამჭდარი, ის არავითარ საშუალებას არ მოერიდება და ყველაფერს გასწირავს.

აქედან იწყება ქეთოს ივლითობა, მისი ხასიათის გარდატეხა. ამის შემდეგ აჩრდილივით დასდევს ახატნელის ასულს ივლითის სახე და ყველაზე კრიტიკულ ნაბიჯსაც ივლითის მიბაძულობით ღვამს — რევოლუციის ინტერესების დასაცავად ცოლად მიჰყვება რევოლუციის დაუძინებელ მტერს ავშაროვს, ე. ი. პირველი წყარო, რომელმაც ქეთოს სახის ჩამოყალიბებაში ერთგვარად გადამწყვეტი როლი ითამაშა, არის ებრაული ლეგენდა „მოთხრობა ივლითისა.“

მაშ რაღა აქვს ქეთოს სახეს საერთო სალამბოლთან, გუცკოვის ივლითისთან, ქართველ ხორეშანთან?!

„სალამბო“ მიხეილ ჯავახიშვილის საყვარელი რომანი იყო. ჰიმილკარის ასულის მოქმედებით მოხიბლულს განხრახული ჰქონდა დაეწერა ქართული „სალამბო“ მთიელთა ცხოვრებიდან. ამიტომ ბუნებრივია „ქალის ტვირთზე“ მუშაობისას მწერლის მუზას სალამბოს ლანდიც დასტრიალებდა. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ფლობერი და ჯავახიშვილი სხვადასხვანაირად ახდენენ მსგავსი მოტივის მხატვრულ გარდასახვას. მაგალითად, ჰიმილკარის ასულისა და მისი ხალხის ინტერესები ერთ მხარეზეა, სასურველი ადამიანი კი მოწინააღმდეგის მხარეზე; ქეთოს ხასიათი ამ შემთხვევაში უფრო უახლოვდება ბიბლიურ ივლითის — იგი მოქმედებს მტრის და არა მიჯნურის წინააღმდეგ.

მ. ჯავახიშვილის გმირი ქალისა და გუცკოვის ივლითის ბედი ნამდვილად გვანან ერთმანეთს: ორთავენი პროგრესულ აზრს უჭერენ მხარს, პროგრესული აზრის მატარებლებს

უმიჯნურდებიან და, რადგან არსებული მდგომარეობა არ იძლევა დაქორწინების საშუალებას, პირადი ბედნიერება მიაქვთ სამსხვერპლოზე.

ქართული ლეგენდით, ხორეშანის თავგადასავლით მ. ჯავახიშვილი მოხიბლული იყო. იგი ჯერ კიდევ 1907 წელს წერდა: „შიო თავადმა და ხორეშანმა ერთმანეთს დაუპირისპირეს პირადი ბედნიერება და სიყვარული მამულისადმი.“ ეს ლეგენდა ჯავახიშვილს მიაჩნდა მწერლისათვის მშვენიერ მასალად. ამიტომ გვგონია, რომ ხორეშანის სახემაც თავისებური განვითარება ჰპოვა ქეთო ახატნელის ივდითობაში.

„ქალის ტვირთში“ და ქართულ ლეგენდაშიც, გმირი ქალის საბედისწერო ნაბიჯის გადადგმა — საერთო საქმისათვის მტრის სარეცლის გაზიარებაა.

საყვარელი ადამიანების კარნახით, მამულის უბედობით შეძრწუნებული თავადი მიეჭრება ახალ შერთულ ცოლს ხორეშანს და ეუბნება: „სამშობლო დაიხსენ... გაიწირე თავი!... მიეცე შენი სიყვარული მცირე ხანს ხან-ალავერდის, ვარსკვლავების ამოსვლიდან განთიადამდინ.“

ზურაბიც ასევე ეუბნება ქეთოს: „საჭიროა მტერს ცოლად გაჰყვე... შენს მიზანს იქედან ემსახურო და განსაზღვრული სარგებლობა მოუტანო.“

ქეთოსა და ხორეშანის ხასიათებს აახლოებს ის მდგომარეობაც, რომ ისინი უმტკივნეულოდ ვერ ურიგდებიან მტერთან განმარტობას. ყოყმანობენ, ზომავენ და წონიან ნაბიჯს... რასაკვირველია, ხორეშანის განცდები ამ მხრივ უფრო მძაფრია.

მაშასადამე, ქეთოს ივდითობას პირველ წყაროდ დაედო ბიბლიური ლეგენდა „მოთხრობა ივდითისა“, ხოლო „სალამბომ“, „ურიელ აკოსტამ“, „ხორეშანის თავგადასავალმა“,

„შიო თავადმა“ და სხვამ, მეტნაკლებად შეუწყვეს ხელი ახატნელის სახის შექმნას, რაც გვაძლევს უფლებას ყველა ჩამოთვლილი ძეგლი მივიჩნიოთ ქეთოს ივდითობის ფოლკლორულ-ლიტერატურულ წყაროდ.

„ქალის ტვირთში“ ყურადღებას იპყრობს სხვა ფოლკლორული მოვლენებიც, პერსონაჟებისა და სიტუაციების დახასიათებისას მწერალი იშველიებს ჯადოსნური ზღაპრის ატრიბუტებს: ბროლის კოშკში მკდომი ქეთო გაიგივებულია თეთრ გედთან, მისი პორტრეტი შეფერადებულია ლალის, ზურმუხტის, ფირუზის თვლებით, ერთობა შედარებულია გველეშაპთან, ნაწარმოებში გაბნეულია ხალხური ეპოსისათვის დამახასიათებელი სიტყვები და გამოთქმები. შეიმჩნევა ხალხური ეპოსიდან მხატვრული ციტაციის მაგალითებიც, გამოყენებულია ანეგდოტები, ხალხური ტრადიციული სიმღერები, ცეკვები, მცირე ხალხური ჟანრები.

რომანში ჩვენებასა და სიზმარს თავისებური მხატვრული ფუნქცია აკისრია. ქეთო ახატნელს ეჩვენება, რომ: „შეშფოთებულ ცაში, სადაც ღრუბლებს თითქოს დოღი გაემართათ, „განმარტოებით თეთრი მარმარილოს კოშკი მისცურავს, კოშკის თავზე ყელმოღერებული თეთრი გედი წამომჯდარა. უკან პირდაღებული შავი ურჩხული მოსდევს... საცაა უნდა დაეწიოს... აჰა კიდეც დაეწია, კოშკი დაანგრია, გედიც ჩაყლაპა და თვითონაც ჩაიფუშა“. მსგავსი ფანტასტიკობით ხასიათდება ზურაბ გურგენიძის სიზმარიც.

მხატვრულ ნაწარმოებში სიზმრისა და ჩვენების მიზანია პერსონაჟების მოქმედების განვითარების ნათელყოფა. ქეთოს ჩვენება თავისთავად წარმოადგენს პატარა ფანტასტიკურ მოთხრობას, სადაც ურჩხულის დაღვენება ფოლკლორული მოტივია.

რად დასჯირდა მწერალს სიზმრისა და ჩვენების გამოყენება ნაწარმოებში? მწერალი ალეგორიული ფორმით გვეუბნება: კომუნიის თავზე ყელმოდერებული გედი მაღალ არისტოკრატიულ ბუდეში მონებივრე ქეთოა, რომელიც ვერ ზედავს მის უკან მყოფ ურჩხულს, იგივე ძირმომპალ თავადაზნაურულ ცხოვრებას, რომელიც საცაა ჩაუნგრევს კომუნი (ოცნებას) და შთანთქავს ქეთოს. ეს პასაჟი ქეთოს ცხოვრების ერთგვარი პროლოგია, რომელიც მიუთითებს პერსონაჟის ძირითად ხასიათზე, მწერლის მხატვრულ ჩანაფიქრზე.

ქეთოს ჩვენებას მეორე მხარეც აქვს. იგი წარმოადგენს პეიზაჟის სამკაულს, ჯადოსნურად აღშფოთებული ბუნების კომპოზიციურ ნაწილს, რომელიც მიგვანიშნებს, რომ რაღაც ძვრების წინაშე დგას ქეთოს გარშემო მყოფი სამყარო.

## ანდაზა მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში

მცირე ჟანრების გამოყენება მ. ჯავახიშვილისათვის წარმოადგენს შემოქმედებით აუცილებლობას. ამ საკითხის შესწავლა საინტერესოა როგორც ფოლკლორისტული, ისე ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით.

მ. ჯავახიშვილის ნაწერებში მცირე ჟანრები სხვადასხვა დანიშნულებითაა მოხმობილი; მათ შორის საყურადღებოა ანდაზა, როგორც ლეიტმოტივი და როგორც კონკრეტული სიტუაციის ორგანული ნაწილი.

ანდაზა მოიცავს იმ სახელმძღვანელო აზრს, რომელსაც ემსახურებოდა მწერალი მთელი თავისი შემოქმედებით. ამავე დროს ანდაზა-ლეიტმოტივი მწერლის შემოქმედების ცალკეულ შემთხვევებსაც შეესატყვისება: ერთი, როცა ნაწარმო-

ების შინაარსი შეკუმშული სახით გამოხატავს მზა ფორმულის აზრს და მეორე, როცა თვით ანდაზა წარმართავს თხზულებისა თუ ცალკეული თავის შინაარსს. განვიხილოთ ეს შემთხვევები.

მოთხრობაში „ორი შვილი“ ლაპარაკია ცოლ-ქმარზე, რომლებიც გამოძალვის მიზნით ხოცავენ ადამიანებს. ფულზე დახარბება მათ იქამდე მიიყვანს, რომ საკუთარ შვილებსაც ვედარ ცნობენ და ასალმებენ წუთისოფელს... მოთხრობის შინაარსიდან მკითხველს გამოაქვს დასკვნა, რომელიც ყველაზე ლაკონიურად გამოიხატება ანდაზით: რასაც დასთეს, იმას მოიმკი.

ფოლკლორული სენტენცია თავის გაშლას პოულობს მწერლის ისეთ საინტერესო ნოველაში, როგორიცაა „მართალი აზღულაჰ.“ ამ მოთხრობის შეკუმშული შინაარსი შეიძლება გამოვხატოთ ასე: „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს.“ ასევე ორასთოთხმეტჯერდიანი „ჯაყოს ხიზნების“ მთელი მორალურ-ზნეობრივი აზრი თავსდება ხუთსიტყვიან მსატერულ ფორმულაში: „მტერი მოყვრულად მოსული, მტერზედა უარესია.“

ნაჩვენებ მაგალითებში შინაარსს სენტენციის სახით თვით მკითხველები გამოკვეთენ, ხოლო მწერალი ერთგვარად განზე დგას. მაგრამ არის ისეთი თხზულებები, რომელთა ზოგად მრწამსს ნაწარმოების ბოლოს თვით მწერალი იძლევა ანდაზის თუ ანდაზური გამოთქმის სახით.

„ლამბალო და ყაშას“ შინაარსიდან ვიცით, როგორ იჩაგრება პატიოსანი ლამბალო. მწერალი ამბის დასასრულ წერს: „ლამბალოს ჯავრი ბედმა მდევარმა ამოიყარა,“ ბედი მდევარი ურმით დაეწია ყველას... „დიდი არს ძალა ბედი მდევრისა“.

ურმით მოგზაური ბედი, რომელიც ყველა ბოროტს თავისას უზღავს. ხშირადაა ნახსენები და მორალურ გამართლებას პოულობს მ. ჯავახიშვილის სხვა ნაწარმოებებშიც („მდევა-რი,“ „ღამპატიყე,“ „მესამე,“ „გივი შადური,“ „ხუთის ამბა-ვი,“ „ჯაყოს ხიზნები,“ „კვაჭი კვაჭანტირაძე“ და სხვა). მას ყველგან ერთი აზრობრივი დატვირთვა აქვს: ბოროტება, რამ-დენ ხანსაც არ უნდა იბოგინოს მან, ბოლოს მაინც სასტიკად ისჯება. ამ სიბრძნის სათავე მოდის ცნობილი ანდაზიდან: „სი-მართლემ თქვა, — ურმით დავდივარ, მაგრამ ბედაურზე მჯდომ კაცსაც დავეწვეო“.\*

ანდაზა ლეიტმოტივის სახეს ყველაზე უფრო მაშინ ღებუ-ლობს, როცა ეპიგრაფად უძღვის ნაწარმოებს. ეპიგრაფს ყო-ველი მწერალი იყენებს იმისათვის, რომ ხაზი გაუსვას და წინ წამოსწიოს ნაწარმოების იდეა. მიზანდასახულება.\*\* მ. ჯავახიშვილი ასეთი ეპიგრაფის ოსტატია. მის შემოქმედე-ბაში შენიშნულია ეპიგრაფის მოშველიების 17 შემთხვევა, რომელთაგან 3 ლიტერატურულ-ისტორიული წარმოშობი-საა, 15 კი — ხალხური. ანდაზა ეპიგრაფად გამოყენებულია „არსენა მარაბდელის“ მეხუთე თავში („გატეხილი გალია“): „მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო,“ ეს მოკლე ბრძნული ფორმულა სწორად გამოხატავს ნაწარმოე-ბის მიზანდასახულებას...

ამრიგად, ერთის მხრივ, ანდაზის ცხოვრებისეული სიბრ-ძნითაა განათებული მ. ჯავახიშვილის შემოქმედების ზოგადი

---

\* ხალხური სიბრძნე. ტ. 11, გვ. 38, ეს ანდაზა ასევე დასკვნის სახით მოცემულია ზღაპარში „სიმართლე“, იხ. იქვე.

\*\* ალ. ჩავლეიშვილი, ეპიგრაფი მხატვრულ ლიტერატურაში, ლიტე-რატურის თეორიის საკითხები, ბათუმი, 1955, გვ. 173.

იდეური მრწამსი („მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“), მეორეს მხრივ ანდაზები წარმოდგენენ მწერლის ცალკეული თხზულებისა თუ თავის ამოსავალს.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ერთი და იგივე ზეპირსიტყვიერი ფორმულა სხვადასხვა ნაწარმოებში, ან ერთი ნაწარმოების სხვადასხვა ადგილას, მხატვრული სიტუაციის შესაბამისად, განსხვავებული ფუნქციითაა გამოყენებული. ეს თვით ანდაზის ბუნებიდანაც გამომდინარეობს, რადგან ანდაზის ამოსავალი მნიშვნელობა ერთია, მნიშვნელობის გადატანის შესაძლებლობა — უამრავი.\* ავიღოთ ზემოთ მითითებული ანდაზი: „სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო.“ ეს ლაკონური თქმა კონკრეტული ფაქტის პოეტური განზოგადების გზითაა მიღებული.\*\* მისი ამოსავალი მნიშვნელობაა ის, რომ სიმართლის მთქმელი მოსალოდნელი განსაცდელისაგან თავდასაღწევად მზად უნდა იყოს. ეს ანდაზი მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში, ეყრდნობა რა ამოსავალ, თავისთავად მნიშვნელობას, ნაწარმოებების კონკრეტულ მომენტთან შერწყმისას, იცვლის დანიშნულებას. ასე, მაგალითად: იგი „არსენა მარაბდელის“ მეხუთე თავში ასრულებს რა ეპიგრაფის როლს, მხატვრული დანიშნულებით ამ თავის განმსაზღვრელ აზრამდე მალღდება, წარმართავს მოქმედებას გარკვეული მიმართულებით. ანდაზის ამოსავალ აზრზე დაყრდნობილი ამბავი სცილდება ანდაზის რეალს და „მართლის მთქმელებს“ — არსენასა და მის ძმადნაფიცებს ახალი პერს-

---

\* ფ. ერთელიშვილი, ანდაზის ცნების საკითხისათვის, „მნათობი“, № 3, 1957, გვ. 103.

\*\* ფ. ზანდუკელი, ანდაზის და სიტყვის მასალის ურთიერთობისათვის, ქართული ფოლკლორი, I-II, 1964, გვ. 147.

პექტივისავენ უბიძგებს (ომი გამოუცხადონ ბატონყმობის ინსტიტუტს).

მეორე შემთხვევაში იგივე ანდაზა, იმავე მზა ფორმით, „კვაჭი კვაჭანტირაძეში“ სხვანაირადაა „დატვირთული.“ „სიმართლის მოქმედს — ეკითხულობთ რომანში — ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო, — ეს ანდაზა კვაჭის თავზე გამართლდა. მას აქეთ. რაც მან თავისი სათქმელი თქვა, მართლის მოქმელი ყბად აიგდეს. გაინაპირეს და მოიძულეს.“ თუ პირველ შემთხვევაში ამ ანდაზის აზრი გმირების მოქმედების ერთგვარ პროგრამას წარმოადგენდა, აქ პირიქით, პერსონაჟის ბუნება და ანდაზის შინაარსი სხვადასხვა პოლუსებზე არიან.

ანდაზა — „ურემი რომ გადაბრუნდება, გზაც მერე გამოჩნდებაო“ — მ. ჭავჭავაძის საყვარელი აფორისტიული ფორმულაა. თავის ნაწერებში რამდენიმე ადგილას მიმართავს მას. მ. ჭავჭავაძის აღნიშნული ანდაზა გზამკვლევილი კვაჭიკოების მდგომარეობის გამოსახატავად იხმარა... გადაბრუნდა ურემი და ნათლად გამოჩნდა, რა გზას უნდა დასდგომოდნენ სილიბისტროს შვილი და მისი თანამოაზრენი (სამშობლოს უნდა გასცლოდნენ). როგორ მოიქცენ ახლა? ანდაზის ამოსავალი დანიშნულება იმაზე ლაპარაკობს, რომ შეცდომა დაშვებულია და მისი გასწორება აღარ შეიძლება. მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, მხატვრულ ქსოვილში მოხვედრილი ფორმულა პირვანდელ ფუნქციას ნაწილობრივ უწყევს ანგარიშს და ახალ ნიშნადაზე ახლებურად ვითარდება... ურემის გადაბრუნებით შეწყუხებული „გმირები“ არ ემორჩილებიან ანდაზის ამოსავალ დებულებას, თითქოს აღარ შეიძლებოდეს შეცდომის გამოსწორებაზე ზრუნვა. ამიტომ ამბობს კვაჭი: „ღმერთმა დაგვიფაროს რომ ეს ანდაზა ჩვენს კისერზე გამართლდესო,“ გმირები ეცებენ გამოსავალს და პილიან იმ დასკვნამდე. მიეტმასნონ



წითლებს... ამ ნაბიჯსაც ხალხური ფორმულით ამართლებენ:  
„ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო“.

მეტნაკლებად მსგავსი მნიშვნელობითაა გამოყენებული შემდეგი ანდაზები: „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო,“ „ძმა ძმისთვინაო, ამ დღისთვინაო.“ „ძალი კოჭლობით არ მოკვდებო,“ „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო,“ „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო,“ „მტერი მოყვრულად მოსული, მტერზედა უარესია,“ „სანამ პეტრე მოსულა. პავლეს ტყავი გააძვრესო“ და სხვ.

ორიოდ სიტყვა იმ ტრადიციულ ანდაზებზე. რომლებსაც ფორმითაც და დანიშნულებითაც შეცვლილი აქვთ პირველი სახე. ავიღოთ ნაცნობი ანდაზა: „ურემი რომ გადაბრუნდება“... ცხოვრებისაგან ჩაწიხლულ თეიმურაზს („ჩაყოს ხიზნები“) ოცნებაში ესმის მარგოს სიტყვები: „ჩემო ერთგულო ქმარო... შემინდე შენს მარგოს... მე არც ხალხს ვიცნობდი და არც ცხოვრებას. ერთიც და მეორეც სასტიკნი ყოფილან. ცხოვრების ურემი გადამიბრუნდა და ჭეშმარიტი გზაც ახლა გამოჩნდა... გამიძეხი ახალი ცხოვრების უღმობელ გზაზე.“ ფუნქციურად ეს ანდაზა იქცევა ოცნებით მოქსოვილი ბადრს კომპონენტად. რომელიც ხაზს უსვამს მარგოს ცნობიერებაში თითქოს მომხდარ ცვლილებას. სინანულს. მწერალი არ კმაყოფილდება ანდაზის ამოსავალი მნიშვნელობით და აძლევს მარგოს საშუალებას ურემის გადაბრუნების შემდეგაც გამოასწოროს შეცდომა: „გამიძეხ ახალი ცხოვრების უღმობელ გზაზეო.“ ეს ანდაზის გამოყენების ერთი მხარეა (ფუნქციონალური). ჩვენ ამჟამად გვსურს ხაზი გავუსვათ მის გარეგნულ, თუ შეიძლება ასე ითქვას, კონსტრუქციულ მხარე-

საც. დასახელებული ანდაზა წარმოდგენილია ასე: „ურემი გადაბრუნდა და ჭეშმარიტი გზაც ახლა გამოჩნდა.“ აქ, რასაკვირველია, ივრძნობა, რომ დარღვეულია ანდაზის ტრადიციული აღნაგობა, მიღებულია ახალი ფრაზეოლოგიური მოდელი. რამ გამოიწვია ეს? — მხატვრული კონტექსტის კაპოიზმა.

ხალხური ესთეტიკა მ. ჯავახიშვილის მხატვრული აზროვნების უშრეტი წყაროა. ხშირად ჯავახიშვილთან სახეებით აზროვნება ანდაზებით აზროვნების ფორმითაა გამოხატული. მოვიგონოთ თეიმურაზის, პეტრეს და ივანეს დიალოგები, არსენასა და ღვთისაყარის პაექრობა ცხრა ძმა ხერხეულიძეთა საფლაგზე, ან კიდევ ფაქტი, როცა ანდაზებს იყენებს და ანდაზებით ამაგრებს თავის პოზიციას მწერალი საჯარო თუ წერილობითი გამოსვლების დროს. მსგავსად გორკისა, მ. ჯავახიშვილი ძალიან ბევრს სწავლობს ანდაზებისაგან, „ხალხური აფორისტული აზროვნებისაგან.“ აქედან გამომდინარე, ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებასაც. ჩვეულებრივ ანდაზას, სანამ გადატანით მნიშვნელობას მოიპოვებდეს (ეს მისი ძირითადი სპეციფიკური თვისებაა) გენეტიკური კავშირი აქვს კონკრეტულ ფაქტთან, შემთხვევასთან. მაგალითად, ანდაზას: „ბევრი რად უნდა დედასა, ერთი სჯობს სახელოვანიო,“ თავისი შექმნის ისტორია აქვს: — ერეკლე მეფეს მოხუცმა დედაკაცმა წყალობა სთხოვა. დედაკაცი შვიდი ვაჟის დედა იყო თურმე. გაკვირვებულმა მეფემ ჰკითხა: შვიდი ვაჟის დედას სამათხოვრო რა გაგიჰირდაო? დედამ მიუგო: ბევრი რად უნდა დედასა, ერთი სჯობს სახელოვანიო. ასევე, სხვა ანდაზებსაც აქვს თავისი კონკრეტული ისტორია. სამწუხაროდ ამ ისტორიის აღდგენა ყოველთვის არ ხერხდება. მაგრამ ფაქ-

ტად რჩება, რომ ანდაზა კონკრეტულ გარემოში, რაიმე სიტუაციასთან დაკავშირებით წარმოიშობა.

მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში შეინიშნება ანდაზების შექმნის ფოლკლორული ტრადიციისადმი მიბაძვა.

ზოგჯერ ხდება ხოლმე, მწერლის ჩანაფიქრს ხალხური მზა ფორმულა არ მიესადაგება და შექმნილი სიტუაცია თვით იძლევა აზრის შეკუმშულად. ლაკონიურად ჩამოყალიბების საშუალებას. ამ გზით წარმოიშობიან ხალხურ ყაიდაზე აგებული ახალი მხატვრული ერთეულები, რომლებსაც ახასიათებს ანდაზისათვის ნიშანდობლივი როგორც ამოსავალი, ისე გადატანითი მნიშვნელობანი. მხატვრულ ქსოვილში მწერლისეულ ბრძნულ ფორმულებსაც იგივე ფუნქცია აკისრია, რაც ზემოთ განხილულ მზა თუ პერიფრაზირებულ ანდაზებს. ამავე დროს ასინი, როგორც მწერლის ფილოსოფიის გამომხატველნი, საინტერესონი არიან სტილის ორიგინალობის თვალსაზრისით.

განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

1. ომში ბელადი ჯარს წინ მიუძღვრს, გაქცევისას — უკან უნდა მისდევდეს.\*

2. სჯობს ანთებულ ბუხარში ორი ყუმბარა შეინახო, ვინემ საქვეყნო საქმეს ორი ბელადი მიუჩინო.\*\*

3. დედაკაცს ცრემლი თვალზე მოსდის, მამაკაცს კი გულში ეღვრება.\*\*\*

4. ვინც ხმალი ამოიღო, ყუა უნდა დაივიწყოს.\*\*\*\*

5. ვინც თავის მტერს იბრალებს, იგი თავის თავს ღუპავს.\*\*\*\*\*

\* ტ. IV, გვ. 365.

\*\* იქვე, გვ. 330.

\*\*\* იქვე, გვ. 365, 366, 368.

\*\*\*\* იქვე, გვ. 213.

\*\*\*\*\* ტ. II, გვ. 418.

თვითეული აქ მოყვანილი მაგალითი ანდაზაა.

მ. ჯავახიშვილის ნაწერებში გაბნეულია აგრეთვე მრავალი სიტყვის მასალა, ხატოვანი გამოთქმა, გამოცანა, იდიომი და სხვა. რომლებიც მხატვრულ ფრაზას ანიჭებენ იმ თვისებას, რასაც ჩეხოვი მეტყველების გრაციას უწოდებდა.\*

\* \* \*

ამდენად, ფოლკლორი მწერლის მხატვრული აზროვნების ერთ-ერთი წყაროთაგანია. იგი, როგორც დავინახეთ, ორი კუთხით იჩენს თავს: ფოლკლორი — ნაწარმოების პირველწყარო („არ! ენა მარაბდელი“) და ფოლკლორი — დამხმარე შემოქმედებითი მასალა.

მწერალი თავის თითოეულ რომანში დიდი ცოდნით, ტაქტიკით, ერუდიციით, „მხატვრული შერჩევის“ გამახვილებული თვალთ იყენებს ფოლკლორულ მასალას. ხალხურ პერსონაჟთა „ბიოგრაფიებს“ (არსენა ოძელაშვილი), ცალკეულ სიუჟეტებს, მოტივებს, მცირე ჟანრებს, გამოთქმებს, სინამდვილისადმი სახალხო შემოქმედთა დამოკიდებულების ჩვენებს და ა. შ. რაც გახდა ერთ-ერთი საწინდარი იმისა, რომ მ. ჯავახიშვილს კუთვნილი ადგილი დაეჭირა ქართულ კლასიკოსთა მდიდარ გალერეაში.

---

\* ეს საკითხი საქმოს სისრულითაა გ. შიჩქელიანი მიკვლევარების მიერ.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

### შ ე ს ა ვ ა ლ ი

არსენა მარაბდელი	:7
კვაპი კვაჭანტირაძე	64
ჯაყოს ხიზნები	82
ნიკი შადური	87
ქალის ბვირთი	92
ანდოზა მ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში	102